


ოւკი



ლიტერატურული ჟურნალი

საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემის სახელი

№ 2 (45)

2020



ნაიკითხეთ

რეზო ადამიას

ესაკე

„პეცენტია ძირ მწერალთან“

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქტიაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რეკლოშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.



გარტი, ივნისი, სულხანი, ლექსიკონი №2,(45), 2020



გამოღის სამთხვევი ქურნალი



ოლე „ლიტერატურული ქურნალი“



შინაარსი

ესე

2. რეზო ადამია. შეხვედრა დიდ მწერალთან

ალექსანდრე გვარეგაძე – 115

12. თინათინ თეშაპრამიშვილი.

ადრესანტების თვალით დანახული
ალექსანდრე გვენცაძე

ოლე – 15

19. ფარნა რაინა. მისასალმებელი სიტყვა

დვალემოსილი თელაველეგი

22. დარეჯან ჭავჭავაძე. ლექსები

მხატვრული ლიტერატურა

25. თამარ მაისურაძე. ლექსები

28. ვაჟა მთარაშვილი, ეკა კვანთალიანი.

პოეტური დუეტი

32. ვანო ჩხილავაძე. მობილური. მოთხრობა

41. გიული ჩიხიაშვილი. ლექსები

43. კახაბერ პავლიაშვილი. ლექსები

46. მარიამ ძამუკაშვილი. ბალი. მოთხრობა

50. პავეტა სამხარაძე. ლექსები

52. ანა მარგაშვილი. ლექსები

საკავშვო მნიშვნელობა

54. ლეილ ქაშუკაშვილი. ლექსები

თარგმანი

57. ალექსანდრ ილიჩივსკი. ნამის წერტილი.
მოთხრობა

წარილებები

59. სოფო გვარიშვილი. ერთი მსახიობის
ცხოვრების გზა

63. ციური ბერიძე. ლვანლმოსილი

საზოგადოებრივი ცხოვრების ქრონიკა

64. ლია ვაიორიშვილი. დიდი სიყვარულითა
და ზრუნვით

გარეკანის პირველ გვერდზე

სოფიო ჭავჭავაძის ნახატი

დაიბჭებდა

გამომცემლობა „მერიდიანი“

1



ოლე, №2, 2020





ରେଖା
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ

“ეტიუდნიკი” გარეთ, სახლის ყაფელს ფრთხილად მი-
ვაყუდე და ნახატი-ტილო შესასვლელ კართან, ნათელ
აფეთქებას დავდე. ამ ჭრის კონცეფტინებინა ჩატონი, ნინაპ-
სამრეტყელ მოვისტიერი სულით დარწმუნდიდან გამორჩეან-
და; ფინკად, თითქმის უბრძო მოქალაქება, ყოველგვარი
ლიმილისა და მიმიკის გარეშე, მშრალი, წრვად ანუსლი
ნარჩენით და გამომზღვეულის შეზრით სურათი დაათვალიერა,
წრფა ხასს მღვემარე მოწიქულით იღება; შემდგომ, მხ-
ოლოდ ერთი სიტყვამა თქვა, კარგი! შეტრიალდა და შინ
შემდებრება.

၁၃၁

გაცვალრა დიდ მცირალთან

(ფიქტურები და განცდები)

კონსტანტინე გამსახურდდა, უძველესი კოლხურ-იბერიული ხასათ-ჟინ-შემართების და სრულყოფილი, სიმართლის მწერალთაგან, ბევრად განსხვავებული ნიჭით – უფლისმიერობაა და მის-ტიკურ-მითოლოგიური უტეხი მცნების, უსაზღვროდ შეუვალი ნაღდქართველური ზეოპრივი გენის ქვემარიტი წმიდანური გაგრძელებაა...

გავა ჩეცი უზერებელი პლანეტის ათასეული წელი და ამჟამად მოქმედ აღმასარებლობებს კოსმიური უფლისმიერობით ჩაენაცვლება ზეკანონებიდან გამომდინარე, დროისთვის მონათესავე რელიგიები, რომლებიც სიახლე ცივილიზაციათა და ვარსკვლავების ურთიერთგავლენით მიახლოებითი რწმენითი სახე იქნება; ხოლო განუმეორებელი ხელოვანნი: შოთა რუსთველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამასახურდია, რომელიც უმაღლესთა შორის გენის სრულყოფილებაა; გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი და სხვა რამოდენიმეტ უნიკალური ქმნილებანი, პომეროსისა არ იყოს, მარადიულობას გადაბარდება, რადგან უსასრულობის ფერ-ხმა, აზროუკვდავების განმეორულობი არიან და იქნებან...

ადამიანში თუ რამე ამაღლებული და დიადია, სულ-გონ-გულ-ნიჭიდან დაწყებული, მაშინ ბრძენი იტყვიან, შემოქმედ უფალია მასში დავანებულიო....

გენის მაღალი შემოქმედებითი აზროვნება, ჟეშმარიტ-ზნეოპრივი მიახლოებაა მომავლის წმი-დად-უმდიდრეს უსასრულობასთან, რაც ქვეყნიური გირისაცხობის ტოლდებართობაა...

იმდენად ღრმა, მხატვრულ-ზეადამიანურია დიდი კონსტანტინეს გენიალური რომანები, მოთხ-რობები და ნოველები, მართალი წარმოდგენა გებ-ადებათ, რომ მათი ეპოქალური კუთვნილებითი ცნება ქრება და მარადიულ-კაცობრიული სული-ს-მიერობით მსოფლიო ორმათ დაინიშა...»

შემეცნებითი მკლელობებით, უშუალო განკ-

დებით, აზროვნებით და სულით რომ მიხვიდე გა-
მორჩეული მწერლის შემოქმედებითი უფლებამო-
სილებამდე, მაგ შემთხვევაში, მიახლოებით მაინც
ავტორის დონისა უნდა ბრძანდებოდეთ, მეცნიერუ-
ლი ინტუიციის შეგნებით, სამართლიანი ანალი-
ზების აღქმით, აუცილებელი წარმოსახვებით თუ
აზროვნებითი სილრმეების სიმდიდრე იღუმალ ინ-
სტინქტით გამოხატვისა...

როგორც ხელოვნების მუზეუმებში, საკვირველ დარბაზ-განძთსაცავში შეღწევა სულიერი ბედ-ნიერებაა, ასევე პატონი კონსტანტინეს ცხოვრების ყოველი ისტორიული მოვლენის ხილვა-წაკითხვა... ერთგან კონსტანტინე ბრძანებს: ჩვენ, გამასახურ-დიები, აზნაურები გახლავართო!. ამ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებულია მწერალი, რადგან ნებისმიერი გენიალური ხელოვანი თავადზე მეტი გახლავთ და საეკლესიო პირებზეც ფრიად ზეალ-მატებული, რადგან შემოქმედი ღმერთია მასში მთავარმოქმედ-დავანებული...

სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაქულტეტის
სრულ კურსს ვამთავრებ, მალე პროფესიონალი მხ-
ატგარი გავხდები, მაგრამ ჩემი სულიერი სწრაფვა,
შევქმნა მხატვრული დამოუკიდებელი ნაწარმოები,
დიდი ხანია რომ გაიღვიძა, ფერწერის მოციქულთ,
გამოჩენილი მხატვრებისა არ იყოს... თითქმის რამ-
დენიმე წელია, ნათელ მიზნად დავისახე ლეგენდ-
არული მწერლის, კონსტანტინე გამსახურდისა საცხ-
ოვრებელ-შემოქმედებითი კერა, კოლხური კოშკი
რომ დავხატო, მისივე შიგნითა ეზოდან დანძული,
მაგრამ იქ შელწევა ძალიან რთულიაო, იტყვიდნენ.
ხშირად, კი მიჯირია – მხატვრისთვისაჯ?!

შემოდგომის მზით გასხვისნებული კვირა დღეა. დილიდანვე მოვეგმადე. დაახლოებით თემას, მოტივს როგორც მიესადაგება, იმდაგვარი სასურათე ფორმატი ავირჩიე. „ეტიუდნიკი“ შხარზე გადავიკიდე და ქათქათა, თეთრი სახატავი ტილოთი ხელში, გავემართე ურთულესი ამოჯანის შესას-

რულებლად. დღეს ქარი არც ერთი მხრიდან არ ქრის და ედემის ბალში მგონია თავი, წყნარი ამინდია, მზიანი, საამო ნატვრას მოყოლილი...

მე, როგორც სენაკელ-ძველსენაკელს, პლენერზე მუშაობისას ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქეს შიშნარევი ფიქრები აღმოსავლეთის უძლიერესი, სულის შემძრელი ქარისა...

სხეულითა და სულ-გულ-გონებით გარინდული ვდგავარ კოლხური კოშკის ზღაპრისმიერ კარიბჭესთან და ვერ გადამიწყვეტია გვერდით ბოძზე, ელექტროზარის ლილაკზე თითის დაჭერა; ვინ იცის, როგორ პასუხს მივიღებ-მეთქის სიფრთხილით. ამ დროს მარცხნა მხარეს, მეზობლის რკინის კარი მოულოდნელად გაიღო და დიასახლისის საცრით ხელში, მსახიობი თათია ხაინ-დრავა გამობრძნდა, ბატონი კონსტანტინეს დისშვილი. პირადად დიდი ხანია, ვიცნობდი, რუსთაველის დრამატული თეატრის შესანიშნავმა მსახიობმა, ზეინაბ ბოცვაძემ, ქართული კანოს ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოს შეხვედრაზე გამაცნო; სუფრასთანაც ვმსხდარვართ ერთად და სათხო თათიას სადღეგრძელო რომ წარმოვთქვი, თხრობითი ტექსტის თუ ლექსის კითხვისას თვითმყოფადი ხმა, მომნუსხველი ინტონაცია თავისი შერბილებული მხატვრული საამო ტონალობით აგრესაინტერესოდ გაუურჩიე და აღფრთოვანდა მსახიობი, სახის მხიარული გამომეტყველებით მეუბნება: – ბატონო რეზო! ერთხელ გალაკტიონმაც იგივე მითხრაო. თათიასგან ყოველივე თქმული ჩემთვის დიდი ქება გახლდათ. ადამიანის გული ზღვაა და მაინც გამკრა ცისფერმა ხმამ, განსხვავებული ხელოვნების გამონათების ხილვა რომ დამასწრეს. თბილად მივესალმეთ ურთიერთს და:

– საით გაგინევია, მხატვარო? – მეკითხება.
– თათია მშვენიერო! საგამოფენოდ ბატონი კონსტანტინეს კოლხური კოშკის დახატვა მინდა-მეტექი. – წინადადება როგორც კი დავამთავრე, უმალ ჭიშკარი გააღო.

– შემოდი, გენაცვალე, სადაც გინდა დადექი და ხატე.

სიხარულით აღვისილმა მაღლობა გადაუხადე უკეთილშობილეს მსახიობ ქალბატონს, შექებითაც შევამეკ და ღიმილით გავემართე აღმოსავლეთით, ქვითკირის თეთრ გალავანთან, დიდი, ბებერი ხის ქვეშ. მშვიდობიან ჩრდილოვან ადგილას შევჩერდი, „ეტიუდნიკი“ გავმართე, სახატავი ტილო დავაყენე და დავიწყე ნანატრი კოლხური კოშკის მთლიანი ხედის ხატვა, თან ჩემთვის დავილაპარაკე: – თათია რომ არა?! მოკლედ, დღეს გამიმართლა. ამასობაში ეზოს კანონიერი ბინადარი პირუტყვი, ულამაზესი შველი, წაბლისფერ-თეთრებში გაწყობილი, კოხ-



3

ტად მოხატული დრუნწით, აცქვეტილ-წაწვეტებული ჩამუქებული ყურებით, წუშისფერი, კეთილი რბილხედვითი თვალებით, რითაც მთელი მისი არსება იმზირებოდა, სასიამოვნო სიზმარივით გამომეცხადა და ჩემსკენ წამოუზულდა უწვრილესი ფეხ-ძავი-შუა გაყოფილი კოხტა ჩლიქებით, წიიპ-წიიპის უნაზესი ხმის გამოცემით და მშვიდი სიფრთხილით მომიახლოვდა, კეთილი სულივით წინ დამიდგა და ღვთისნიერი ნდობით შემომაჩერდა. თან ვფანტაზიორობ: ბატონი კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმალ განწმენდილი სივრცე დაჟყვება ამ ბუნების სიმდიდრე არსებას-მეთქი...

შმიდა ხატთან სულ-გულით ლოცვისას, ნეტარ სიამოვნებას რომ გრძნობ, არანაკლებითია, გენიალური ნანარმოებიდან სიახლე აზრთ, წერის სტილით და ანდამატური მიუწვდომელგემოვნებითი სიამოვნების ნეტარ-სულთ მკვებავი შემოსვლა: ორთავე ქმედება ხომ მკურნალ-შვებაა ადამიანის წმიდად მკვიდრი ღვთიური უხილაობისა. ამდაგვარად ვფიქრობ-ვოცნებობ და ვხატავ ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის. ამასობაში დრო გადის სანუკვარი, გარემოსთან შედარებით დაძაბული. გარკვევით ვამჩნევ, კოშკზე მიდგმულ გემივით სახლში, ფანჯრებს შიგნით, ადამიანთა ლანდები მოძრაობენ. სხვადასხვა ხეხილით გაშენებულ ეზოში საოცარი, მონასტრისეული სიწყნარე და





სიმშვიდეა. მხოლოდ დამოუკიდებელი, ნაფერები შველი მოძრაობს, ზოგან მწვანე, ნორჩ ბალახს წინჯნის. ეზოში ნელი ნიავიც არ ქრის, თითქოსდა ეკლესის საკურთხევლის სუნიც სუფევს ყველგან. ცაზე გუნდებად ბელურების მხარული გადაფრენაა და ალვის ხეებს მარდად გადაულიან. კოშკის ვეებერთელა ჭადრების ჩრდილთ გარემოში კი, თეთრი, ცისფერი მტრედები ლალად დაფართატობენ. ტილოზე შეუჩრებლივ ფუნჯ-ფერებით ვწერ და ფიქრები ისევ მეახლა, რომელთა შეჩრება ჩემთვის შეცდომა იქნებოდა.

ქართული ეროვნული აზროვნების მოვლენა, იდუმალ შემოქმედი, ბატონი კონსტანტინე, დაწრიტა და დალია თავის მიერვე ხატულმა უძლიერესმა ნანარმოებებმა, ინდივიდ-თვითმყოფადმა ეპოქალურმა მძაფრხასიათანამა გმირებმა და შეენირა კიდევაც განუყრელ ღვიძლ პირმშებს. ვუმადლოდეთ უფალს, მათმა სიდიადემ და უზომო მაღალმხატვრულმა ემოციებმა მაესტრო ჭუუდან რომ არ შეშალეს. მაგრამ უფსკერო, წარმოსახვების მისტიკოს-მშფოთვარე მოვლენა შემოქმედი, შინაგან-გარეგანი ნერვებტოკებით ხასიათით თანამედროვე მწერალთაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ხშირად უცნაურ ხასიათსაც ამჟღავნებდა, რომელიც უზარმაზარი ნიჭ-ბუნების რხევისმიერობა გახლდათ...

ოდითგანვე, დედამინის რელიგიათ სვლათა კვალი, ოქროს გუთნის ხნულივით გავლებული იყო მწერლის სულ-გონებით აზროვნებაში, რათა, წინასწარმეტყველი მოგვივით, კველა მათგანი სწამდა და ცამდე მართალი იყო: პლანეტის უმთავრესი აღმსარებლობებიც რომ ენამა, არც გამიკვირდებოდა, რადგან ნებისმიერი მათგანი უზენაეს კოსმოს-უფლის პირმშოა და ყოველივე ამდაგვარი რწმენით-მართალი ვარსკვლავითობაა: დიდმა მოაზროვნე მწერალმა თუ ძალიან გაგვასწრო, რა მისი ბრალია; ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენი უსუსურობაა, ფხვიერ მიწაში თამამ ძრომიალობისა...

ლიტერატურული თხრობა, ძერნვით წერას, შინაგანი გემოვნებით, დამყოლ გამორჩეული ენა-სინთეზ-მდიდრული სიძველე განახლებით ფესვებიან; გონ-აზრთ, მომნუსსველ სტილს; მოქმედებათა აღწერის, ჭეშმარიტ სიმართლე მოგონებების და ზღვა გამოცდილების, მეცნიერული უზუსტესი დაკვირვებების გენისმიერი წარმოსახვების ნიჭს ფლობდა; მათივე, ზეციურ-წამებული ხელოვანი.... ნანარმოების მოქმედებათა წერისას, ფაბულათა სიმდიდრე, ურთიერთშედარებათა და ცოცხალთ ლეგენდად გარდასახვის უებარი ოსტატი გახლდათ. ზომა, ლიტერატურული ხმა-ხედვით, უცნაური შინაგანი სმენით, გამოირჩეოდა უპირველესი რომანები, მოთხოვნებით თუ ნოველები; ჩანაფიქრის, სიღრმისეულ მრავალ რელიგიური აზროვნების ლაკონიურ-ჰარმონიულობა, მოულოდნელ ფერთა კოლორიტ გამაზე საკვირველ გაედინება, რითაც ქმნილებათ, გენიალური კლასიკოსი თანამედროვე

მოდერნისტული უდიდესი ფერმწერლების დონეზე ავითარებდა და ყველგან ტიციანისეულ-ფერადოვან სულ-ხორცს ასხამდა: უფრო მეტყველი გამოხატვისთვის მათაც ჩამოვთვლით. პაბლო პიკასო, ამედეო მოდილიანი, ანრი მატისი, ალორნინების ხანის სანდრო ბოტიჩელისეული, რეფორმატორები, ხუან მირო, უორუ ბარაკი, და ვასილი კანდინსკისაც გახსენებს. ამავე დროს, „ბედნიერ-ტანჯული“ მწერლის ნებისმიერი წანარმოები, ქართული უნიკალური ხუროთმოძღვრების და მათში ბინადარ შედევრ ფრესკების ჩაუქრობელი ეკლესიური სხივებითაა მოფერთვენილი. ნუ გაგიაკირდებათ და ლეგანდა მაესტროს, ლიტერატურულ-ისტორიული გმირების გალერეაში რომ შეიხედავთ, უსათუოდ შემეცნებისთვის უდიდესი მხატვარი, იერონიმ ბოსხიც; ბევრ რამეშიც დაგეხმარებათ. შეიძლება ლეონარდო და ვინჩის, ფსიქო-ტონალური, უფაქიზეს ფიქრთა ნიუანსური სიღრმეებიც აღმოაჩინოთ...

ეგვიპტური საოცრება სფინქსივით, წინმნირაფი მზერის, წარსულის, აზმყოს თუ მომავლის ათასნლეულთა სინთეზური ხედვის სტილ-ხატვაა, ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისა, და ფონად, ღვთიური საკრავ ორლანოს ქართული კლასიკური მუსიკა რომ გასდევს. ბოლოს ვიტყვი თამამად, თავდადებული მამულიშვილობა და ჯანსაღი სისხლ-საესება, უვნებელი პატრიოტიზმი; უთუოდ თანაბარია, დიდი ქართველი გამორჩეულ ბაგრატოვანთა მეფეებისა და თავადვე პატრონ ჭყონდიდელია შეუდარებელი. აქვე უნდა ორგანულად შევასისხლხორცი ის აზრი, რომ თემის აღწერისას, ქვეყნიერების საოცრებათ, იმიტომ ვიახლოვებ, რათა ზედმინევნით მწამს, კველა კლასიკურ შედევრში სამყაროს უფლის წმიდა ხატია ჩაბრძანებული...

საინტერესო და აზრიანი ფიქრებიდან, ისევ სურათზე შექმნილმა ფერწერულმა სირთულეებმა გამომიყვანა და ვხედავ, სასახლის აღმოსავლეთით ჩემს მხარეს. საფრანგეთის ასაკოვანი, მეფის კარდინალივით, კონსტანტინე ბატონი, მოულოდნელად ნელი ნაბიჯით გამობრძანდა, სუსტი საშუალო ხმელი ტანალნაგობის, გაკრიალებული ცისფერი, იაპონური ხალათით და თავზე კოხტად მოხურული, შავი კასური ქუდით; თითქმის უძრავი, კოლხური უძველესი, ჩაუამული თეთრასფერი სახით. დინჯად და დაკვირვებით მიყურებს, უმაღ ხატვა შევწყვიტე და გაოგნებული ვდეგავარ, გულმკერდზე მარჯვენა ხელმიდებულმა, წელში მოხრით, ძველოდიშურად უხმოდ მივესალმე – მორიდებით. რა გვარისა ხარ, ყმაწვილ! თითქმის დაჭიმული ხმით დამიძახა. ადამია გახლავართ, ბატონი! მივუგე. გასაგებია! წარმოთქვა და კოშკის ჩრდილოების დიდი კარიდან სახლში მოციქულივით შებრძანდა. ვგრძნობ, რომ აუცილებელია და ჩქარი მანერით ვმუშაობ. დრო ძვირფასი გადის. ჯიუტი აწმყო არაფერს არ გვპატიობს და არცა თმობს. სურათი, სადაცაა მთავრდება. ან კი, ჩემზეა დამოკიდებული, თუ საჭირო იქნა, დამამთავრებელი, ფერ-ლაქების ფორმათ-ხაზ-





ების დროულად მოხმობა... შემდეგ ვხედავ, სამუშაო დღე, საგრძნობლად იწურება; უცილოდ ლვთიურმა მასპინძლებმა იგრძნეს მოახლოებული დრო, ხატვის დამთავრებისა და ქალბატონი მირანდა, მეუღლე დიდი მაესტროსი, წინ თეთრი, ხალათ-აკრული, მოვარდისფრო ყვითელფოთლებიანი, თავსაფრით და წმიდანური, სანდომიანი სახის მზერით ჩემსკენ მოდის. მომიახლოვდა, თბილი ლიმილით მომესალმა და სადილზე წამოპრაბანდით, ბატონო! კონსტანტინე გეპატიუებათ: გთხოვთ, მოხუცს არ აწყენინოთ! ამ სიტყვებით მომმართა, კეთილსახოვანმა დიასახლისმა, დინჯად შეტრიალდა და კოშკისაკენ წაბრძანდა. დიდი მადლობა, ქალბატონო მირანდა! ეხლავე მოვრჩები მუშაობას, ავალაგებ ხელსაწყოებს და თქვენთან გამოვცხადები-მეთქი. ჩემსას უკვე ყველაფერი მოვაწესრიგე და უმალ, კოლხური კოშკისკენ წამოვედი, ულამაზესა შველი არსად ჩანდა. „ეტიუდნიკი“ გარეთ, სახლის კედელს ფრთხილად მივაყუდე და ნახატი-ტილო შესასვლელ კართან, ნათელ ადგილსა დავდე. ამ დროს კონსტანტინე ბატონი, წინასწარმეტყველ მოგვისმიერი სვლით დარბაზიდან გამოპრძანდა; დინჯად, თითქმის უხმოდ მომესალმა, ყოველგვარი ლიმილისა და მიმიკის გარეშე, მშრალი, ცივად აწეული წარბებით და გამომცდელის მზერით სურათი დაათვალიერა, ცოტა ხანს მდუმარე მოციქულივით იდგა; შემდგომ, მხოლოდ ერთი სიტყვალა თქვა, კარგია! შეტრიალდა და შინ შეპრძანდა. მე არ დაგძნეულვარ: ქალბატონი მირანდა მაჩვენებს, საით წავიდე; ელიფსური უზარმაზარი, წაბლისფერი მაგიდის თავთან, სამხ-

რეთით ფანჯრების მხარეს მიმითითა. ჩემთვის ცალკე იყო სუფრა ოთხკუთხედ საფარზე გაწყობილი; მეორედ გამიმეორა, აქ დაბრძანდით! მეც ჩვეულებრივ დაგჯექი და დარბაზში გაფაციცებით ვათვალიერებ სურათებით და ფოტოებით ექსპონირებულ კედლებს, ერთ ადგილას ლადო გუდიაშვილის გრაფიკული სურათი, პარიზში მოღვაწეობის დროინდელი, საკურთხევლის სანთელივით ციმციმებდა; რაც მთავარია, ჩემთვის სალოცავი ხატივით ვუმზერ, პროზის – აზროვნების და ქართული პატრიოტიზმის ჩაუქრობელ შუქურას – ლეგენდარულ ცოცხალ პიროვნებას.

ყმანვილ! ლვინო გაიხსენი, რომელიც გნებავდეს. სამი ბოთლი ერთად იდგა შეჯგუფებული: საფერავი, კახური და ტიბაანი. მე ტიბაანი ვირჩიე, უჩიმრად გაეხსენი და დავისხი ბროლის თხელ ჭიქაში. თვითონ შეუდარებელი კლასიკის მაესტრო, მაღალ ანტიკარულ მაკაგონის ხის ფიგურებიან-ორნამენტით შემკულ საკამზე იჯდა. გვერდით, იატაქზე, თუთიის თუნუქის ფართო და ღრმა ჭურჭელი ედგა მცირედი წყლით. ნერწყვდენით დაავადებული, ქვედა ყბის

ხშირი მოძრაობის შემდეგ, ყელის ამონმენდითაც გადაანერწყვებდა. მრავალი შედევრის ავტორი, უზომოდ ნაშრომ-ნაჯაფარი, არ გახლდათ ჯანმრთელად, ყოველ მოძრაობაზე ემჩნეოდა, რომ ავადმყოფობდა.

წინ, ოდნავ მარცხნივ, წვრილი ტანწერნეტა ძვირფასი, ისევ უძველესი ფუჟეროლი კეკლუცობდა, რომელშიც წითელი, კოლხური ლვინო მდუმარებდა. მეგობრები! ნუ გივირთ! ცოტა ხნით რომ ვშორდები ზღაპრულ სივრცე-გარემოს...

კონსტანტინე გამსახურდიას პროზას; როდესაც ხარ მოაზროვნე ინტელექტუალური მკითხველი, ღრმად გრძნობ, განიცდი და სუფთა სულიერებიდან დაწყებული, უთვალავი ნიუანსით გაზიარებს გამაოგნებელ ნეტარ სურნელოვან სიამოვნებას; ასევე გონებრივად გამდიდრებს და ზეციური სიმაღლეებისკენ ნედომებს განგაცდევინებს. სიახლე, სიტყვა-ფორმათა, ხაზ-ფერთა, მშვენიერების მოსვლას რომ გვაზიარებს დაბოლოს მაინც იდუმალ მაამებელ განწყობილებათა მთლიანობას საკმარისად ვერ დაახასიათებ და ახსნი. უთუოდ ურთულეს-ლვთიური განძია, ჩვენდა ბედად ალმოჩენილი...

დავუპრუნდეთ საოცრებათა დარბაზს:

ჩემი მენიუ ამდაგვარი გახლდათ: ფაიფურის ლამაზ თეფშზე პატარა ნაკვეთი ღომი იდო, სულუგუნჩახარშული; მეორეზე, მცირე, დაჭრილი მეგრული ხაჭაპური. ცოტად და მოკრძალებით ორივე დავაგემოვნე. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო, უფლის მადლით თუ შედგებოდა, ოცნებად ქცეულ





ბატონ კონსტანტინესთან მოკლე საუბარი. დაისხი ლვინო! წვრილი, ავადმყოფური ხმით შემახსენა და ფუჟეროლი ასწია, რითაც სივრცე უჩიველო მოვლენად შეივსო და, საქართველოს გაუმარჯოს! მოკლედ ნარმოთქვა. ფეხზე არ ადგა! ისე მიირთვი! თითქმის ბრძანა. შემდგომ თავის თევზს დასცერის, ისე მეკითხება, ბინა საკუთარი თუ გაქვს, ყმანვილო?! არა, ბატონო, ნაქირავებში ვცხოვრობ. ციგანი მთავრობა! გაღიზიანებულმა ჩილაპარაკა, შეიძლება უხერხულად, მაგრამ ჭურჭლისკენ გადაიხარა და ისევ გაინთავისუფლა პირის ლრუ. მუდმივ იმდენად უძლეველად მიმაჩნდა უპირველესი ხელოვანი, არ შემცოდებია.


რომელიმე თემაზე საუბარს მეგრულად რომ დამინებდა, ჩემი იმავე ფორმით პასუხი არ მოსწონდა. საინტერესო ისტორიაზე კითხვები ოდიშურად რომ დავუსვი, ნარბებშეკრულმა მაესტრომ, შეუტმული კილოთი, ქართულად გამცა პასუხი. ამასობაში მასპინძლისგან ძალიან საინტერესო და ღრმად განსხვავებული ხასიათ-განწყობილება ვლინდებოდა... ბატონი კონსტანტინე, როგორადაც ხალხი ახასიათებდა, ზუსტად ის პუმბერაზი, ოდნავ ურჩი პიროვნება, მრავალფორმიანი ფსიქოლოგიური თვისებების პორტრეტი იხატებოდა ჩემს წინ. მეორედ თუ მესამედ კვეთილი მორალური მზერით რომ გადმომხედა, თითქოს შორეული საქართველოდან სევდით მზირალმა: უმაღლესი ფილოსოფოსის, ვოლტერის ფიგურული ქანდაკება ნარმომიდგა თვალნინ. შემდეგ მთვარის სეული შენელებული სელა სითბოთი გაიხსნა და მეკითხება: ჩემი პატარა შველი თუ მოგეწონა, ყმანვილო? ასეთი ულამაზესია, ანგელოზის თვალები აქვს, ღიმილით მივმართე და პირველად ვიხილე დღეს, ნათელამი რომ ესიამოვნა და გაეცინა კიდევაც. თხელი ლოყები ჩაეკეცა და ქვედა ყბამდე მუქმა ხაზმა გაირბინა, თვალები გაუმხიარულდა და ჩემთვის სრულიად სხვა განწყობილების მწერალ პიროვნებად გარდაისახა. უთუოდ მეამა მაესტროს მაგ სახის განწყობილების ხილვა.

ნებისმიერი მდგომარეობისას განსხვავებული აზრ-ზარმოდგენები არ გასვენებს: მგონი არაა საჭირო, მწერალს რაც კი შეუქმნია, უფლის მეშვეობით, მის იდუმალ ნიუანსებზე რომ დაუსრულებლად წერო და მეცნიერულად განიხილო: მაშინ ბევრად მეტი ლიტერატურათმცოდნეობითი წიგნები შეიქმნება, ვინემ თვით ავტორისა, რომელიც აზრთ-ფილოსოფიის, უსასრულობის გენის იმდაგვარ სილრმისეულ უტევობას ატარებს, რომ უმჯობესია, გრძნობათ საუფლო მოუწვდომლობის მუდმივ მეხსიერებაში ბინადარ-მდუმარებდეს; ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ და ლუდვიგ ბეთხოვენის „მთვარის სონატა“, მიქელანჯელოს „დავითი“, პრაქსიტელის „აფროდიტე“ ან

„ნიკეა“ და „გენერა მილოსელი“, დარად მზე და მთვარე-ვარსკვლავებისა... დიდი ხელოვნება, კლასიკური თუ მოდერნისტული, იდუმალებიდან იბადება და ხილულ თუ სმენა-ხედვით ფორმად მოვლენილი, კვლავ დაუწერელი კანონებით ნაწილობრივ უხილაობაში თითქოსდა მიიპარება თავისი კოსმოსური უკიდევანო სიმდიდრე თვისებებით. მერმე წრიულად, უზინარივით, ისევ უკან გვიპრუნდება და აქა საოცრება ზეციური სიმდიდრე ხელოვნების, ბოლომდე, ჩანვდომა, გაგება-შეგრძნების შეუძლებლობა. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანიც“, ოცდამეთხუთმეტე საუკუნეშიც, იდუმალ მეცნიერულად შეუსწავლელი იქნება. განა უფალს და მის შემოქმედებას ბოლომდე ჩავწედებით ან გავუგებთ? მიახლოებით კი უნდა შევიგრძნოთ, იქიდან გამომდინარე კიდევაც სულიერად აღვიზრდებით და პერიოდულად ვისიამოვნებთ თუ მეტსაც მივიღებთ! აი და ამაშია, მეგობრებო, გენიის სიდიადე და შემოქმედებითი ზენარული მოუწვდომლობა. ჩემი ბოლოთქმაა, შემოქმედ გენიათ, სივრცის უხილაობის სახეგანუზომელი ფონდებიდნ ჩამოაქვთ აზროვნება-მშევნიერება, რომელსაც იდუმალების საბურველს ბოლომდე ვერ აშორებს და ისევ აქაა, შედევრ ნანარმოების ხილულობაში ჩამობრძანებულის მინიერი უძლეურობა, რომელიც უსასრულობიდან მარადიულობაში, ექსპონატ-ქმნილების სახით განსულიერდა.

სივრცობრივი სიმდიდრის მიუწვდომლობა, რომელიც გენის მიერ შემოტრიალდება ჩვენსკენ, ის ნაწილობრივ მაინც იმქვეყნიურია.

„გენია კოსმოსური, ყველაზე მაღალი, მგრძნობიარე ნიჭ-განცდებითი, ზეკატეგორიის ინტელე-



მსატვარი ქეთევან მაღალაშვილი



ქტუალური დაავადებაა“...

დაცუბრუნდეთ წმინდანთა და მოგვთა გენია საუფლოს...

კონსტანტინე ბატონი! ღვინისგან ოდნავ შეთამამებულმა დაბალი ხმით მიღმართე: სამსატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამამთავრებელ – სადიპლომო ნამუშევრად ფერწერული ტილო-სურათი, თქვენი პორტრეტით მინდა შევქმნა და გამომშვებ კომისიას წარვუდგინო. წებას თუ დამრთავთ, კონსტანტინე ბატონი, თითქმის მორჩილად შევეხვენე; მხოლოდ სამჯერ შეგანუხებთ, პორტრეტის ჩანხატების შესატმნელად, თქვენთან მოსვლით-მეთქი. არა! ყმანვილო! შეუძლებელია! მოქრით გამცა პასუხი. მერმე წყვეტილი სიტყვებით წარმოთქვა: ქეთევან მაღალაშვილმა მთხოვა; ახალი ჩამოსული იყო პარიზიდან და ნატურაზე ორჯერ ვეჯეტი მხოლოდ: კოლია კანდელაკთან ერთხელ, რომელიც დიდი მოქანდაკეა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაგაცნოთ ის საინტერესო მოგონებები, რომლებიც მაკავშირებს ბატონ კოლია კანდელაკთან.

კვირა დღეა; ისვენებს სამხატვრო აკადემიის უხუცესი პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის დეკანი და შემოქმედებით საკუთარ, უზარმაზარ სახელოსნოშია ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე. მიუხედავად ცველაფრისა, დაბაბული, შემოქმედებითად თავდადებით მუშაობს. ბატონ კოლიასთან გამოსასვლელ დღეებში ხშირად დავდიოდი, რადგან შეყვარებული ვიყავი მოქანდაკის ნებისმიერ წამერნებინებაზე. ბევრს გინახავთ ალბათ აკავი ხორავას ბიუსტი, „იმერელის“, „გენერალ ტოლბუხინის“ და მრავალი პორტრეტი შედევრები: ვზივართ პატარა მაგიდასთან და ჭადრაკს ვთამაშობთ. რომ მოვუგებდი, სასტიკად მოელუშებოდა სახე და მოწითალო, მხრებამდე ჩამოყრილი თმებიდან მომწვანო თვალებით დემონივით იყურებოდა. როგორც კი მომიგებდა, მეუღლე ქალბატონ უნიას, უმაღლ უკანა თახში მოფუსფუსეს შესძახებდა, წარმოშობით რუსი, სანქტეპერბუგელი გახლდათ; მხარული და კეილშობილი ადამიანი უნია! მოვუგე რეზოს! ჩეარა კონიაკი გამოიტანეო! მეც ძალიან არ განვიცდიდი ბატონ კოლიასთან წაგებას. ერთხელ დიდი მოქანდაკე თავის ვრცელ სახელოსნოს მათვალიერებინებს: ორსართულიანი თაროებიდან დაწყებული, შედევრ-ქანდაკებით იყო სავსე. მიმიყვანა ბატონ კონსტანტინეს, მხოლოდ დაწყებულ, ბიუსტ-პორტრეტთან. ძლიერ აღვფრთოვანდი, რადგან შესანიშნავად იყო ხასიათ-განწყობილება დაჭრილი და სახის ფორმათა გამოკვეთილი ძერწვა? შეუდარებელი ფრანგი მოქანდაკის, ანტუან ბურდელის გამოქანდაკის დონეზე. აკადემიის პირველ-მეორე კურსის სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, ყოველგვარი მეცადინეობით და მიზანსწრავით, ქანდაკების ფაკულტეტზე გადავიდოდი, მაგრამ... რატომ არ დაამთავრეთ პორტრეტი, ბატონო კოლია? გულდანყვეტილი ვეკითხები. უსათუოდ! რთული ხასიათის

კაცია! ერთხელ მოვიდა მხოლოდ, იჯდა ნორმალურად. არც კი საუბრობდა, ფიქრებით ჩემთან არ იყო. ორიოდე სეანსის შემდეგ მეუბნება: ან, ბატონი კოლია, დანარჩენი შენი საქმისა შენ იციო, როგორც როდენმა, უნატუროდ გამოძრნა, ვიქტორ ჰიუგო, მაგრე იმოქმედეთ თქვენცო: უსათუოდ კაცო! უცნაური პიროვნებაა...

მაგ წაამბობს როგორ გავამხელდი ბატონ კონსტანტინესთან, მაგრამ დღეს ნათლად მომავონდა ბატონი კოლიას – სამართლიანი, მართლაც უნიჭიერესი მოქანდაკის – გულისწყრომა. არად, წარმოიდგინეთ, როგორი ღირსების ბიუსტ-შედევრი გვექნებოდა ქართველებს და მხოლოდ ჩვენ კი არა, გულდასაწყვეტია, რა თქმა უნდა. იმხანად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მასხიობის, ნადეუდა ბურმისტროვას პორტრეტზე მუშაობდა; მსოფლიოში განთემული მოქანდაკისგან უფლება მქონდა, სეანსებს დავსწრებოდი. შეადღეა, სახელოსნოს კარი გაილო და უმშვენიერესი ტანის რხევით შემობრძანდა ულამაზესი, მაღალი პარმონიული აღნაგობის ქალბატონი, მიხაკებით ხელში. მოგვესალმა, შინაურულად ხალასად, მოხდენილ-მსახიობურად და მამრობითი სქესის ლომის შეხედულების დიდ მოქანდაკეს უშუალოდ, თამამად ეახლა და თბილი ღიმილით თაგული გადასცა და ნაიარევივით დალარულ მასტროს წითურ ლოცაზე მოკრძალებით ემთხვია. მერმე დაიწყო ზებუნებრივი ქმედებები, მშვენება ნატურა მთლიანად უხილავ სხივებად გასცემდა შინაგან სამყაროს და მოქანდაკეს ალალად სთავაზობდა. სინამდვილებს ვიხსენებ! ბატონი კოლია ბიუსტთან მუშაობდა უცნაური მიდგომით, არა ჩქარი მოქმედებით და არცა ნელი, რაღაც შუალედური იყო, დემონურთან ახლოს. ჯერ აგურისფერ თხას ხელის თითებშუა ამუშავებდა, თითქსდა ავტორისა და ნატურის სულის ჩასახვა ხდებაო. მერმე გრძელი, ვინრო ტუჩების ცმაცუნით, ზემათემატიკური სიზუსტით, ბიუსტთან მიტანდა საგანგებოდ ნაძერნს, დასვამდა საჭირო ადგილას და იქვე სიცოცხლე, უმკვრივესი შინაგანი ფორმიდან, სულიერდებოდა. ამდაგვარად ჩვენს წინ მარადიულობა ქანდაკებოდა.

მართლაცდა უფალმა, თავისი თავის გამოსახატავად ხელოვნება აღავლინა გენია-ადამიანთა მეობებით...

ორი აკადემიური სეანსის დამთავრების შემდგომ ღირსეული ქალბატონი სევდიანად გავაცილეთ. ბატონი კოლია შეა სახელოსნოში, მარჯვენა მხარე-ხელჩამოშვებული და თმაბლილი, ბიუსტ-პორტრეტის წინ დადგა და შინაგანი ხავერდოვანი ხმით დაიღლაპარაკა, უსათუოდ ბრწყინვალე ქალია... პირადად, არც ღიმილი და აღშფოთება თუ გაკვირვება არ მოგვარა ამ ცოცხალმა სურათმა, რადგან რაღაც რეალურს მიღმა, სრულიად უცხო სივრცეში მოვექცი.

ახლა კი მოაწია კეთილმა უამმა, ბატონ კონ-





სტანტინებზე ვიოცნებოთ და ვისაუბროთ. დროსთან, უფერულ, ბნელ თუ ცეცხლოვან სივრცესთან, ადამიანთა ყველა თვისებასთან, ქარიშხლიან სტიქიასთან, ბოროტ მოვლენებთან, წარსულში ჩამარხულ მტრებთან თუ თანამედროვეთა გახელებასთან მებრძოლ სამაგალითო ხელოვანს, ისევ ვეახლოთ. ალბათ თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი დაიბადა...

შუქნათელი მწერლის ნანარმოებთა თხრობის გმირი, რომელიც გამორჩეულ ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ, რელიგიურ, მისტიკურ, ზოჯვერ რეალურ-ირეალურსაც, ასევე სიურეალიზმის აბსტრაქტული თუ პიპერრეალიზმის უცნაურ ფორმათ ხილვათა სხეულსაც ფლობს. ყველა მათგანს თავისი დამოუკიდებელი ჩამოსახმული ხმა, ფერთ ჰარმონია, ლაკონიზმი გააჩნია. გამოკვეთილი ხასიათი, ზნე, მთლიანი სხეულის კონსტრუქცია თვითმყოფადი, უფსკეროდ სიღრმისეული სულიერ-ფსიქოლოგიურად ნაძერნი პორტრეტებისა; რითაც უნაკლოდ, ეპოქათ სრულყოფილი ხატვაა, მხატვარ კლასიკოსების, ბრეიგელ-ბოსხისმიერობით: უფრო ღრმად ნარმოვიდგნოთ, თითქოსდა ეგვიპტური, მუქი ლურჯი გრანტის ქნდაკებათ, ფორმა-ხაზთსხმულია; ან, კოლხური უძველესი წელფორმიანი ამფორებივითა - ტევადი, უხილავ აზრთ უსასრულობისა. საკვირველი და შორეული ზომა ხედვაა მოქმედება მრავალხმიანი. მათგან იდუმალი მინიშნებებიცაა მინყვდიადებულ, პელაზგურ-ეტრუსკულ, უძველეს კოლხურ არქაიად შერწყმულ-მოწეულ, ინსტინქტურ-წარმოსახვათ ზიარებისა, რომელთაც უხსოვარდონიდელი, ურყევად მოარული ფანტასტიკური ინსტინქტ-მისტიკა ახლავს...

ნუ გიკვირთ და უკადრისად ნურც გაფრთხობთ, მეგობრები! ზემოთ მოხსენიებული შორეული ვარაუდები; ჩვენი მზის სისტემისა და უსასრულო სამყაროს დროთა სვლა, რა თქმა უნდა, ძალიან სწრაფი და უახლოესია: მხოლოდ ჩვენთანაა ათასწლეულებად აღრიცხული. არაა გასაკვირი, ქართულ თანამედროვეებშიც რომ ელავდეს შემერული, ხეთური, ქალდეური, პელაზგური, ძველბერძნული, ბაბილონური ატლანტიდების თუ ძველკოლხურ-იბერიული სულიერი გრძობა, განცდა, ნიჭით მერამდენედ მოსვლის გენეტიკური სინათლე უხილავი მოლეკულებისა. სამყაროს დრო ხომ, ასტრონომიულ-კოსმოსური ცნებიდან გამომდინარე, სივრცეში თვალის დახამსახმებაა: მანიც თუ ვერას გავხდით თქვენთან შედარებებით დარწმუნებას, მაშინ პირვენულ, ეროვნულ, გვაროვნულ თუ რასისტულ გრენეტიკასაც ხომ ვერ უარყოფთ?

მგონი, მოგბეზრეთ თავი, მაშინ, დაუბრუნდეთ დიდი მაესტროს ისტორიულ შემოქმედებით დარბაზს. მერამდენედ მკვეთრი მზერით გადმომხედვა მითოლოგიურმა მწერალმა და მეუბნება, თუ გინდა, ჩემს პორტრეტზე მუშაობისას ფოტოებით ისარგებლე, ყმანვილ! მირანდას მოვატანინებ ალბომს და... საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი,

უმალ მართალი პროფესიონალური გადაწყვეტილება უნდა მიმელო. წამიერი დუმილის მერმე, სამხატვრო აკადემიაში გვეკრძალება ფოტოებიდან ხატვა, თანაც ცოცხალი პიროვნებისა, ჩემო ბატონი! ვუპასუხე და ისევ უხერხული განწყობილება ჩაწვა.

დრო! წარსულ-ამწყო-მომავლით ჩვენს ორგვლივ თვითონებურად ნაწილდებოდა და უძველესი კედლის საათის ისრებზე თითქოს თანაბრად ილექტოდა. ანმყო? ჩვენთან იდგა და გარბოდა კიდევაც... მეორე სადღეგრძელოთი შენ გაგიმარჯოს! წარმოთქვა მაესტრომ. სახელი არ უკითხავს, მეც ვერ შევაძრე და თავი შევიკავე. მერმე სიზმარივით მიეკარა კოლხურ წითელ ღვინოს და ფუჟეროლი მოშორებით დადგა. ნეტავ როგორი გემოსაი ბატონი კონსტანტინეს რჩეული ღვინო? ჩემს თავს საიდუმლოდ ვეკითხები. სადღეგრძელოზე მადლობა მოვახსენე. მასწავლებლებით ხარ კმაყოფილი? სტიპენდიას თუ ღებულობო და მკაცრად გადმომხედვა. მასპინძლისეულ ყველა შეკითხვაზე, დიახ ბატონი! სიმართლე მიუვეგ. შემდგომ ვგრძნობ, უკვე დაილალა ჩემი ოცნების მწერალ-მასპინძლი და დროზე, ჩემდა ბედად, ბატონი კონსტანტინე ვადღეგრძელე, ფაქტებით, სურვილებით დიდად შევამკე, ჩემი სიტყვა-აზროვნების მიხედვით და სითბო-სიყვარულიდან გამომდინარე, მადლობის ნიშნად თავს ოდნავ შესამჩნევად მიქნეს, შემომხედა და, ლაზერის სხივივით, ჩემს მორჩილ თვალ-სხეულზე კეთილგამჭოლად გაიარა პირველად ხილულმა მზერამ... მერმე ისევ შევთამამდი და მივმართე, კონსტანტინე ბატონი! თქვენ, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული, სოფელ ძველისენაკის ორწლიანი დაწყებითი სკოლა გაქვთ დამთავრებული და სოფლებულები, დიდ-პატარიანად, ვამაყობთ თქვენით. დიახ, ბატონი! მთელ სოფელს ძლიერ უყვარხართ. მაშინ მაესტროს კითხვა-ნამოძახილი იყო - ფრიად ბაშმური, მართლა უუყვარვარვა?! მე კი უხმო, ვაიმეთი?! შინაგანად ჩავიკვნესე: იმდენად, რომ სიტყვიერად ვერ გამოვხატავ, ჩემო ბატონი! დაუუმატე და ჩვენში თითქოს გარემო ამინდი შეიცვალაო, შექთ გამონათობით ღიმილმა მთელ სახე-სხეულს გადაუარა. უფრო მეტად ვასიამოვნებ-მეტე და ვეუბნები: უსაზღვრო უფლისმიერი ძალა ჰქონია სოფელ ძველისენაკს, ამოდენა გენიოსი რომ გამოგზარდათ და მესამედ ისევ გავალიმე, უფრო გავაცინე კიდევაც.

ბოლო წლებში, როცა მოეძალა ავადმყოფობები, მძიმე ფიქრები, დეპრესიები: ქვეყანასთან, ოჯახთან, თავისი შედევრებთან, გმირებთან (მწერალი ხომ თავისივე ნაშობი გმირით ფასდება), მზე, სინათლე ქვეყანასთან განშორების დღეები, თვეები თუ წლები, მკაცრი კოსმოსი აკონტროლებდა, მამა ღმერთი, ძე ღვთისა იესო ქრისტე. ადამიანი თავადვე მცირე განყენებული კოსმოსია: იბადება, იზრდება - იწვის, იფიტება და ქრება. მერმე კვლავ ალსდგება და ამდაგვარი ფორმით ტრიალებს ცოცხალი სამყარო, უხილავი მოლეკულებიდან დაწყებული. ქვეყნიერ-





ების ყოვლისმომცველი სული ხომ უსაზღვროდაა გადანაწილებული, როგორც უფალია ყველგან (პატარა ია-ის ყვავილშიც რომ დანიავობს), უსასრულობაში – კოსმოსში და მის ორომტრიალში, შავი ხვრელის სიმძაფრითურთ, ყოველგვარი ზეკანონით, ზნეოპრივ ჭეშმარიტებათა მთლიანობაა...

უმდიდრესი-თვითმყოფადი, ლიტერატურულ-მხატვრული, თანამედროვე თუ ისტორიული გმირების გალერეა, ბატონი კონსტანტინეს ფსიქოლოგიურ-ზნეოპრივი, წმიდა ეროვნულ-კაცობრიული უმტკიცესი კანონ-წესდებაა... უცილოდ, ურთულესი მიზანია, მაგრამ ანთებულ ბრწყინვალე მაესტროს, შინაგან იდუმალ უხილაობას მინდა მივუახლოვდე: ვარსკვლავეთის მრავალმხრივ გადავსებული სივრცე უზომოდ მდიდარია მუსიკით, აზრებით, ფერებით, ფორმებ-ხაზებით, პოეზიით, ფილოსოფია-მეცნიერულ-საოცრება-უხილაობებით. შეუსებლობაში ინახება მომავალი ცივილური და რელიგიათ სიახლეები. სავსეობაა უკეთურ-სიკეთე და სიყვარულით, რომელსაც გამონაკლისი სწვდებიან და ურთიერთკავშირად, უსასრულოდ კოსმიურ-უფლისმიერი სული დანიავობს ყველგან. მომავლის მილიონობით წლებში მაგ სიმდიდრეს პოლულობდნენ იქნება მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მოქანდაკები, ფერმწერები-მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, ღრმად მოაზროვნე მორჩმუნები, ნათელმხილველები და მეცნიერები: ყოველივე მიუწვდომლობას მიაგნებენ და მოზიდავენ მხოლოდ გენიალური ნიჭის ადამიანები, უბრალო ადამიანებისთვის მაინც ძნელად მისაწვდომი, მაგრამ მათი სულიერ-გონებრივი ამაღლებელნი.

დავუბრუნდეთ სასიამოვნო განწყობილებას, გონებით შორს მყოფი მწერალი, გახსნილი სახით,

სივრცეს უცქერდა. კეთილი საუბარი და სიმშვიდე ხომ მკურნალია ნებისმიერ შემთხვევაში... ზომიერი გამბედაობა არ მაკლდა, რათა დროულად რომ გამხსენებოდა და ერთი წინადადებალა მეთქვა, კონსტანტინე ბატონო! ხელისუფლებამ პატარა ბინა-ოთახი რომ მომცეს, თქვენს ერთ ტელეფონის ზარს შეუძლია-მეთქი. თან უკვე გულ-ლიად და სიამაყით განვაცხადე, რომ კომავაკშირელი არა ვარ და მომავალშიც ღმერთმა დამიფაროს-მეთქი. კომავაკშირელი არა ხარ, ყმანვილო? ცნობისმოვარეობით კითხვა დამისვა და ნდობით აევსო თვალები, საგანგებოდ შემომხედა, თითქოს ეხლა აღმომაჩინაო.

მამაჩემი, კონსტანტინე ბატონო! ათას ცხრას ოცდაოთხის აჯანყების გამოსვლის მონაწილე გახლდათ, ქაუცა ჩოლოყაშვილის წინამძღლოლობით. ბოლშევკი საშა გეგეჭკორის დაუქერია და მემბოხეთა, მორიგ დასახვრეტთა სიაში შეუტანია, მაგრამ ბედად იმ დღეებში ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია სენაში ჩამოსულან და მათ გადაურჩენიათ მრავალნიც: ასე უთქვამთ გეგეჭკორზე, რა გიქნია, შე კაცო, მთელი სამეგრელო დაგიხვრეტიაო, შეწყვიტე ეხლავეო! ნაღვლიანად ამოიხვენება მაესტრომ, თითები მაგიდაზე დაკავუნა და სახეზე ზიზლი გამოეხატა. ბაბუაჩემი ნიკო ადამია მაზრის მწერალი გახლდათ, მერე კომუნისტებს გაუკულაკებიათ. კა! მახსოვს ბუნდოვნად, სოფლის ხალხში ნახსენებიდან,.. დაილაპარაკა მწერალმა და თავი დახარა; კოლხური კოშკისეული სიმშვიდე უხილავი დინებით შემოიპარა დარბაზში და მაესტრომ, დალლილმა, ფარულ-ჩათვლიმა...

საშინელებაა ადამიანის ცხოვრება, შინაგანად მუდამუშამს მარტობაში ყოფილით...

ალბათ დასვენების დროა დიდი შემოქმედის, ფიქრმა გამკრა; ასაკოვანი მწერლის უზომო შრომა-გონიერივი; სიცოცხლე-გარემოსთან უმძიმესი ურთიერთობა, ულმრთო კომუნისტებთან გაუთავებელი დავა; ვერაფრით ვერ დაუმტკიცებდით მათ, რუსეთი, ახალ ერებყლაპიად რომ ჩამოაყალიბეს. ბუნებრივი ავადმყოფობა და ასაკიც ეძალებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს...

საკვირველი არა? ყოველგვარი შედევრების შექმნა ცვეთს შემოქმედის ორგანიზმს თავისი სხეულის უმცირესი ორგანობითაც: რომელიც დაუზოგავ, თავისთავად ფიზიკურ, სულიერ-გონებრივ შენირვას წარმოადგენს.

იშვიათობაა მსოფლიო პროზაში, მაგდაგვარი მოხდენილი ანდამატური თხრობის, მხატვრულ ულამაზესი ხატოვანი ფორმა. მიადევნეთ გონებრივი მზერა და იხილავთ მუქი წავლისფერი კოლხურ-იბე-





რიული ცხენ-რაშის ფრიად შეკაზმულის მიერობას: წერის სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფი გემოვნება. აზრთ ჰარმონია მხატვარ ანრი მატისისული, ხაზთ სელა, ნარნარ დინება ფორმათ ყოველივესი. მოციქულთა ოთხთავივით საამოდ რომ იკითხება. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ განუმეორებელი, ლიტერატურულ სივრცეში მუსიკალურ-პროზაული უნაკლო პოემაა, გენიალურ პოეტთათვისაც თეთრი შურის აღმძრელი. თხრობა-მოყოლისას ნებისმიერი სიტყვა-წინადადებით, ტანში ურუანტელის მომგვრელი სიახლე, აზრთ წყობით; ეგვიპტური ფრესკათ მოხატულობის შეპარვითი მრავალხაზოვანი განწყობილებაა, სიტყვათ-ფერ, აზრ-ფორმათ პროპორციები, მხოლოდ ავტორისული სტილისებური მოქმედების ლიტერატურულ ჰარმონიად გვეცხადება... ქართული, ღრმად მოაზროვნე სიტყვები ინდივიდუალურად ისე მოძრაობები, ბექა და ბეშქენ აპიზრებისეულ ორნამენტებად მოიჭედებ-მოიხატებია!..

ერთხელ, პარიზში, ლუვრის ფერწერული სურათების დარბაზებიდან გამოვედი, ულამაზესი ეზოს ჩრდილოვან მხარეს მარმარილოს გრძელ სკამზე განვმარტოვდა. ფერწერული შედევრების განვანი ალფრონოვანებულს მინდოდა და ყოველმხრივ ვეცადე შედევრ ქმნილებით თეორიულად განმეოლა, ჩანარწევის უცხო შეგრძნება, სტილი და კულტურა ოსტატობისა როს შეგიპყრობს და ნეტარ უზომო სულიერ სიამოვნებას განგაცდევინებს. აქ

უთუოდ, მაგ შემთხვევაში, დმერთი კეთილი განმანათლებლად შემოვიდა შენში უშუალოდ შედევრიდან და უფრო მეტი რამე არსებობს? ახსნით?! ლამაზი თუ ნებისმიერი ქალის სიყვარულს? შესძლებთ, აის-დაისის მშვენიერების სულიერადაც დასურათებას? ან ბრძულ სიახლე ღვთაებრივ აზრებს ბოლომდე ჩასწვდებით? ძნელია, იტყვიან. ამიტომაცაა ხელოვნების შედევრები უმეტესთათვის მიუწვდომელი, რადგან ყველგან მათში იდუმალებათა უფაქიზესი ანგელოზისეული მრავალი უნატიფესი ნიუანსია დაგანებული. დიდი ხელოვნება სამყაროს უსასრულობიდან გადმოიდინება და უმნიშვნელო ხელი სვლით უკანვე მიცოცავს, კვლავ დიდი ნიჭია საჭირო მათი ჩვენს პლანეტაზე მუდმივად დატოვება-შენარჩუნებისა (დედამიწიდან დროთა უამში, ცოტა ხელოვნების შედევრებია გამქრალი?).

ამდაგვარი ფიქრ-მდგომარეობით ლუვრის ეზოში ვზივარ და ვუტრიალებ შედევრთა მიუდგომელი გემოვნების ღვთიურ უზრულობას, ყოველმხრივ ვეცადე მრავალგზის თეორიულად განმეხილა და მიახლოებითაც ვერ მივედი იქამდის. აზრთ წარმოუდგენელი ღვთიური იდუმალებაა, არაამქვეყნიურ-მინიერი შეგრძნებაა და უფრო შენში უფლის-მიერობითი ურთულესი სივრცე მუღავნდება. ყოველგვარი ამაღლებულობა ხომ ოპტიმისტური იქნება, თუ პესიმისტური ღვთიურ-ადამიანურ გრძნობათა მთლიანობაა ღრმად დადებითობისა: იმდენად ღვთაებრივია სიტყვა-აზრთ ჯადოსახმული მაქსტროს რომანები, მოთხრობები და ნოველები, რომ სრული წარმოდგენა გეუფლებათ. მთლიანობაში თითქოსდა მარადიული ზნეობრივ-კაცობრიული ჯანსაღი სულისმიერობითი ურლვევი გემოვნებითი ფორმაა;

„თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება – აი მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის გამრთობი იყოს“. – ბალზაკი. კონსატანტინე გამსახურდია, ჭეშმარიტი მსახურია ამ ზეგონებრივი აზრისა...“

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისა; დარბაზში სიმშვიდეს, ფიქრები, აზრები, ნანარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნეობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერებია. ეზოდან ოდნავ ჩიტების ხმა ისმის... უმაღნამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაიღალა, ბატონი! დილით ადრე იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა, „თამარ“ დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი ავიღე, „ეტიუდინები“ მხარზე გადავიტიდე და კეთილ დიასახლისა გულთბილი მადლიერებით დაგვემშვიდობე. წამით შევჩერდი და უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს





კონსტანტინე ბატონშვილი, რადგან დაუშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ლირსებას-მეთქე! არა უშავს, ბატონი! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ წუთებში უკმარისობის გრძნობით დათრგუნულს, უჩვეულო შინაგანი უძლეურობის სიმძიმე დამანვა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლეჯური კოშკის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდის სიცოცხლის დრონდელი კოლეჯური კოშკის ამსახველი ფერწერული ტილო; ან საჩუქრად გადამეცა ოჯახზე. თუმცა, ბატონი კონსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდის ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლეჯური კოშკი რომ გადაწვეს, შეუდარებელი, მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ხელოვნების ნაწარმოებში ღმერთი სთავაზობს და კაცი განაგებს“. – ანდრე შიდა.

ჩვენს პლანეტაზე გამხელილი ყოველგვარი შედევრის მთავარი შემოქმედი უფალია! ლეთისეული გენის სული, ნიჭი და გონება დედამინის აურაცხელ პირვებებზე უყბარი მკურნალ-წამალია ან უმდიდრესი კარაბადინი და, განსაზღვრული დროის შემდგომ, ანმყოს მორჩილი სხეული ხდება: ხოლო მოსვლა, ანმყოდ შობილის ისევ რომ გადასცემს მომავალს – ვარსკვლავეთური ქმედებაა (ამ საკითხზე ზემოთ გესაუბრეთ, ოლონდ სხვა კუთხით) დაუსრულებელი. შედეგად, ნაწარმოებზე იტყვიან, ულმობელ დროს გაუძლოო. მე კი ასე ვიტყოდი: მგრძნობიარე დრომ მარადიულს გვერდი აუარა და სვლა განაგრძო (თუმცა სტიქია და ადამიანები დროზე უმეტესად ანადგურებენ კოსმიურ ქმნილებებს...). ზოგჯერ ლიმილით მიფიქრია, უზომოდ და უსაშევლოდ ქარიანი კუთხის სხვადასხვა დონის და თვისების ნაშერნი, როგორ შევიდობიან გარემოცაში ვურთიერთობდით ლეგნდარული კოლეური კოშკის ლეთიურ სივრცეში. უთუოდ რომ შორეულ წარსულში, ახალგაზრდობისას, ჩემზე მეტად განუცდია დიდოსტატი აბაშის, უფრო სამეგრელოს, ქარის თავხედურ ფორიაქთ მოვლენები. ყოველივე რა საფიქრალია, მაგრამ დროთა ლია ნაპრალები ხომ აღუვსებელია მარადის. თქმა უნდა მაგას? უკმარისობის გრძნობა რომ შეგანუხებს ბატონი კონსტანტინეს შემოქმედების შეგრძნება-განხილვისას, უფრო ნიჭ-სიყვარულისა, ხოლო ნაწარმოების გემოვნების უკუნარმოსახვის გადაყვანისას მთავრდება უშედეგოდ; ამიტომ ამ ფორმის ნაზრევით ამ-დაგვარად მინდა დავამთავრო...

კონსტანტინე გამსახურდის სიახლე აღუნერელ გემოვნებიანი სტილძარღვიანი პროზა, შემოქმედებ-

ითი სრულყოფილებაა ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით, სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდელობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს აღვივებდა. თავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ეპრძოდა როგორც წარსულის, ასევე იდეურად აღტურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისე ვით უხორცუ უშიშარი, დაუდგრომელ-მოუსვენარი და სუსხიანი ნიჭ-გენიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებებით, პირადი ჯანმრთელობა დღითი დღე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იოანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმიდა მებრძოლი, ზეციდან ახლად მოვლენილი მორიგი შეწირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უჯლისმიერ ნიჭო-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირნმინდად მიაბრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონმოდინარე ხატიან, რომელიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცხადა. მთელი სიცოცხლე ნათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმიდა სისხლისაგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით დღენიადაგ კვებავდა მარად ტანჯულ, შინაური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შეწირული გმირები.

ღია ზეცის გუმბათიდან უძველესი და უძლეველი კოლხეთის მეფე აიეტ – მზის ღმერთის შვილი და ლეგენდა, გმირი მეფის, დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი ცრემლი, ვარსკვლავეთურ ენერგიად ეპკურებოდა განგებით რჩეულ შვილს...

შემოქმედად გაჩენა და მოღვაწეობა ტკივილ-სიამოვნებითი მოსვლაა სრულყოფილი. დიახ, ეგა მთავარი ფორმა და არსი მიუწვდომელ შემოქმედ ზეციურობისა. სიკვდილითაც ხომ უმძიმესი ტანჯულ, უსასრულო სიამოვნებაში გადასვლაა: სამყარო, კოსმოს-საოცრება – შენ ხარ, უფალ!

უდრევე გენია, ხელოვანი, საბოლოოდ მედგრად დაეგძერა სიკვდილს და დაიმსხვრა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედქმნილი რომანები, მოთხოვებები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-წანარმოებები სამუდმოდ დაობლდაო, ვიდაცებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს. ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კა, სამშობლოს მიწის უამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...

2020 წ.





თინათინ თუშაპრამიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

תְּבִ�ָה

ალექსანდრე გვერდიშის არქივი მდიდარია უძინესობური მემკვიდროობით. არქივში შემონახულია მისაფრი გამოგზა- ვნილი წევრი ნერილი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებისა- გან, რომელთაც მათ დიდი მეტობა აკავშირებდა.

က. ကယ်ပေါ်ကပ်ပါဝါဒ္ဒိန္ဒ

ადრესანტების თვალით დანახული აღექსანდრა გვერდი

ეძღვნება ჩემს პაპას – ალექსანდრე გვენცაძეს

ალექსანდრე გვერცაძემ განვლილი ცხოვრების სანერძლივი გზა მთლიანად დაუკავშირა სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პროფესორი ლეილა შალვაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ნაბჭირი ცეცხლის ანალოგია, კერის მაცოცხლებელი ცეცხლისა. – ინსტიტუტის კერის ცეცხლის პირველ გამჩადებელთა შორისაა ბატონი ალექსანდრე გვერცაძე, რომელიც არა მარტო გამჩადებელი, არამედ ამ ცეცხლის წმინდანად შემნახველიც არის ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე – მისი დაარსების პირველი დღიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე“ (ჭიკაძე, 2009: 109-110). (პროფ. როინ ჭიკაძემ ალექსანდრე გვერცაძეს უძლვნა მონოგრაფია სათაურით – „მოძღვარი“. თანამედროვეთა მოგონებებს ალექსანდრე გვერცაძეზე დავიმორჩებთ ამ წიგნიდან). „პროფესორი ალექსანდრე (სახ) გვერცაძე ერთ-ერთი დამფუძნებელია თელავის პედაგოგური ინსტიტუტისა, შემდეგ კი ხუთ ათეულ წელს საკუთარი მხრებით ზიდა ამ ინსტიტუტის (ამჯერად უნივერსიტეტის) ღირსება“ („ბურჯუ ეროვნებისა“, №7-8 (68), 2003: 30, რედაქტორისა და გამომცემლობის მინანერი პროფ. მაყალა მიქელაძის წერილზე „მოიხსენით ტვირთი, ბატონებო!“! ციკლიდან „მოგონებები პროფ. ალექსანდრე გვერცაძეზე“).

ალექსანდრე გვენცაძის არქივი მდიდარია ეპისტოლური მემკვიდრეობით. არქივში შემონახულია მისადმი გამოგზავნილი ბევრი წერილი ქვეყნის გამოჩერილი ადამიანებისაგან, რომლებთანაც მას დიდი მექანიზმებით აუკვერიობდა.

ალექსანდრე გვერცაძის არქიტექტორი დაცულია საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების: აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას წერილები; შემონახულია მისი კოლეგების, პროფესორების: შოთა დიძგურის, ალექსანდრე ლლონგტის, ივანე გიგ-ნეიშვილის, გრიგოლ იმნაიშვილის, გრიგოლ კიქაძის, გიორგი მალამბერიძის, არაბ მარტორისოვის, ივანე ქავთარაძის, მიხეილ ჩიქოვანის, სტეფანე ჩხერიმელის,

და სხვათა წერილები; არქივში დაცულია ალექსანდრე გვერცაძის უფროსი კოლეგების, პროფესორების: სიმონ ყაუხხიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, ავლიძ ზურაბიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის; მწერლების: ანა კალანდაძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშმაშვილის, გიორგი ნატროშვილის, ნიკა აგიაშვილის, ერემია ქარელიშვილისა და სხვათა პირადი ბარათები. ალექსანდრე გვერცაძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთანაც – იოლანდა და მარშევთან, რუთ ნოიკომთან და ლეა ფლურთან. მის არქივში შემონახულია ციურისხელი მეცნიერის ლეა ფლურის წერილები. დასანანია, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვენახა საინტერესო ეპისტოლური მემკვიდრეობიდან.

სამწეულაროდ, ჯერჯერობით, ვერ მოვიპოვეთ
ალექსანდრე გვენცაძის მიერ გაგზავნილი პირადი ბა-
რათები (გარდა ოჯახის წევრებისადმი გამოგზავნილი
წერილებისა), რომლებიც, ვფიქრობთ, მრავლად იქნება
დაცული მისი ადრექსატების არქივებში. ამასთან დაკა-
ვშირებით, აკადემიკოს ვარლამ თოლიურიას შევიღი —
პროფესორი გურამ თოლიურია წერს: „ვარლამ თოლიუ-
რიას არქივში ბატონ ალექსანდრე გვენცაძის 12 წერ-
ილია დაცული. ყველა ეს წერილი, გარდა იმისა, რომ
ფრიად საქმიანი და ავტორის სამეცნიერო-პედაგოგი-
ური მოღვაწეობის სხვადასხვა უბანს მოიცავს, დიდი
ადამიანური სითბოთი არის გამსჭვალული — მათში
კარგად ჩანს ბატონი ალექსანდრე, როგორც მოქალაქე
და მეცნიერი, — თავისი მეორე მშობლიური, კუთხის,
კახეთის, უანგარო მზრუნველი. ყველა წერილს აკუ-
რატული კაცის ხელი ატყვია — თითოეულ მათგანს
ზუსტი თარიღი უზის, ამას იმიტომ ალვინშნავთ, რომ
წერილებით ბევრი ფაქტის, მოვლენის დათარილე-
ბა-დაზუსტება შეიძლება — ასე ვთქვათ, წერილს დო-
კუმენტის ძალა შეიძლება ჰქონდეს.

ბატონ ალექსანდრეს და მამაჩემს – ვარლამ თო-
ფურიას, განსაკუთრებული თბილი და კეთილი ადა-
მიანური და კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდათ

(მრავალმხრივ საქმიანი, მეცნიერულ მხარეს რომ თავი დავანებოთ). ჩვენი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ბ-ნი ალექსანდრესათვის – იგი ჩვენი ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. ვარლამ თოფურიაც არაერთგზის ყოფილა სტუმრად თელავში ბატონ ალექსანდრეს ოჯახში და უგრძვნია მადლი ამ ოჯახის სტუმართმოყვარეობისა.

ამ ურთიერთობას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი (თუ უფრო ადრე არა), რასაც მონაბეჭდის ბატონ ალექსანდრეს ერთი წერილი, რომელიც 1939 წლის სექტემბრითაა დათარიღებული:

პ-ნო ვარლამ!

მუდამ იცოცხლეთ. ოჯახის ბედნიერება არ მოგეხალოთ.

ბოდიში პასუხის დაგვიანებისათვის. თქვენმა ბარათმა ძალიან შემაწუხა იმიტომ, რომ თქვენ კი არ მიძრძანებდით, მთხოვდით.

მაინც ავმაღლდი სულიერად. გმადლობთ.

ბატონო ვარლამ! თელავის ინსტიტუტმა ხათაბალაში გამხვია, სხვა ვერაცინ იშოვეს და, – მე შემომთავაზეს ფაკულტეტის დეკანობა, აგრეთვე, ქართული ენის კურსის წაკითხვა. შიმრეულობით არ დავთანხმებულვარ, მაგრამ მოკრძალებით, – კი.

ბატონო ვარლამ! ყველაფერი გამიბედია თქვენი იმედით. გნახავთ რჩევა-დარიგებისათვის.

მე გამუდებით თვალ-ყურს ვადევნებ თქვენს მუშაობას: ეს „თქვენ“ ამ ადამიანებს გულისხმობას: პროფ. ა. შანიძეს, პროფ. არნ. ჩიქობავას და პროფ. ვ. თოფურიას.

მე აქ არ უნდა ვცდებოდე. მე ისიც მახარებს, რომ თქვენი მუშაობისადმი ძირითადად შეიცვალა დამოკიდებულება. თავიდან რომ ასე ყოფილიყო, შეიძლება უთუოდ, ჩემი ცხოვრებაც სხვაგვარად წარმართულიყო.

ბატონო ვარლამ! ვიცი, გაგაცდენთ, მაგრამ აუცილებლად უნდა გნახოთ.

ბოდიში! მუდამ კარგად.

პ-ით ალ. გვენცაძე

10 სექ. 1939 წელი.

თელავი


მე ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით ვიგორებ ხოლმე ბატონ ალექსანდრეს იმ ყურადღებისა და სითბოსათვის, რასაც ის იჩენდა დედისა და საერთოდ ჩვენი ოჯახის მიმართ ვარლამ თოფურიას გარდაცალების შემდეგ. მისთვის ხმამაღლა ეს მადლობა არ მითქვას. ახლა ვამზობ.

ახლაც თვალწინ მიდგას ბატონი ალექსანდრე თავისი ქირქილ-შეპარული ღიმილით“ (106-108).

პროფ. გ. თოფურია.

16. VIII. 2003.

დეკანობას და ქართული ენის კურსის წაკითხვას მოკრძალებით დავთანხმდით – წერს ალექსანდრე გვენცაძე ვარლამ თოფურიას. იგი მართლაც მონი-



ანა კალანდაძე და ალექსანდრე გვენცაძე

ნებულ, მორიდებულ, თავაზიან ადამიანად შემორჩა თანამედროვეთა მეხსიერებასაც. 1978 წლის 20 მარტს პროფესორი ივანე ქავთარაძე სწრეს ადრესატს: „ალ-ბათ, თქვენ თავაზიანობა არ მოგცემთ ნებას თბილისში როცა ჩამოხვალთ, არ გვნახოთ“. 1968 წლის 26 ნოემბრეს კვლავ ივანე ქავთარაძე სწრეს ალექსანდრე გვენცაძეს: „ბატონო ალექსანდრე! დიდი მადლობა თქვენთვის ჩვეული თავაზიანობისთვის“.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ალექსანდრე გვენცაძის სისადავე, უბრალოება და თავმდაბლობა. ყველასთან თანაზომიერი ბრძანდებოდა. პროფ. მაყვალა მიქელაძე იგორებს: „მისთვის არ არსებობდნენ ე. ნ. „მალალი“ და „დაბალი“ პიროვნებები, არამედ იყვნენ მხოლოდ „ადამიანები“. ასეთი ზეპუნებრივი თავმდაბლობის შემყურეს გვჯეროდა ცნობილი შეგონება იმის შესახებ, რომ „ქეშმარიტი დიდება დიდების უარყოფაში მოიპოვება მხოლოდ“ (113-114). ალექსანდრე გვენცაძის ყოფილი სტუდენტი, თბილისის 65-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი თამარ იქრიპირიძე 1992 წლის 1 აპრილს სწრეს ადრესატს: „მე განზრახული მქონდა, თქვენთვის ახალი წელი დეპეშით მომელოცა, მაგრამ დეკემბრის მიწურულიდან თბილისში დატრიალებულმა თემურლევნებით უკველაფერი ჩაშალა... თქვენი წიგნი და წერილი 17 იანვარს მივიღე და პასუხი დღემდე დაგივიანეთ, გამიხარდა, რომ „მეგობარი და კოლეგა“ მიწოდეთ... განა ამდენი დავიმსახურე?! გფარავდეთ ღმერთი!“.

ალექსანდრე გვენცაძეს არაფერი და არავინ რჩებოდა ყურადღების გარეშე. მისი ადრესატები მუდმივად მადლობას უხდიან მას თანადგომისათვის, განეული დახმარებისათვის. ამიტომ იყო იგი გარემოცული ურიცხვე ადამიანთა სიყვარულით. პროფ. სიმონ ყაუხეჩიშვილი ალექსანდრე გვენცაძეს სწრეს:





„ქვირფას ალექსანდრეს სალამი და მადლობა, რომ გაგახსენდით“. მას არასოდეს გამორჩებოდა სხვათა მნიშვნელოვანი დღეები. აკაკი შანიძის მიერ ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ პირად ბარათში ენათ-მეცნიერების პატრიარქი სწერს: „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! მივიღე თქვენი მოლოცვა ჩემი დაბადების 90 წლითავის გამო. მოლოცვა ალბომის 23 გვერდზე მოთავსებული... ალბომმა მომაგონა ჩვენი ერთად მუშაობა უნივერსიტეტის ლექსიკოლოგის კაბინეტში...“. აკაკი შანიძე ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ ბარათში დიდ მადლობას უზდის ადრესატს იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც იგი ჩენდა დიდი მეცნიერისა და თავისი მასწავლებლის მიმართ. 1975 წლის 22 იანვარით დათარიღებულ წერილში აკაკი შანიძე წერს: „დიდად გმადლობთ, ბატონო ალექსანდრე, თქვენი „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლების მოძღვნისათვის“. დიდი მეცნიერის მიერ ალექსანდრე გვენცაძისადმი მადლიერების გამომხატველი წერილები უხვად არის დაცული თავის ადრესატის არქივში. თბილისიდან თელავში ხშირად ენყობოდა ხოლმე სტუდენტთა ექსპედიციები. პროფესიონალურ ვარლამ თოფურიას სტუდენტები გამოგზავნია კახეთში, თელავის რაიონში, დიალექტოლოგიური მასალის ჩასახერად. ბატონი გვენცაძე კისრულობდა მათ დაბინავება-მოწყობას და ყოველგვარ ყურადღებას ჩენდა მათდამი. თბილისში ჩასულმა სტუდენტებმა ბატონ ვარლამსა და ქართული ენის კათედრას წარუდგინეს ანგარიში. 1954 წლის 30 იანვარს ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ წერილში ბატონი ვარლამი წერს: „გიგზავნით უნივერსიტეტის გაზეთს... წინა წლებშიც და 1953 წელსაც სტუდენტები თავიანთ საანგარიშო მოხსენებაში, რომელსაც ისმენდა კათედრის გაფართოებული სხდომა, სიამოვნებით და მადლობით აღნიშნავდნენ თქვენს ყურადღებას და დახმარებას.“

მადლობელი ვართ! მადლიერების გრძნობას ყურადღებიანი ადრესატისადმი უფრო ადრე, 1952 წლის 26 ივნისს მონერილ წერილში ვარლამ თოფურია ასე გამოხატავს: „...დიდი, დიდი მადლობა. კარგია, რომ არამი და გრიგოლი დაბინავდნენ (იგულისხმებიან პროფესიონერები არამ მარტიროსოვი და გრიგოლ იმნაიშვილი. თ.). თქვენი დახმარება ძალიან კარგია, მაგრამ სარჯეს მაინც ნუ გასწევთ“. ამავე წერილში დიდი მეცნიერი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „...მადლობელი ვარ სტუდენტებისადმი ყურადღებისათვის, მაგრამ რა გამოვიდა თქვენ თუ ასე დაივალდებულეთ თავი და დრო დახარჯეთ, ხარჯი გასწიეთ. შემდეგში იძულებული გავხდები არ მოგმართოთ ამგვარი თხოვნით“. ალექსანდრე გვენცაძის ხასიათის თვისება – ყურადღებიანობა ბევრისათვის იყო ცნობილი. პროფ. მიხეილ ჩიქვანის მიერ გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „პატ. ალექსანდრე! მაინტერესებს რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა კახური გაგების მხრივ... მე მაქვს ალმატის ჩანახერები. მინდა შემოწმება და იქნებ თქვენ ყურადღებიანობაც ვისარგებლო“ ალექსანდრე გვენცაძის ყურადღებიანობით მადლიერებას გამოხატავს პოეტი ანა კალანდაძეც. იგი სწერს ადრესატს: „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! თქვე-

ნი ჩემდამი კვლავ ასეთი ყურადღებისათვის მადლობას გიხდით... სიყვარულით მოვიკოთხავ თქვენებს და მოწინებით გაახლებთ ჩემს კრებულს“. ალექსანდრე გვენცაძეს მუდმივი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა სხვადასხვა დაწესებულებასთან, რომლებსაც მუდმივად ანებივრებდა თავისი ყურადღებით. 1984 წლის 17 ივნისს ადრესატს წერილი მოსდის ნატო ვაჩანაძის სახლ-მუზეუმიდან: „ბატონო ალექსანდრე! ნატო ვაჩანაძის სახლ-მუზეუმის დირექცია კიდევ ერთხელ გიხდით უღრმეს მადლობას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ ჩენთ ჩვენ მიმართ“. ალექსანდრე გვენცაძეს ყურადღებას უმაღლის ციურიხელი ქართველოლოგი ლეა ფლური. იგი 1967 წლის 7 იანვარს სწერს თავის ქართველ მეგობარს: „დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!.. მოგვივიდა თქვენ 25 აგვისტოს კეთილი ბარათი... თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნი აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ მივიღეთ. დიდად გმადლობთ ყურადღება და გარჯისათვის“. ცნობილი უურნალისტი წუნული მოგნებას: „...არც მოვალეობას უღალატებს, არც არვის მოაკლებს ყურადღებას და არც არვინ გამორჩება არა-სოდეს მხედველობიდან ჭირსა თუ ლხინში“ (163). ალექსანდრე გვენცაძის ყურადღებინობით მოხიბლული პროფ. ივანე ქავთარაძე 1978 წლის 20 მარტს სწერს ადრესატს: „...მანანას (ალექსანდრე გვენცაძის შეილი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონი ივანეს სტუდენტი იყო. თ. თ.) დიდი მოკითხვა და საკუეთესო სურვილები. ბედნიერი, სახელოვანი და ყურადღებიანი მშობელი ყოფილიყოს, როგორც თქვენ ხართ მის მიმართ“.

ალექსანდრე გვენცაძისათვის დამახასიათებელი თვისება – მზრუნველობა – ყველასათვის ცნობილი იყო. ბატონი ვარლამ ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ ბირად ბარათებში ხშირად გამოხსატავს უხერხულობას იმ მზრუნველობისათვის, რასაც თავისი ადრესატი ჩენდა მეგობრის მიმართ. 1949 წლის 10 აგვისტოს ვარლამ თოფურია სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „...ვარაუდობ, რომ ჩემს ქალიშვილს გამოვასეირნებ და მოვალ, ოღონდ თქვენთან სახლში არა! ახლავე იცოდეთ“. ბატონ ვარლამს სურვილი ჰქონია თელავის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციის ჩატარებისათვის. იგი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „ერთი სათხოვარი მაქეს თქვენთან. კახეთში მოდიან IV კ. სტუდენტები (სულ სამი)... გთხოვთ გზა და კვალი უჩვენით. თქვენებურად ნურც გადაეგებით (შარქან ბევრი მოგვივიდათ ამ მხრივ), მხოლოდ დარიგება მიეცით და გზა უჩვენეთ“. 1965 წელს კი სწერს ადრესატს: „თქვენ უთუოდ მიიღეთ მადლობის წერილი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი-საგან იმ მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენი დამახასიათებელია და რომლითაც ბევრი სარგებლობს და მათ შორის ჩვენი ორი უკანიერი სტუდენტიც“. ალეგვენცაძე დიდად ზრუნავდა თავის მშობლიურ კუთხეზე – რაჭაზე. მის არქივში დაცულია რაჭელების წერილება, რომელიც დიდ მადლობას მოახსენებნ მას იმ ზრუნვისათვის, რასაც იგი ჩენდა მათ მიმართ. ალექსანდრე გვენცაძეს, თავისი თანაკუთხელი და სი-



ყრმის მეგობარი (როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს), თბილისის 61-ე სკოლის ყოფილი დირექტორი – თამარ გიორგიშვილი – 1991 წლის 15 ნოემბერს სწერს: „მადლობა ასეთი ვრცელი და შინაარსიანი წერილისათვის. ჩემი შმობლიური სოფლის პატარა ონის ახლობელი და მოკეთე ყოფილხარ. ეს არ ვიცოდი და ძალზე მესიამოვნა, გამიასკეცდა შენდამი პატივისცემა“.

ალექსანდრე გვენცაძის სტუმართმოყვარეობით ხომ ყველა დიდად მადლიური მიდიოდა თელავიდან, მისი ოჯახიდან. ქართველი მსახიობი – ცაცა ამირე-ჯიბი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „ბ-ნო ალექსანდრე! გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ლამაზი ოჯახით. დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ ლამაზი მასპინძლობისათვის ჩვენი ჯგუფის მიმართ“. ვარ-ლამ თოფურია კი სწერს: „ალექსანდრეს ამთავითვე ვაფრთხილებთ, რომ არ იფიქროს გამასპინძლებაზე ერთი ჭიქა ჩაითაც კი. ამაში აქედანვე შევთანხმდებით“.

ყურადღებიანი, მზრუნველი ბუჟებიდან გამომდინარე, ალექსანდრე გვენცაძე ყველას დამხმარე იყო. მისადმი გიორგი ლეონიძისაგან მოძღვნილ წერილში ვკითხულობს: „პატივცემულ ალექსანდრეს სალამი და დღეგრძელობა! მცირე სათხოვარით მინდა შეგანუხო: თქვენთან აბარებს კურსს ბანცურამშილი (ლექსებსაც წერს, ნიჭირი გოგონაა). მე მინდა სადმე მოგანუყო თბილისში, ან გარეთ რედაქციაში. თუ მოსახერხებელია, იქნებ არ გაანაილოთ. თუ ჩემი თხოვნის შესრულებას შეძლებთ, იქნებ გააგებინოთ მასი!“. ლადო გუდიაშვილიც თხოვნით მიმართავს ალექსანდრე გვენცაძეს. დიდი ხელოვანი 1963 წლის 26 აპრილს სწერს ადრესატს: „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! გთხოვთ, ამ წერილის მომტანს მარინე პაპიძეს დაეხმაროთ, ვფიქრობ, მომზადებულია და თქვენთან არ შემარტებენს. მაპატიეთ შეწუხება. პატივისცმით ლადო გუდიაშვილი. გიგზავნით ჩემს მონოგრაფის საჩუქრად“. ერთი ახალგაზრდის დახმარებას სთხოვს ალექსანდრე გვენცაძეს პროფესორი გაიოზ იმედაშვილიც. 1951 წლის 19 ოქტომბერს იგი სწერს მეგობარს: „ჩემი საშა! ამ ბარათის მომტანი ჩემი საუკეთესო მეგობრის შვილია. კარგი ახალგაზრდაა. ნამდვილად დაინტერესებული ცოდნით. მისი გამოშვება თელავში დამეანგებოდა, მაგრამ რაკი შენ მანდ ხარ, აღარა ვნანობ... თუ დასატუქსი იქნება, დატუქსე და მოფერება დასტირდეს – შენ ხომ ამაში უფრო ბუნებრივი მოწოდება გაქვს“. მადლიური პროფესორი არამ მარტივობოვი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „დიდად პატივცემულო ალექსანდრე! მე და ჩემი ოჯახი დიდად მადლობელი ვართ იმ მეტად საჭირო დახმარებისათვის, რომელიც წელს თქვენ გაუნიერ ჩემს ძმისწელს. სასიამოვნო იქნება ჩემთვის მივიღო თქვენი დავალება, როცა კი ეს საჭირო იქნება“. ალექსანდრე გვენცაძის მეგობარი, პოეტი ოსებზე გრიშაშვილი სწერს ადრესატს: „ძმაო ალექსანდრე! ამ ბარათში მოხსენებული – თამაზ შათორიშვილი – ახალგაზრდა პოეტია, სიღალიდან, მოწყურებულია სწავლას. სურვილი აქეს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა. ძალიან

გთხოვ, მიიღო....“. ალექსანდრე გვენცაძის მეგობარი, პროფესორი მიხეილ ზანდუკელი სთხოვს თავის ადრე-სატს, რომ მან დახმარება გაუნიოს ბატონ ლევან ჭრელაშვილს სადისერტაციო ნაშრომის გარკვეული ნაწილის დაბჭედვაში. 1957 წლის 12 მაისს იგი სწერს ალ. გვენცაძეს: „ჩემო ალექსანდრე!.. იქნებ მოეხმარო თქვენმა ინსტიტუტმა თავის შრომებში დაუბეჭდოს ერთი ნაწილი მაინც... შენებურად მიდექ-მოდექი და კარგი საქმე გააკეთე“.

ალექსანდრე გვენცაძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. დაუზარელი იყო საქმეში. აკაკი შანიძეს გაზითიდან გაუგია მისი დაბადებიდან 75 წლის შესახებ. 1979 წლის 24 დეკემბერს იგი მისალოც ბარათში სწერს ადრესატს: „...ბატონო ალექსანდრე! კვლავაც მენახოს თქვენი დაულალავი შრომის ნაყოფი! (მით, როგორც ჰედავთ, ჩემს თავსაც ვლოცავა“). პროფესორი ქეთევან ძინენიძე კი 1954 წლის 10 მაისს სწერს: „პატივცემულო ალექსანდრე! ავტო რომ არ გაგვიუქებოდა, მაქვე დავწერდა და თქვენს ათას სხვა საზრუნავს ამ ნაშრომთა რეცენზიის დაწერა აღარ მიემატებოდა“.

ალექსანდრე გვენცაძის ნიჭა და შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან მოიპოვა სახელოვანი მამულიშვილების, მეცნიერების, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების, რიგითი თანამემამულეების, სტუდენტებს შერიდან დიდი აღიარება. 1961 წელს იოსებ გრიშაშვილი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „ალექსანდრე! ამასწინათ დავავალეთ ერთ ამხანაგს, ჩემი ახალი წიგნი „თეატრალური წერილები“ გამოეგზავნა. იმ კაცს მგონი მისამართი და გვარი შემალა, მაგრამ ისე ცნობილი ხარ თელავში, რომ მიიღებთ“. 1988 წლის 25 მარტს ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ წერილში თამარ გიორგიშვილი აღიარებს ადრესატის მიღწევებს მეცნიერებაში. იგი სწერს მეგობარს: „ჩვენ ერთ კუთხეში, ერთნაირ იბლობაში ვიზრდებოდით. ერთნაირი წვალებით დავამთავრეთ უნივერსიტეტი. ერთნაირი სულისკვეთებით შევუდებით ხალხის სამსახურს. თუმცა აქ შენ გამასწარი. მეცნიერებაში შორს წახვედი. პრაქტიკულ საქმიანობაში არც მე შემირცხვენია თავი“. მართლაც, ქალბატონი თამარი შასანიშნავი მცოდნე და დიდებული მასწავლებელი ბრძანდებოდა. ალექსანდრე გვენცაძეს, როგორც მეცნიერს აღიარებდნენ თვალსაჩინო მეცნიერები. 1969 წლის 7 აპრილს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა სწერს ადრესატს: „დიდად პატივცემულო ალექსანდრე! გადავათვალიერე თქვენი გამოგზავნილი მასალა (ლოტერატურის სია და დებულებები „სტილისტიკის სახელმძღვანელოს აგებისათვის“). საინტერესო ჩანს, რამდენადაც მე მასში გარკვევა შემიღლია“. თბილისის სახელმიწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1929 წ.), აკაკი შანიძემ ალექსანდრე გვენცაძე დატოვა სამუშაოდ უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. აქედან იწყებს იგი ქართული ენის ლექსიკის შესწავლას. თელავში ინსტიტუტში კი მან ფართო მუშაობა გამასლა კახური დიალექტის ლექსიკური მარაგის შესწავლისა და დამუშავებისათვის. 1965 წლის 1 ივნისს პროფესორი ალექსანდრე ლლონტი კი სწერს მეგობარსა და კოლეგას: „ჩემი საშა,





შენი მასალა თითქმის მთლიანად შევიდა „საკუთარ სახელთა ლექსიკონში“. პირდაპირ პენიცილინი აღმოჩნდა... გამოსვლისთანავე გაახლებ“. 1990 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ გურამ თოფურიას წერილის ამონარიდში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ალექსანდრე, გერმანიდან დაბრუნებულს დამხვდა თქვენი წერილი და ფრიად სასარგებლო წიგნაკი. დიდი მადლობა სხვონისთვის. ამას ჩემთვის განსაკუთრებული ლირებულება აქვს... მე თქვენი და თქვენი ოჯახის დიდი სიყვარული და პატივისცემა მაქვს, რასაც საფუძვლი მამამ ჩაუყარა“. ალექსანდრე გვენცაძის ენათმეცნიერული ინტერესების ერთ-ერთი სფერო იყო სტილისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა. როინ ჭიკაძე აღნიშნავს: „ალ. გვენცაძემ სტილისტიკისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ჩამოაყალიბა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ერთურთისაგან უნდა გაიმიჯნოს „ენის კულტურა“ და „ენის სტილი“, რითაც, ფატტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტური სტილისტიკის ახალ მიმართულებას ქართულ სახანათმეცნიერო აზროვნებაში“ (12). საინტერესოა 1989 წლის 4 თებერვლით დათარიღებული ალექსანდრე გვენცაძისადმი მონერილი პროფესორ თენგიზ სანიკეძის წერილი: „ჩვენო სასიქადულო, ლირსეულო მამულიშვილო და დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! თქვენშა ბარათმა ძალიან გამახარა. ამ პატივისცემას არასოდეს დაგივიწყებთ. სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ. „სტილისტიკა“ გარკვეულ წილად უნდა აისახოს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში“. ასევე საჭიროა ამ საგანმა სახელმძღვანელოსა და პროგრამის შექმნა. ეს ხარვეზები შესავსებია. უპირველესად თქვენმა დიდმა ნიჭმა და გამოცდილებამ უნდა დაგვდოს პატივი ამ მეტად საშვილიშვილო საქმეში. ჩვენ, რაც შეგვეძლება, ყოველთვის ვიქენებით თქვენ გვერდით ციმეორებ, ეს ჩემთვის იყო, არის და იქნება ძალზე დიდი ბედნიერება“. 1991 წლის 7 ოქტომბერს თამარ იქრიბიძის ალექსანდრე გვენცაძეს სწრეს: „თქვენთვის ისიც ცნობილი იქნება, რომ საშუალო სკოლის X-XI კლასებში ქართული ენის გრამატიკის კურსი დაემატა; გამოიცა პროგრამის დამატება, რომელშიც მითითებულია დამხმარე ლიტერატურა, რომლითაც მასწავლებელმა უნდა იმუშაოს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ სიაში ამოვიკითხე თქვენი ნაშრომი – „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“, რომელიც, მასწავლებელთა სამწუხაროდ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა და ხელმოწერულობისა“. ალექსანდრე გვენცაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ენის ერთ-ერთი მეტყველების ნაწილი – რიცხვითი სახელი. დისერტაციის თემადაც შეარჩია – „ძველი ქართულის რიცხვითი სახელი“. სამეცნიერო ხელმძღვანელი ბრძანდებოდა თავისი მასწავლებელი და მეგობარი აკადემიკოს ვარლამ თოფურია, ხოლო 1972 წელს გამოსცა მონოგრაფია – „ქართული ენის რიცხვითი სახელი“. 1949 წლის 10 აგვისტოს კი ვარლამ თოფურია სწრეს თავის ადრესატს: „გიგზავნით თქვენი შრომის მცირე ნაწილს. ზოგი მათგანი ყურადღებით გადავიკითხე (თვლის სისტემა ქართულში, როგობითისა და

წილობითის აღნაგობა, რაოდენობითის მორფოლოგია). რთულ დაწერილად მომენტენა. თუმცა საინტერესო მოსაზრებები გაქვთ“. უფრო გვიან, 1954 წლის 30 იანვარს კვლავ ვარლამ თოფურია სწრეს ალექსანდრე გვენცაძეს: „თქვენი შრომა „რიცხვითი სახელი“ მინდა შევიტანო მონოგრაფიათა კრებულში, რომელსაც ამზადებს ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება“. საქართველოს უმაღლესი სასწავლებელის მიერ ალექსანდრე გვენცაძე, როგორც სპეციალისტი, მუდამ აღიარებული იყო. 1961 წლის 23 დეკემბერს პროფესორი ჭოლა თევზაძე ადრესატს სწრეს: „პატივცემულო ალექსანდრე! პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედიონსტიტუტის ქართული ენის კათედრას განზრახული აქვს მომავალი წლის მარტ-აპრილში მოაწყოს დოც. ლ. კვაჭაძის მიერ შედგინილი სახელმძღვანელოს (ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I) საჯარო განხილვა. კათედრის ნევრთა სურვილია განხილვაზე თანამოსხენებით გამოვიდეთ თქვენ. გთხოვთ მოგვცეთ თქვენი თანხმობა“. 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თაოსნობით დაიწყეს მგოსნის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა. უნივერსიტეტის თანმმრომლებმა ბარათების ამონერასა და მათ დამუშავებაში რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებელის სათანადო კათედრები და სტუდენტებიც ჩააბეს. პროფ. გრიგოლ კიკნაძემ ალექსანდრე გვენცაძის სახელზე თელავში წერილი მოინტერა. წარმოვადგენია ამონარიდს ვრცელი ბარათიდან; „...თუ თქვენ ამ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ეჭვი არა მაქვს, რომ ლირსეულადაც შესარულებენ თქვენი სტუდენტები ამ სასიამოვნო დავალებას“. „პატონმა გრიგოლ კიკნაძემ დაკვირვებით გადაათვალირა თელავის პედიონსტიტუტის სტუდენტების ამონერილი ბარათები და ალექსანდრე გვენცაძეს მადლობა გადაუხადა“ (გიორგი ჯავახიშვილი, როინ ჭიკაძე, №1-3 (87), 2005 : 28 წერილები ალექსანდრე გვენცაძის არქივიდან, „ბურჯი ეროვნებისა“). „ალექსანდრე გვენცაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მარტოოდენ ენათმეცნიერული კვლევით არ შემოფარგლულა. მან გარკვეული ხარკი გაიღო ლიტერატურისტიცი... უაღრესად საყურადღებოა მისი სტატია – ვაჟა-ფშაველას სამი პოემა“ („სტუმარ მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველის მჭამელი“), რომელიც გამოაქვეყნა თელავის პედიონსტიტუტის შრომების III ტომში, 1959 წელს“. როინ ჭიკაძე ბრძანებს: „ალექსანდრე გვენცაძე იყო დაკვირვებული ლიტერატურისტი. გემოვნებით არჩევდა და სათანადო ანალიზებდა ლიტერატურულ მასალას“ (31-33). აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით იოსებ გრიშვალი სწრეს მეგობარს: „პატივცემულო ალექსანდრე! მიზიდე თქვენი ნაშრომის ამონაბეჭდი. მართლაც რომ ახალ კუთხით არის დანახული ვაჟას სიდიადე“. ალ. გვენცაძის მეგობარი, თბილისის ერთ-ერთი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი – ლიზა ვახვახიშვილი თავის მოგონებაში „მეგობრობის ფურცელი“ წერს: „სრულიად ახალ პოეტური სიმაღლის ადგილს ამოირჩევდა ნაწარმოების განხილვისას და იმ ადგილიდან შემახედებდა, დამანახ-



ვებდა მწერლის სიდიადეს. ასეთი იყო განსაკუთრებით ვაჟას შემოქმდების შესწავლასთან დაკავშირებით“ (303). თელავის უნივერსიტეტის პროფესორი ლეილა შალვაშვილი თავის მოგონებაში წერს: „მხოლოდ ინსტიტუტი როდი იყო ალექსანდრე გვენცაძის სამოღვაწეო ასპარეზი. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა იგი, ხალხთან ერთად გადატენდა ჭირი და ლხინი. სად არ ნახვდით მას: სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, – საქვეყნო სჯა-ბაასის თავყრილობებზე, ძეგლთა რესტავრაცია-ადგენის სამუშაოებზე, დაალექტოლო-გიურსა თუ ფოლკლორულ ექსპედიციებში, უმაღლეს სასწავლებელთა ენათმეცნიერულ კონფერენციებზე, სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა გაკვეთილებზე (თუშეთის ომალოს სკოლა-ინტერნატში, ორჯონივიძის ქართულ საშუალო სკოლაში, საინგილოს სკოლებში...); სისტემატურად ეთანამშრომლებოდა ბიბლიოთეკის, რედაქციის, მუზეუმის, თეატრის მუშაკებს. ლექციებს კითხულობდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, განსწავლიდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელებს. გულს აძლევდა ბატონი ალექსანდრე საინსტიტუტო თუ საზოგადო მოღვაწეობას და ამიტომაც „გულ მისცეს გულისათვის“ – შეიტკეს, სიყვარულის კვარცხლებებზე აამაღლეს მშობელივით მზრუნველი მოძღვარ-მასწავლებელი, მრავალთა ცხოვრების მეგზური“ (111-112). 1988 წლის 7 მარტს ალექსანდრე გვენცაძეს სწერს თელავის ინსტიტუტის ყოფილი რექტორი ტიტე სარიშვილი: „სულითა და გულით გილოცავ შენი დაბადებისა და საზოგადოებრივ-სამეცნიერი და პედაგოგური მოღვაწეობის საიუბილეო წლისთავს. შენ, როგორც შენი მშობლიური ხალხის ერთგულ შეიძლო, დედა ენის ერთგულ ქომაგს, მისი სიწმინდისა და სიმდიდრისათვის თავგამოდებულ მებრძოლს, გამოჩენილ ფილოლოგს, ენათმეცნიერს, პუბლიცისტს, ბრწყინვალე პედაგოგს, სკოლისა და მასწავლებლის მუდმივ შემწე-დამსმარეს, ჩვენი ეროვნული ძეგლების მეცნიერ-აღმომჩენს, მეცნიერულად შემსწავლელსა და დამცველს – გისურვებ კვლავინდებურ შემართებას, ჯანმრთელობას, ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ შემოქმედებით და პრაქტიკულ მოღვაწეობაში“. 1875 წლის 18 მაისს პროფესორი ივანე ქავთარაძე კი სწერს ადრესატს: „...თქვენ ისეთივე და უფრო მეტი გავლენა, პატივისცემა და ავტორიტეტი გაქვთ, ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, როგორც ყველა პატიოსან თანამდებობის პირს – კათედრის გამგეს, დეკანს, რექტორს. ეს თანამდებობა თქვენ აღარ ინებეთ, მაგრამ პატრიოტული და ეროვნული საქმის მოთავე იყავით და რჩებით“. დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა 1885 წლის 12 თებერვლით დათარილებული ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილი პროფესორ ანტონ კიზირიას პირადი ბარათი: „...კარგი გიქნიათ, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსია გაგიფორმებით, მაგრამ, ძვირფასო ალექსანდრე, თქვენი ცოდნა, გამოცდილება და ზრუნვა თელავის ინსტიტუტს ყოველთვის დასჭირდება და ამიტომ ინსტიტუტშიც უნდა იყოთ“. ალექსანდრე გვენცაძის მუდმივი დაინტერესება იყო ისტორიისა და

კულტურის ძეგლები. მას ეკუთვნის ძეგლების აღწერილობანი. იგი პრინციპულად აყენებდა საკითხს ძეგლებამდე გზის მიყვანის თაობაზე. ცდილობდა ასევე ძეგლების სახელების ეტიმოლოგიურ ახსნასაც. მან ზეპირად იცოდა თითოეული ძეგლის ისტორია. პროფ. მაყვალა მიქელაძე წერს: „...ცხოვრებაში თქვენს ანალოგს რომ ვერ ვპოულობდი, ლიტერატურულ გმირებთან გათანაბრებდით: თქვენ იყავით ბერი ლუბუში, ჩორქები, მინდა... დიხ, მინდია, მაგრამ არა ყვავილებთან მოლაპარაკე მინდია“ (179). 1964 წლის 24 აგვისტოს ბატონმა ალექსანდრემ აკად. გიორგი ჩუბინაშვილისაგან მიიღო ვრცელი წერილი. წარმოვადგენ მცირე ამონარიდს: „...ბატონო ალექსანდრე! დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას ჩვენი მშობლიური ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში. დავრჩები თქვენდამი სალმით და ყოველთვის მზად ვარ გემსახუროთ“.

ალექსანდრე გვენცაძის აზრი აინტერესებდა ყველას – სტუდენტებს, ყოფილ სტუდენტებს, კოლეგებს და სხვ. 1991 წლის 26 აგვისტოს თამარ ოქროპირიძე სწერს თავის ყოფილ ლექტორს: „...ყველა თემაზე საუბარი სანტერესოა თქვენთან... ვფიქრობ, IV კლასი-საგან პატარა ლიტერატურული წერ ჩამოვაყალიბო. გავაცნო ან ერთი რომელიმე პოეტი, ან შედევრები კლასიკოსების. თქვენი აზრი?!“ ამავე წერილში ავტორი წერს: „გიგზავნით ჩემი ყოფილი მოსწავლის ლექსების კრებულს (ავტორი 22 წლისაა); ვფიქრობ, არ გადაგლოით. ამარასა პოეტური ნიჭი, მაგრამ მხოლოდ პირადი განცდები, სიყვარულით განანამები სულის გოდებაა და არ იგრძნობა ეროვნულ-სოციალური მდგომარეობით აძგერებული გულისცემა...“

რომ ჭიკაძის მონოგრაფიაში „მოძღვარი“ ცნობილი უურნალისტი წუნუ მატარაძე წერს: „ერისკაცი! – ეს სიტყვა მთელი თავისი მდიდარი შინაარსით ლირეულად ხსნის ბატონი ალექსანდრეს პიროვნებას... ასეთები ცოცხალი მაგალითები არიან ახალგაზრდობისათვის. ღმერთმა უმრავლოს და უდღეგრძელოს ჩვენს ერს მისთანები“ (163,164). ალექსანდრე გვენცაძის გარდაცვალების შემდეგ, 1993 წლის 8 აგვისტოს, ოჯახის მეგობარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არაბისტი – რუსულან გვარამია წერს მის შეილებს: „...თინიკო (ალ. გვენცაძის მეუღლე. თ.თ.) და ბატონი საშა მანც განსაკუთრებული იყვნენ და მეც განსაკუთრებულად მიყვარდნენ. ახლა ასეთი ხალხი ათარ არის. კოტეს (ქ-ნი რუსულანის შეილი – კოტე ჯანდიერი, მწერალი. თ.თ.) ერთმა ამხანაგმა მითხრა – დინოზავრების თაობა ხართო. ალბათ ასეა. დედაჩიმს ცალკე ჰქონია შენახული ბატონი საშას წერილები და მეც ცალკე მაქს შენახული. თქვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოღვაწნეაზე და დღესასწაულზე წერდა არჩვეულებრივ წერილებს და მიგზავნიდა ღია ბარათებს. იქნებ მერე ჩემმა მომავალმა თაობამ წაიკითხოს და გაიგოს, რა ხალხი არსებობდა“.

დამსახურებული უურნალისტი, გაზეთ „თელავის მიამბის“ რედაქტორი – მერი ზაალგვეილი წერს: „მაშინაც მქონდა ამის განცდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე





ნლები გვაშორებს ამ უაღრესად საინტერესო ადამიანს, უფრო თვალნათლივ ვხედავ, რომ ალექსანდრე გვენცაძის ყველა საქმე, ნებისმიერი მისი საქციელი, მისი ნაბიჯი მიმართული იყო ადამიანის სულის გადასარჩენად, ჩვენი სულის ზრდისაკენ“ (156-157)). ალექსანდრე გვენცაძის ყოფილი სტუდენტი, თელავის I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ორტერაცურის მასნავლებელი – ნინო კუხიანიძე კი თავის ლექტორს ახასიათებს ასე: „...იყო თავმდაბალი და სულით მაღალი, ალალი და გულმართალი, გრძნობამშურვალე და ჭკუამახვილი, პირდაპირი, პირშიმოქმედი და უკომპონისო. მისთვის უცხო იყო მლიქენელობა, ვერ იტანდა უსამართლობას, ლაქუცს, გამომძალველობას. იყო გულეკეთილი და გაჭირვებულის დამხმარე“ (145). ასევე ახასიათებრ ალექსანდრე გვენცაძეს მისი ადრესატები. 1986 წლის 22 დეკემბერს პროფ. გიორგი შალამბერიძის მიერ მიძღვნილ წერილში წერია: „...თქვენ უაღრესად კეთილშობილი ადამიანი ბრძანდებით, უანგარობით, გულისხმიერებით, სათნოებით გამორჩეული, და სამაგიერო სიკეთეს ბუნება არ მოგაკლებთ“. 1969 წლის 7 მაისს კი ნიკა აგიაშვილი სწერს ადრესატს: „საღამი და გამარჯობა პატივცემულო ალექსანდრე! თქვენი კეთილი გული ჩემთვის პატივსაცემი და სასიამონოდ მისავარაუდონ იქნება. იყავით კარგად“.

პროფ. როინ ჭიკაძე „მოძღვარში“ წერს: „ალექსანდრე გვენცაძე ლამაზი მამაკაცი იყო, ამიტომ არ აკლდა თაყვანისმცემლები; არც თვითონ გახლდათ გულგრილი მშვენიერ სქესთა მიმართ; არასოდეს ტოვებდა მათ უყურადღებოდ და მრავალმნიშვნელოვანი ქათინაურებით ანებივრებდა ხოლმე. ეს თვისება არ დაუკარგვას მამინაც, ოთხმოც წელს რომ გადასცდა. ხუმრობანარევი საუბარი უყვარდა ქალებთან ურთიერთობაზე“ (142). მას თავისი ადრესანტებიც ეხუმრებოდნენ ხოლმე. მაგალითად, 1970 წლის 1 ოქტომბერს პროფ. ივანე გიგინე შვილი სწერს თავის მეგობარს: „ძვირფასო ალექსანდრე! დღეს ვიყავი უნივერსიტეტის გამომცემლობაში და ვნახე ლ. ბ. (გვარ-სახელს არ ვწერთ სრულად. თ. თ.), რომელსაც შენი წიგნი აქვს ჩაბარებული... ჩვენი საუბრიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ შენ უნდა მოიცალო და ერთი დღით მაინც ჩამოხვდე ამ ქალის სანახავად და საქმის გასარკვევად. ქალები ქე გიყვარს და იქ, როგორც გითხარი, ბევრი არიან. თუმცა ქალად გამოსადევი არც ერთი არ ჩანს. მაში, გელით! მაინც რა უნდა შენ-გან იმ ქალს?“. თელაველი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნუნუ ნაზირი შვილი კი წერს: „ალექსანდრე გვენცაძე, თვით გარეგნულად წარმოსა-დევი, ძალიან აფასებდა სილამაზეს. მოხდენილი ქალის გვერდით უფრო მხიარული და ხალისანი ხდებოდა. კომპლიმენტებისა და ქათინაურების მრავალსახეობას ვერ დაითვლიდა ადამიანი. ეს მოქმედება მის პიროვნებას კიდევ უფრო ავსებდა, ამდიდრებდა“ (149). როინ ჭიკაძე კი წერს: „გულგრილი არ ყოფილა ქალების მიმართ, მაგრამ არასოდეს შეუძლალავს მათი ლირსება“ (9).

ალექსანდრე გვენცაძის განუმეორებელი
პიროვნების ფასი იციან მისმა სტუდენტებმა, ნას-

ტუდენტობრებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა... და უხდიან მას მაღლობას თანადგომისათვის, განეული დახმარებისათვის, სიკეთისათვის. 1980 წლის 6 მარტს თამარ ოქროპირიძე სწერს ადრესატს: „...ამ მასალების გამოგზავნას კადრიერებად ნუ ჩამითვლით! არ იფიქროთ, თავს ვინონებდე... რაც ხანი გადის, ვრნმუნდები, უმნიშვნელო მშევრიც კი არ ვარ სამყაროში, მაგრამ ჩემი ადამიანური და პროფესიული ცხოვრების გზაზე თქვენ მიერ ანთებული და ლაშპარი ანთაა.

ერთი კი ცხადია, რომ ერთადერთ თავშესა-
ფრად პოეზია დამრჩნა და მის გარეშე ცხოვრება ჩემი,
მართლაც, „ქრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა
იქნებოდა“. მაფიქრებს „ყოფნა-არყოფნის ჰამლეტისე-
ბური იდეა და ისევ მასხენდება, „მაგრამ რადგანაც“ ...
გმადლობთ ამ სიკეთისათვის! განგრძას შევსახოვ
თქვენს ბედნიერებას!“, ხოლო, როცა, მადლიერ სტუ-
დენტებს გაუგიათ ალექსანდრე გვენაძის ავადმყო-
ფობა, მიუწერიათ:

„უსახელი ბარათს გიგზავნით, ბატონო ალექსან-
დრე!

ჩვენი მსმენელების სახელით ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ გულთბილი საუბრებისათვის, უზაღო ადამიანობისათვის, სამშობლოს სიყვარულისათვის, ხალასი ნიჭისათვის...

არც ერთი არ დავიშურებთ ჩვენი სიცოცხლიდან თითო წელი გამოიწოთ.

„ମାର୍ତ୍ତିବାଲୀ, ଶ୍ରେଣୀଲୋ ଏକ ପଦ୍ଧତିରେ ଆଧୁନିକାନ୍ତିକ ପ୍ରେସ୍-
ଓର୍ଗନିକିଟିକ ଅମୋହିଜ୍ଞରାଜ୍ ଖୁରାତି, ମାଗରାମ ପାତା, ରଙ୍ଗମର୍ତ୍ତିତ୍ଵ
ଓ ପ୍ରକାଶମେନ୍ଦ୍ରିୟରୀ ମାସାଲା, ନାରମାନାଫଗର୍ଭର୍ମ ଜ୍ଞାନ-ଜ୍ଞାନ ବି-
ଗରାତ୍ମିକିଯିଲ୍ ନ୍ୟାରାତି, ଅମାବୟ ପରାମର୍ଶ, ଯିବେଳେ ଉପର୍ଯ୍ୟାନାଶ୍ରେଣୀ
ମାସାଲାରେ ଅପରିମିତ ଫ୍ରାଙ୍କିନ୍ରିଂଗାର୍ଥର ପରିପରାତିକିଟିଲ୍ ଶୈଶ-
ବାଜନ୍ତିରେ ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିପରାତିକିଟିଲ୍“ (ତୃପ୍ତିବାକୁମାରମିଶ୍ରଙ୍କିଳୀ, 2012 : 2).

რ. გერიგი და ფ. ზიმბარდო წიგნში „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ წერენ: „როდესაც განთქმული ან ისტორიული ფიგურა ფსიქობიოგრაფიის საგანი ხდება, მკვლევარმა შეიძლება გამოქვეყნებულ შრომებს, დღიურებს და წერილებს მიმართოს, როგორც სანდო მონაცემების წყაროებს“ (გერიგი რ. ფ. ზიმბარდო, 2009 : 577). მართალია, ადრესატებისადმი გაგზავნილი ალექსანდრე გვერცაძის პირადი წერილები ჯერ ჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ადრესანტები და თანამედროვეთა მოგონებები გვაწვდიან მისი ცხოვრებისეული (წონების აღნირას.

პროფ. რინინ ჭიკაძე წერს: „ალექსანდრე გვერცაძის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ადრესატებს და აქტიურად იყო ჩართული ამ მიმოწერაში“ (63). ალექსანდრე გვერცაძის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა არ იფარებოდა მხოლოდ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სტატიით. ნაყოფიერად წარმოგვიდგება ადრესატებისადმი მის მიერ მიძღვნილი პირადი ბარათების მოძიება და გამოსამართვა შესწავლით არიან საჭირო.

2019 წლის 27 ნოემბერს ალექსანდრე გვენცაძეს
შეუსრულდა დაბადებიდან 115 წელი. მისმა შვილებმა
სახელოვანი მამულიშვილის არქივი გადასცეს თელავის
ისტორიულ მუზეუმში.

ଓଡ଼ିଆ
କବିତା

რა ურთეულესი, უძნელესი და ფაქტონულების გზა გმო-
ვიანეთ. ზოგაც, თუ, გულზე ეხადებოდა მამულისთვის ჩვენი
თავდადება, ზოგაც რისტვით აკაებდა, რასაც ვგრძნობდით –
ჩვენთამი თანადგომით და ხელშეწყობით, – თუ, განდგომით...
ვის, როგორ, შესტკილდა სუკი: სამშობლოს მომზადებლზე...
გლობრალიზმის უპირატო, მრიონ ერების გაქრობის ფოზზე,
ერის, – ერობის, გადარჩენისათვის, ადამიანში: ადამიანობის
გადარჩენისათვის, ჩვენს, უშელავათო, რობოლაზე...
ფ. რაინდ

ଓ. ৩৯০৭

19



ურნალ „ოლეს“ 15 ლილთავის

საიუგილეო საღამოზე ნარმოთქმული სიტყვა

ჩვენო, ძვირფასო თელაველებო, საქართველოზე ფიქრის, დარღისა და სიყვარულის მედროშებო, ძვირფასო თანამოკალმენო, – სიტყვის ქურუმნო, ხალხის სიკეთისათვის, ბედნიერებისათვის დახარჯულნო და... კვარცმულნო, უმხურგალესი გულით და ამზევებული სულით მოგესალმებით და გილოცავთ ჟურნალ „ოლქს“ 15 წლისთავს.

რა ადვილი სათქმელია 15 წელი, მაგრამ... რაბ-დენი: ფიქრის, განსჯისა და შრომის სიმბოლოა, როგორი თანმდევი, ჭირისუფალია ჩვენი, სურამის ციხესავით, ბედკრული საქართველოსი.

რა ურთიელესი, უძნელესი და ჭაპანწყვეტის გზა
გამოვიარეთ. ზოგს, თუ, გულზე ეხატებოდა მამუ-
ლისთვის ჩვენი თავდადება, ზოგს რისხვით ავსებ-
და, რასაც ვკრძნობდით – ჩვენდამი თანადგომით
და ხელშეწყობით, – თუ, განდეგომით... ვის, რო-
გორ, შესტკიოდა სული: სამშობლოს მომავალზე...
გლობალიზმის ეპოქაში, მცირე ერების გაქრძნის
ფონზე, ერის, – ერობის, გადარჩენისათვის, ადამი-
ანში: ადამიანობის გადარჩენისათვის, ჩვენს, უშეღა-
ვათო, ბრძოლაზე...

მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების
წილიდან იშვა: ახალი, შემოქმედებითი ფრთა და,
თერგდალეულების სულისკვეთების მსგავსად, აღა-
ზანდალეულებმა ახლებური სული შთაბერეს კახე-
თის ლიტერატურულ შემოქმედებით ცხოვრებას, –
2004 წლის 2 აპრილს დაფუძნდა მწერალთა ასოცი-
აცია „ლიტერატურული კახეთი“, არჩია გამგეობა:
ფარნაოზ რაინაულის, აკაკი დაუშვილის, ნუჯზარ
ჩიკვაიძის, ნუნუ ძამუკაშვილის, გირგი ბერძნიშვი-
ლის, ზინა სოლომნიშვილისა და გიორგი ჯავახიშ-
ვილის შემადგენლობით. გამგეობის თავმჯდომარედ
არჩეული იქნა პოეტი ფარნაოზ რაინაული. დაარს-
და ჟურნალი „ოლე“, რომლის მთავარ რედაქტორ-
რად დაინიშნა – პროზაიკოსი, – აკაკი დაუშვილი.
მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთან“

შეიქმნა: ახალგაზრდა მწერალთა სექცია და მის ხელმძღვანელად დაინიშნა პოეტი ნურუ ძამუკაშვილი. შემუშავდა წესდება, – მწერალთა ასოციაცია ლიტერატურული კახეთისა და განისაზღვრის: ასოციაციის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართოს – ხუთ წელიწადში, ერთხელ.

2004 წელს, უკრაინის პირველივე ნომერმა, მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც რესპუბლიკურმა პრესამ, ჯეროვნად აღნიშნა. „ოლე“ გახდა: ჭეშმარიტი, სახალხო და, საზოგადოებრივი, მხატვრული სიტყვის აღამდარი.

2004 წლიდან, 2019 წლამდე „ოლე“-ში დაიბრუნდა 500-მდე ავტორის ნანარმოებები. 2004 წლიდან 2012 წლამდე კახეთის მწერალთა ასოციაცია უდიდეს ფინანსურ გასაჭირს განიცდიდა, თითქმის, 6 წელი უხელფასოდ იმუშავა, განახლებულმა, მწერალთა შემართებულმა კოპორტამ. უურნალის 3 ნომერი დააფინანსეს ქველმოქმედებმა: ნოდარ საქუაშვილმა, ზაზა გოგოლაძემ და დომენტი გაგნიძემ. მოუხედავად, უაღრესი სიძნელეებისა, გასულ ოცნლეულში, კულტურის სამინისტროს მიერ 2-ჯერ, - 2005 და 2008 წლებში, გამოცხადებულ კონკურსებში, ორივეჯერ, უურნალმა „ოლე“ გაიმარჯვა.

კახეთის მწერალთა ასოციაციამ, დაარსებიდანვე, დააწესა ლიტერატურული პრემიები: გირგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილისა და „ოლესი“. სხვადასხვა დროს, – „ოლეში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიხედვით, გორგი ლეონიძის პრემია 2005-2008 წლებში მიენიჭა ფარნაოზ რაინაულს, თეიმურაზ ლანჩჩავას, ფრიდონ ხალვაშს, დავით თეონრაძეს და შოთა ზონძეს.

გურამ რჩეულიშვილის პრემია: ნუგზარ ჩიკ-ვაძეს, აკაკი დაუშვილს, ოტია იოსელიანსა და თამაზ ხმალაძეს.

უურნალ „ოლეს“ პრემია: ბალათერ არაბულს, ელგუჯა თავდერიძეს, მარინა კოზმანიშვილს, ლეი-





ლა შალვაშვილს, თამაზ ხმალაძეს, ელა გოჩიაშვილს, გიზო თავაძეს, ნუნუ ძამუკაშვილს, გიორგი ჯავახიშვილს, ვაჟა ოთარაშვილს, ნიკო გოგოჭურსა და ელდარ ჭიჭიაშვილს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ მოაწყო ახალგაზრდა მწერალთა კონკურსები: 2004 წელს – „პოეტების ახალი თაობა“, 2006-2008 წლებში – დევიზით: „ჩვენ მოვდივართ“. ამავე დევიზით: „ჩვენ მოვდივართ“ 2014 წელს, გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები, – დამსახურებისამებრ: ოქროს დიპლომი, ვერცხლის დიპლომი, პრინჯაოს დაპლომი და სიგელები.

2005 წელს გამოვიდა, სპეციალური, უურნალი „ნაბიჯი“, რომელიც მთლიანად დაეთმო ახალგაზრდა ავტორებს.

უურნალი „ოლე“ ხშირად უთმობს ადგილს ნიჭიერ ახალებდა ავტორებს.

ჩვენს სამწერლო კერიაზე დაოსტატდნენ და, ეგრეთ წოდებული, მწერლური ნათლობა მიიღეს ახალგაზრდა შემოქმედებმა: ალა დათუკიშვილმა, გიორგი ბოტკოველმა, ფარნაოზ რაინაულმა (უმცროსმა), გიორგი ელიზბარაშვილმა, პაატა შალამბერიძემ, ნათია ბოტკოველმა, ქეთევან ნათელაძემ, მარიამ ქუფარაშვილმა, თამარ ბურნაძემ, ანა ანაშვილმა, მორენა გუბათოვამ, ნინო მოსიაშვილმა, გიორგი გვერდელაშვილმა, თეა ყავრელიშვილმა, ხატია კვიკინიამ, მარიამ დედაბრიშვილმა, ქეთევან გუგებაშვილმა, რუსუდან ყოჩიაშვილმა, ანი რაინაულმა, მაკა ღარიბაშვილმა, ელისო შაბალაძემ, ვაჟა ყოჩიაშვილმა, მიხეილ ხალიჩაშვილმა, გიორგი ესიტაშვილმა და... სხვებმა...

2008-2015 წელს გამოვიდა: უურნალ „ოლე“ – საიუბილეო ნომრები.

2016 წელს „ოლე“ დაემატა ჩანართი, სადაც გამოქვეყნდა კონკურსში გამარჯვებული, ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციის დაფუძნებიდან, – 2004 წლიდან, 2019 წლამდე უნდა გამოცემულიყო „ოლეს“ 57 ნომერი, გამოიცა 41, არ გამოიცა 16, ნაციონალური ხელისუფლებისაგან დაუფინანსებლობის გამო.

2016 წლის 24 დეკემბერს თელავში მაღალ დონეზე აღინიშნა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის ფარნა რაინას დაბადების 80 წლის იუბილე და გამოიცა იუბილარისადმი მიძღვნილი სპეციალური საიუბილეო ნომერი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მაყვალა გონაშვილმა, იუბილარს გადასცა: ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პრემია და ფასინი საჩქარი (მანამდე იუბილარი დაჯილდოებული იყო: 2005 წელს – გიორგი ლეონიძის, 2006 წელს უურნალ „ოლეს“, 2010 წელს – ტერენტი გრანელის, 2015 წელს ვაჟა-ფშაველას, 2010 წელს – ქართული კულტურის ამაგდარის მედლითა და დიპლომით, 2013 წელს – ქრისტიანული პოეზიის მესამე ფესტივალის წმინდა ნინოს ჯვრითა და დიპლომით).

2016 წელს მიენიჭა თელავის საპატიო მოქალაქის წოდება. 2018 წელს, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაჯილდოვდა: საქართველოს მწერალთა კავშირის დიპლომითა და, მიენიჭა: „დვანლმოსილის“ საპატიო წოდება. 2018 წელს დაჯილდოვდა აგრეთვე მესხეთის „შოთაობის“ კონკურსში გამარჯვებულის დიპლომით.

პრიოდულად, ეწყობა უურნალ „ოლეს“ მკითხველთა კონფერენციები და, ასოციაციის მესვეურნი, ისმენენ პირუთვნელ აზრს. ასე იყო: 2016 წელსაც, – თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ერთობლივი ღონისძიებით, ჩატარდა: 2015 წელს გამოცემული უურნალ „ოლეს“, ბოლო, ორი ნომრისა და 2016 წლის პირველი და მეორე კვარტლის ნომრების მიმოხილვა-ანალიზები. მოხსენებით გამოვიდნენ: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორები, პროფესორები: ნანა რჩეულიშვილი, ნელი ცექიშვილი და პედაგოგი – ნინო ლაჩაშვილი.

პრიოდულად, ეწყობა საინტერესო პოეზიის სალამოება.

ეს ერთ-ერთი, კარდინალური საკითხი თავშივე უნდა მეთქვა, მაგრამ ახლა, მაინც ვიტყვი: ცალკე, განსაკუთრებულად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, 1990 წელს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც უაღრესად, გონივრული და აქტუალური იყო, რადგან, ეს იყო, – ეროვნული, სახალხო, დევიზი და ორიგინტირი: „მწერლობა – ხალხთან ახლოს“, „მწერლობა – ხალხის გულიდან“...

აღნიშნული პრაქტიკა დიდი ხანია აპრობირებულია ევროპისა და კონტინენტების სამწერლობო ცხოვრებაში, სადაც აქტიურად ფუნქციონირებენ: სამხარეო, მწერალთა ორგანიზაციები. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ პერიფერიებში არიან: უნიჭიერესი ადამიანები, გენიოსებიც, მაგრამ... ყველას არა აქვს საშუალება, – იცხოვროს დედაქალაქში და უფრო, ახლოს იყოს: სათაო მწერალთა ორგანიზაციასთან და საგამომცემლო დაწესებულებებთან. ხალხთან ყოფილის, განა, შესანიშნავი მაგალითები არ არის?.. გენიოსების: ლევ ტოლსტიოს იასნაია პოლიანაში მოღვაწეობა, მიხეილ შოლოხოვის – ვეშენსკაიაში და ვაჟა-ფშაველასი – ჩარგალში... მიზანი უაღრესად ფასდაუდებელია და, მთავართა, ასევე ხელისუფლების მიერ ხელშეწყობილი პირობების შექმნა, ხალასი, ეროვნული, კულტურა – ზოგადსაკაცობრიო, რომ გახდეს...

2017 წელს კახეთის მწერალთა ასოციაციამ, დამსახურებისამებრ, გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიანიჭა ზინა სოლომიშვილს, გურამ რჩეულიშვილის სახელობის: მაყვალა მიქელაძეს, ფიქრია ყუშიტაშვილს, რეზო ადამიას, ზაალ ბოტკოველს, ოთარ ხეციშვილს.

ამავე წელს დაწესდა ახალი ლიტერატურული





პრემია – რაფიელ ერისთავის სახელობის, რომლის პირველი ლაურეატები გახდნენ: წუნუ ძამუკაშვილი, ლეილა თარალაშვილი და გიორგი ბერძნიშვილი.

„ოლეს“ ყოველწლიური პრემიები, 2018 წელს, ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო პუბლიკა-ციებისათვის მიენიჭათ: რეზო ადამიას, ზაალ ბოტ-კოველს, ნელი ზუროშვილს, თინათინ მრელაშვილს, ლანა მანველს, მარიამ ძამუკაშვილს, მაია კაცაურიძეს, ზინად ნეფარიძესა და ნინო ძამუკაშვილს.

თელავის საზოგადოებამ, გასული წლის აპრილში, ღირსეულად აღნიშნა ნიჭიერი პოეტის, ჟურნალ „ოლეს“ ლაურეატისა და მრავალ პოეტურ კონკურსში გამარჯვებულის – მარიამ კოზმანიშვილის დაბადებიდან 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ: 2018 წლის აღმანას „ამერ-იმერის“ მომზადებაში, კახეთის მწერალთა ასოციაცია მხარში დაუდგა – აღმანახის მთავარ რედაქტორს, ვაჟა ჩირდელს, სარედაქტო კოლეგიას, – ღირსეული წელილი შეიტანა აღმანახის მეორე ნაწილის მომზადებასა და აღმანახის, ახალი წომრის, კურთხევაში, – დიდი ერეკლეს ქალაქში.

ასევე, ერთგვარი, სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ – მთელს რესპუბლიკაში, ერთ-ერთმა, პირველებმა ჩავატარეთ დიდი პოეზიის საღამო დევიზით: „გადავარჩინოთ საქართველო, გადავარჩინოთ ქართული ენა“...

შემოქმედებით საქმიანობაში უდიდეს სტიმულს გვაძლევს ჩვენი ჟურნალის მკითხველთა წერილები, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ მწერალთა ასოციაციისა და „ოლეს“ რედაქტორის საქმიანობას; საკმარისია აღინიშნოს – გენიალური პოეტის გიორგი ლეონიძის შეილიშვილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ქავთარაძის, მწერლისა და დამსახურებული ჟურნალისტის ზურაბ არსენიშვილის, დამსახურებული ჟურნალისტის – მერი ზაალშვილის, პედაგოგის – მანანა გოგიშვილისა და სხვათა მზიანი წერილები, ასევე, რესპუბლიკურ მედიაში გამოქვეყნებული საქები მიმოხილვები და საქართველოს მწერალთა კავშირის მაღალი შეფასებები...

პოლიტიკის ერთ-ერთ გენიალურ კლასიკოსს აქვს, ასეთი, გამონათქვამი: „თავპრუ დახვევა – წარმატებებისაგან“... ამიტომ, აქვე, უნდა ითქვას, ისიც რომ მართალია, დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და გვამაყებს, კიდეც, ჩვენი – თავგამოდებული საქმიანობის, ესოდენ, დადებითი და მაღალი შეფასებები, მაგრამ თვითკმაყოფილების ნირვანას ბურუსში არ გავხვევით და, უფრო, მეტი თავდადებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდებით: საქვეყნო, სახალხო, საერთო და საღვთო საქმეს. ჩვენ – ამ, ქება-დიდებას ვიღებთ, როგორც – ავანსს, მომავალი, უკეთესი მუშაობისათვის.

2012 წლიდან ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის დღიდან, შეიცვალა მიდგომა ქართული,

ეროვნული კულტურისადმი. „ოლეს“ გამოცემაში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს (შესაძლებლობების ფარგლებში) ჰეროვანი წვლილი: საქართველოს პარლამენტის წევრის გელა სამხარაულის, კახეთის ყოფილი გუბერნატორის – ირაკლი შიოლმაშვილის, თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის – პლატონ კალმახელიძის, ყოფილი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის – ალექსანდრე შათირიშვილის, კახეთის სამხარეო აღმინისტრაციის თავკაციის – ირაკლი ქადაგიშვილის, თელავის მუნიციპალიტეტის მერის – შოთა ნარევლიშვილის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის – არჩილ თხლაშვიძის, მუნიციპალიტეტის კულტურისა სამსახურის უფროსის – ფიქრის ყუშიტაშვილის, შ.კ.ს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინის“ დირექტორის ზურაბ ფეიქრიშვილის.

არ შეიძლება, ამ საზეიმო ფონზე, იუბილარი „ოლეს“ ღირსეულად დამტკიცირებისათვის, კუთვნილი მაღლობა არ გადაუხეხადო: ჟურნალის მთავარ რედაქტორს – აკაკი დაუშვილს, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილეს თინათინ მრელაშვილს, ჟურნალის რედაქტორსა და ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელს – წუნუ ძამუკაშვილსა და ჟურნალ „ოლეს“ კორექტორს – ლია დაუშვილს.

განსაკუთრებული მაღლობა: საქართველოს მწერალთა კავშირს, მის ხელმძღვანელობას, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში, ყურადღებას – თანადგომასა და მხარდაჭერას არ იშურებს კახეთში შემოქმედებითი საქმიანობის აღორძინებისათვის, – მათმა სტუმრობამ, დღევანდელ ზეიმსაც, თავისი ელფერი შემატა. ღმერთმა წე მოგვაკლოს: მათი – მზრუნველი ხელი.

მინდა, აგრეთვე, უგულითადესი, უმსურვალესი და უსიყვარულესი მაღლობა გამოეხატო: კახეთის ოლიმპიადის, დიდი ერეკლეს სატახტო ქალაქისადმი და, საერთოდ, სულმადლიანი და გულმადლიანი თელაველებისადმი, რომელთაც, კარგად იციან: ჭეშმარიტი მწერლის სიტყვის ფასი, ჩვენი, მხატვრული სიტყვის კორიფეთა და ერის სანთლების ფასი. თავმოსაწირი და საამაყო თელაველობა, მაგრამ... იგი – პრივილეგიას კი არ ნიშნავს, არამედ, – უდიდეს პასუხისმგებლობას, რომ თითოეულმა თელაველმა, თელაველობა და თელავის სიყვარული, კეთილი საქმით გამოხატოს.

ჟურნალი „ოლეს“ ცდილობს სიყვარულისა და თანადგომის ვალში არ დარჩეს: თელავსა და თელაველებს, ქართული სიტყვის დროშა მტკიცედ ეპყრას ხელში: სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულისა და სიდიადის მწვერვალზე ასატანად...

კიდევ, ერთხელ, უდიდესი და უზენაესი მაღლობა მოწვეულ სტუმრებს, თელავის თავკაცებს, თელაველებს, – დღევანდელი, ლამაზი ზეიმისადმი, ჟურნალ „ოლეს“ დაფასებისადმი...



დარეჩან ჭანკოტაძე

პოეტი, თელავის პირველი საშუალო სკოლის
ყოფილი დირექტორი, ღირსების ორდენისანი,
თელავის საპატიო მოქალაქე.

22



გულითადი მიძღვნითი სტრიქონები – გამორჩეულ თელავებას

ლეილა გაბაშვილ-გაბრატიონის

უნაზესო და ულამაზესო,
პოეტო, ნათელ გზაზე მავალო,
მჯერა, ფიქრებით სულ თელავში ხარ,
ბაგრატიონთა შთამომავალო.

ფიქრია ყუშითაშვილს

თელავის მერიის კულტურის, განათლების,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამსახურის უფროსს, თეატრმცოდნებს.

საჩინო და საარაკო ფიქრიაო,
თავს ევლები კახთა მეფის თელავს,
საოცნებო მეუღლევ და დედავ,
ასე, როგორ შეგვიყვარდი ყველას.

ფარნა რაინას

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
თავმჯდომარეს, უურნალ „ოლეს“, გიორგი ლეონიძის,
ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის
პრემიების ლაურეატს, ქართული კულტურის
ამაგდარის მედლით, ნაყოფიერი შემოქმედებითი და
საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ლვანის ლილის
დიპლომით, ქართული კულტურის დესპანის წოდების
დიპლომით, პოეზიის სახალხო დღესასწაულ „შოთაობის“
კონკურსში გამარჯვებულის დიპლომითა და, სხვა, მრავალ
ლიტერატურულ-პოეტურ კონკურსში გამარჯვებულის
დიპლომებით დაჯილდოებულს, თელავის საპატიო
მოქალაქეს.

ნიჭიერება, პატიოსნება,
როგორც სანთელი, წმინდა გელათში,
თითოეულ ჩვენგანს გვეამაყება –
კაცი, რომელიც დადის თელავში.



3ახტანგი ჭაპორტაპეს

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს
მწერალთა კავშირის წევრს, ღირსების ორდენისანს,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატს,
ქ. გორის საპატიო მოქალაქეს.

მთელი ცხოვრება ნატრობ შენს თელავს,
ეალერსები ქუჩებს, კლასელებს,
39 წიგნის ავტორო,
ამათგან, ხუთი გვიძლვენ – კახელებს.

23



ცისია ჩხუბიანიშვილს

ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორს, პროფესორს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.

ტრადიციული ოჯახის შვილო,
გონიერების და ნიჭის მზიდო,
სავალ ბილიკზე თესავ სიკეთეს,
კეთილშობილო, ზნეობავ დიდო.

მერი ზაალიშვილს

საქართველოს დამსახურებულ
უურნალისტი, ღირსების ორდენისანს,
იყალთოს საპატიო მოქალაქეს.

იღვნი და შრომობ დაუზოგავად,
უურნალისტი ხარ, – სიტყვაკაზმული,
მეციხოვნე ხარ – ჩვენი ქალაქის,
შენი ლოცვაა: ენა, მამული.

ლამარა იანვარაშვილს

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს,
აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის
სახელობის პრემიების ლაურეატს, უმაღლესი
სკოლის დამსახურებულ პედაგოგს.

ღვანლი გაქვს დიდი, სამაგალითო,
სიკეთე ბევრი და არაერთი,
მეცნიერსა და შემოქმედს გლოცავ,
იცოცხლე დიდხანს, გფარავდეს ღმერთი.

ოქტომბერი, №2, 2020





გაყვალა მიქელაქეს!

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორს, ლირსების ორდენისანს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.
თელაველების სიყვარული ხარ,
ამაგდარო და სიბრძნის სადარო,
გამორჩეულო და მისაბაძო,
რთულია – ვინმე, რომ შეგადარო.

ლია მუმლაშრს

ლირსების ორდენისანს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.
განათლების და ცოდნის თამასა,
ზევით და ზევით გეჭირა ხელით,
მეგობარი ხარ, ერთგული, სათნო,
კეთილშობილი, – ყოფით და გენით.

ჯემალ ხუციშვილს

საქართველოს დამსახურებულ მხატვარს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.
უდიდესო: ფერმწერო და ნიჭო,
ნახატები შენი – ბრწყინავს, ელავს,
საქართველოს საამაყო შვილო,
ოქროს ფუნჯით ეფერები თელავს.

გივი მუჯადევილს

საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეს,
პროფესორს, საქართველოს სახალხო
არტისტს, ლირსების ორდენისანს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.
დირიჟორო და ქორმაისტერო,
სალოცავ ხატად ჰყავხარ ქართველებს,
დიდო მაესტრო, მმობლიურ თელავს
შენი ჰანგების გამა ამშვენებს.

ზურაბ არსენიშვილს

მწერალს, საქართველოს დამსახურებულ უურნალისტს,
კულტურის დამსახურებულ მუშაქს,
თელავის საპატიო მოქალაქეს.
მწერალო კაცო,
ზრუნავ ჩვენს თელავზე,
შენს სიკეთეზე ბევრი გაგვიგია,
თქვენს კარგ გვარს ამშვენებენ ვარსკვლავები, –
უსაყვარლესი – ზაირა და გია.



ବାନ୍ଦା
ପାଇସରିଙ୍କାପୀ

ქვიან გალავანს
 ალისფერი თოკი მოპყება,
 ესერ სიმბოლო, გადამრჩები,
 წოდვის გამნენცი,
 ჰვალოს იყვამდნენ მეფეები
 ხალხის სახსნელად და
 კვლავარ ისევ ლიტო იყო
 მათი დამხსნელი.

၁၂၁



ଓপାଳିଦାନ – „ଉତ୍ସବାଲ୍ଲାଙ୍ଘି“

ବିଜ୍ଞାନୀ – ବିଜ୍ଞାନୀରୀତି

რამოგიცი წელი იხეტიალეს
უდაბნოში ისრაელებმა,
სანამ ბოლომდე
არ ამოსწყდნენ ურჩი მამები
და ჰა, შევიდნენ
აღთქმულ მიწაზე მათი შვილები
დანაპირების პირველაყოფნი.
საყვირების ხმა ექოდ უვლიდა
გარს მთელ ქანაანს და
შიშით ძრნოდნენ
წარმართო ტომები,
– ვინ წაუკითხა
ერს ხმამალლა მოსეს კანონი,
– ვინ გაინოდა აისაკენ
მელავი ხელშუბით,
თვით ღმერთი იდგა
აღთქმულ მიწაზე ისრაელებთან
და იდგმებოდა დიდი ომები,
იორდანის გალმა მეფენი
ბოძებს ეკიდნენ,
ინმინდებოდა (კოდვა – (კოდვებით

ଗୋଟିଏ ପାଇଁ କାହାରେ...?

„არ გასწორდება კუდი ძაღლისი...“
ქ. გამსახურდია

ქვიან გალავანს
ალისფერი თოკი მოჰყვება,
ვიწრო სარქმლიდან
ჩამოეშვნენ ჩუმად კაცები,
წარმართმა ქალმა
ღვთის სახელით სიკვდილს შეჰქედა,
მგლად ქცეულ მდევრებს
გაუმრუდა გზა და საღლელი.

თუმცა ბედავდნენ
ისრაელი ფიცის გატეხვას,
ქედსაც იდრეკადნენ
აოგნებდათ ღმერთის საქმენი.
იორდანეში, მშრალ მიწაზე
იდგნენ მღვდლები და
ღვთის კიდობანიც
შეთანხმების, რნმენის საყრდენი.

თორმეტმა ტომმა
თორმეტი ლოდი ზღვიდან გაზიდა,
ამორეველთა მეფეების
თავზარდამცემი,
არ დაილია ორგულობა
ისრაელისა, თუმც უდაბნოში
დაიყარნენ მათი მამები.

ქვინან გალავანს
 ალისფერო თოკი მოჰყვება,
 ესეც სიმბოლო, გადამრჩენი,
 ცოდვის გამწმენდი,
 ჯვალოს იცვამდნენ მეფეები
 ხალხის სახსნელად და
 კვლავაც ისევ ღმერთი იყო
 მათი დამხსნელი.

რატომდა ვპედავთ
ისრაელის ფიცის გატეხვას?
რადგან ყველანი იმ დიდ ჯამში
ლუქმას ვაწებდით,
ურჩი თაობის ურჩმა შვილებმა,
ვის ალარ ვგლიჯეთ ცოდვის ნაჭრები.
მერე ცალ-ცალკე დავინანილეთ,
ყველას გვინდოდა დიდი ნაჭერი,
გინდ მეფე ვიყო და გინდ გლახაკი,
შებლს მამწნევია (ცოდვის ნაჭოვი).





მაკეფას გამოქვაბული

არ უნდა შერჩეთ ვირეშმაკა გაბაონელებს,
ისრაელებთან ზავის დადება –
გაგიუებულნი შეიკრიბნენ წარმართთ მეფენი,
ბანაკი დასცეს გაბაონის სიახლოვეს და
ბჭობდნენ და ბჭობდნენ, თათბირობდნენ
ხუთი მეფენი.

დაბრმავებულნი, დაყრუვებულნი,
დაუნჯებულნი, იდგნენ კერპები
მაღლობებზე – მათი ღმერთები.
ჩამოსკლინტვოდათ სახე და შერები,
დაჰლულუნებდნენ თავზე მტრედები.

ისრაელების ღმერთის შიშით
მთებიც კი ძრნოდნენ
რას გახდებოდნენ ღმერთთან
მეფენი და სანამ ბჭობდნენ
სანამ რამეს მოიფიქრებდნენ,...

ეს რა გრუხუნი ისმის მაღლიდან,
გილგალიდან უკვე დაიძრნენ ისრაელები,
ღმერთი ქვის სეტყვას აწვიმებდა
გახსნილ ზეციდან,
საით გაიქცნენ სათათბიროდ
შეკრებილნი წარმართთ მეფენი?

ხაცორის თავმა – იაბინმა
მოუხმი ბარად მაღალ მთებიდან
ძლიერ მეომრებს,
ზღვის ქვიშასავით ჩამოიშალნენ
ფერდობებზე ურჯულოთა დიდი
რაზმები და დაუხვდნენ ისრაელებიც.

წარმართთა მინა გადათქერეს
ცხენის ფლოქვებმა,
მთები ჩამოსკდნენ
ყვირილით და შეძახილებით,
ურჩო მამებო –
წამოდექით საფლავებიდან,
ერთი შეხედეთ როგორ ომობენ
აღთქმულ მინისთვის
თქვენი შვილები.

ეს, ეს რა ხდება, –
გაბაონს თავზე
მზეც კი გაჩერდა?
გახელებული ცხენთა რემები
მინასა სთხრიან ძლიერ ფლოქვებით,
გადარეულნი მხედრებიანად,
ფაფარაძლილნი როგორც ლომები.

მზეც ღმერთის ხელის ნაწიფარია,
აღარ იძვროდა მთვარე არსაით,
ამორეველნი მოისრნენ სრულად,
თვით ღმერთი იყო
ისრაელთა მთავარსარდალი და
გრძელდებოდა დაპყრობითი

კვლავაც ომები.

იქ ვინ მოსჩანან,
ბეთ-ხორონის ქვიან აღმართზე?
აგერ მეფენი –
აუკეციათ გრძელი კაბები და
მიფორთხავენ, მიფორთხავენ,
მიძვრებიან როგორც თაგვები –
შემინებულნი, გულშემერთალნი,
საცოდავები... მი-ა-ლა-ჯე-ბენ,
მი-ა-ლა-ჯე-ბენ და გზად
მაკედას გამოქვაბულს
ხიზნებად შერჩნენ სამუდამოდ
თავმოქრილნი მათი გვამები.

დაბრმავებულნი, დაყრუვებულნი,
დაუნჯებულნი, მაღლობებზე
მდგარნი კერპები – მათი ღმერთები,
პირქვე ეყარნენ, დაჰლულუნებდნენ
თავზე მტრედები.

იერიხონი

„წყეულიმც იყოს ღმერთის წინაშე
ვინც ადგება და აშენებს ამ ქალაქს
იერიხონს, თავის პირმშოზე
დააფუძნოს საძირკველი და თავის
უმცროსზე აღმართოს კარიბქე.“

იესო ნავეს ძე

იერიხონო, იერიხონო,
ჩამონგრეულ გალავნებში თავშამარხულო,
ისრაელებმა შეგიბლალეს ქვების საწოლი,
და ახლა წევხარ გადართხმული შენს ნანგრევებზე,
აღთქმული მინის საშოს გამლები,
სამუდამოდ დანინდული ხარ
თვით ღმერთისაგან,
აღარასოდეს აღარ აღსდგები.

სიცოცხლით – წარმართებს შენირულო,
სიკვდილით – ისრაელთა ერთგულო,
ორჯერ შენირულო, ორჯერ მოკლულო,
და მესამეთაც – წყევლის ქვეშ მოქცეულო,
ურჯულოთაგან წაბილნულ მინის
წმინდა მინად – „გამომსყიდველო“,

შვიდი შემოვლით დაგაჩიქეს,
ბეჭებზე დაგცეს,
ესეც ნიშანი – შვიდნი ერნი
აღიგვებიან მინის პირიდან,
დასახლდებიან ისრაელები
აღთქმულ მინაზე და
მთელ ქანაანს მოედებიან.

შენ კი – კარიბჭე მორდვეული,
წყევლის ქვეშ მოქცეული,
ჩამონგრეულ გალავნებში



თავჩამარხული,
ალარასოდეს ალარ ალსდგები და
უბრალოდ – შემეცოდები.

მისი დევნით
გადაღლილ მეფეს
თაყვანი სცა თავად ცხებულმა...

რამდენ დადიან ქალაქში

აზიდული, მხრებგაშლილი,
თვალნი, მზვერავნი არწივის,
სახე ნაკვეთი ფიქალის,
წვერი ვითარცა პატივი,
იდგა და მთასა ჰევანობდა,
თვისი ტანით და სამხელით,
რამდენ დადიან ქალაქში
მთებს დაკლებულნი არწივნი.

უბეს უწვავდა მოსასხამის
კიდის ნაჭერი... და
დახეთ ღმერთმა
ასეთ მეფეს მეტი მოსთხოვა,
არ შეარჩინა ცბიერებით
ქალთან ალერსი.

ნიშნის მოგებით
ვეღარ გეტყვი –
მერე შენ რაა?
რადგან ყველანი
იმ დიდ ჯამში
ლუკმას ვაწებდით.

კაუზ ვერ იპოვი

კაცს ვერ იპოვი
ჯიხვის რქაში ზეთი ჩაასხას,
მეფეთ ცხებას ხომ
არვინ უპირებს თუმცა არავის,
შენ რაა თუ ღმერთმა
ასე ინება –
კაცის მკვლელ კაცებს
თავშესაფრად მისცა ქალაქი.

უდაბნოს მტვრიდან და
უდაბნოს უგზოობიდან,
ქარმა მოდენა
გაძევებულ კაცის ღალადი,
შენ რაა თუ ღმერთმა
ძმის მკვლელ კაენს
დალი დაასვა, ნიშანი იმის,
არ მოეკლა შემხვედრს არავის.

.....
და თუმცა მის
სულს დაექებდა
მეფე საული,
ღმერთის ცხებულზე
ვერ გაბედა ხელის აღმართვა,
გამოქვაბულის კიდეზე მდგარი
პირქვე დაემხო და

სიც მიფრინავენ არწივნი...

მთებსაც ერყევა ფუძე და
კლდესაც ეშლება ნაპირი,
ციხეთა ქონგურებიდან
აფრინდებიან არწივნი.
წლები, თვეები, კვირები,
საათები და წამები,
უკვდავნი მოკვდავნი გავხდით
ადამია დაგვდო ვალები.
გინდ ქუდ გვეხუროს სამეფო,
გინდ გვეცვას ჯვალოს ნაგლევი,
აღარცა ოქრო გვჭირდება,
აღარცა პურის ნატეხი.
ყველაფერ ხუხულებს ჰევანან
კაცის ხელითა ნაშენი,
ინგრევა იმპერიები,
ძირს ეცემიან მთავრები.
მხოლოდ სიყვარულ გვჭირდება,
საფასურია ვალების,
ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ
ვინ საით გადავბარგდებით.
მთებსაც ერყევა ფუძე და
კლდესაც ეშლება ნაპირი,
ციხეს ქონგურებ ერყევა
სით მიფრინავენ არწივნი?



პოეზია

ვაჟა ოთარაშვილი ეკა კვანტალიანი

28



საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გამოცემა

საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გამოცემა

შენი სულია, რომ მიზიდავს – წრფელი, უმანკო...
მე, ყოფვინი რომ მიმიღო და არ უარმყო...
უკვე შენთან ვარ... გზას მინათებს მაგ თვალთა მოლი,
შეყვარებულთა შორის მანძილს აღნიშნავს – 0 (ნოლი)...

ვ. ოთარაშვილი

იდინებს ნელა წყერა ნულების,
კონებად შევკრავ ოწერის ფერთა,
მილიონობით კუწნა ულევი...
ამ ნულების ნინ დავწერე – 1 (ერთი)...

ე. კვანტალიანი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ჯვრისწერა ლამით...“
გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია

ვაჟა ოთარაშვილი

1

მომილოცნია შობა-ახალი წელი,
ივერიელთა მიწავ, ჰერეთო ჩემო...
აფხაზეთო და ცხინვალო ისევ გელით,
ძმობის ღალარი არასდროს გავანელოთ...
მუდამ გვახსოვდეს ტაო-კლარჯეთი, ხანდთა,
აქვე ლაზეთში ტკბილად ნათქვამი წენე...
ფერებიდნები ძმების ცრემლი და განცდა,
როცა დედოპურს კვლავ პირჯვარს გადაწერენ...
და ვადლეგრძელებ მამულს – ღვთისმშობლის
წილხვედრს,
მადლობა უფალს, რომ ქართველებად გავრჩდით...
ეს გაუმარჯვოს ქრისტესკენ სავალ ხიდებს
და კავკასიონს მტრის გულში ლახვრად გაჩრილს...

4

ჰევისაიდის ფუნქციით ვითვლი,
ჩემი სამშობლოს ხევებს და ხრამებს...
ზამთარშიც მწვანედ ანათებს ფითრი
და როგორ ტყეში თვალს ახამხამებს...
მერი, ჩემს სულში ქარიშხალია,
გადავაქციე უკვე ქარი ზმნად...
ეს მონატრების გამო შარია
თუ დედოფლური დაგსდევს ქარიზმა...

2

ჩემთვის ბაბილონია ეხლა შენი პარიზი,
მაგრამ თვალი იხსენებს კაბას, გვერდზე
მოსროლილს...
ისტორიას ვიგონებ... მცხეთის თავზე ჯვარი ზის,
ისრაელს კი აოხრებს ნაბუქოდონოსორი...

5

მერი, ოცნების შენ ხარ ასული
და ჩემი ლექსის შენ ხარ ფერია...
გალასთვისა ხარ აწმყოც, წარსულიც
და მომავალი აღმამფრენია...
ჩვენ სიყვარულმა შეგვაკავშირა,
თუმცა გათიშვა ბოროტებს სურდათ...
ვერა ქრისტე, ვერა მანძილმა,
ვერ დაგვაშორა ერთურთის სულთან...
...მერი გათიშვა ბოროტებს სურდათ...

3

მესიზმრა: თითქოს მეფერება შენი ხელები
და შენი მკერდის ნაკვერჩხლები, სულ
ცხელ-ცხელები...
ო, ნაზად გეოცნე ქველებურად ყელი, ტუჩები –
მოუკარება, ვნებიანი, მაგრამ ურჩები...
შენი სულია, რომ მიზიდავს...წრფელი, უმანკო...
მე, ცოდვიანი რომ მიმიღო და არ უარმყო...
უკვე შენთან ვარ... გზას მინათებს მაგ თვალთა
მოლი,
შეყვარებულთა შორის მანძილს აღნიშნავს – 0
(ნოლი)...

6

თრიალეთიდან დრუბლის ფთილები,
მანდ, ქუთაისის ცაზე მოდიან...
ამ მონატრებით გული იღევა
და გული უკვე დარდის ლოდია...
გადამატარეთ გულზე რიონი,
რომელსაც სევდის ჯარი ესია...
გხსსოვს ლოცვა და წმინდა მირონი?
ო, ის წუთები უტკბილესია...
მიყვარხარ!... ვიწყენ და მიხარია,
შორსა ხარ, მაგრამ მაინც ჩემი ხარ...
მონატრებების ვმდერი არიას
და ჩვენი ტრფობით მთებიც შეირჩა...



7

სიშორე მკლავს, უშენობის დარღი,
მერი, ჩემო ზეციურო ქალო...
შენზე ლექსებს გუშინ ერთად ვკრავდი
და მესმოდა ყურში შენი: „ალო...“
დედაჩემი მომენატრა ახლა,
აქ რომ იყო გაჩვენებდი საფლავს...
ეგ ხატება გულმი ჩამესახლა
და ოცნებებს სიყვარულით დაფნავს...
მერი, შენ თუ გადამარჩენ ისევ,
მერი, ქარებს ცოლად მოჰყავთ ქარი
და ამშვენებს მაგ დედოფლურ კისერს
ნაჩუქარი ჩემი მინანქარი...
მერი, ეხლა ჩემს განაჩენს ველი...
მერი შენ თუ გადამარჩენ ისევ,
მე, გენდობი! აპა, ჩემი ხელი,
ანგელოზთა ლოცვით კვლავ აიგსე...

8

მიყვარხარ... აბა, რა გითხრა მეტი,
მიყვარხარ, მეტი რაღა დავწერო...
და შენი სულის სინატიფეთი,
ჩემი ბედიც ხარ და ბედისნერაც...
ზოგ ქვეყანაში ბორდელებია,
ეხლა მსოფლიო ხდება ბორდელი...
ჩემს საქართველოს, ნუკრისთვლებიანს,
ვაუც იცნობდა და შარლ ბოდლერიც...
ყველა პოეტის ტკივილი არის
კაცის დაცემა, სულის კრიზისი,...
ო, საოცარი მყავს მერი – ქალი,
უმცხურვარესი მზეი ივლისის
და მას ეკუთვნის ჩემი რითმები
და უძილობის არითმიები,
მასზე ფიქრისას გული მითბება,
ჩვენი სიზმრებიც ერთურთს მიება...

9

დარდიანი მერი... სევდისფერი მერი...
ივერიის ერი, ირგვლივ ბევრი მტერი...
თვალნი ვარსკვლავისა
ცრემლით ბრწყინავს განა...
ვის ეკუთვნის, ვისა?
გალას, მხოლოდ გალას...

10

ყაყაჩოების ზღვაში
პაემანს გითქვამ მერი...
დგას ჩემი ლურჯა რაში
და მოუთმენლად გელით...
მერი ლვთის ნებით შევხვდით...
როგორ საოცრად გნახე,
ნეკა თითი და ფეხი,
შენი ბრწყინვალე სახე...
ეგ ლვთისნიერი მზერა,

გავარსკვლავება თვალთა,
მთავარი – შენი მჯერა
და გადმოვივლი მთა-მთას!...
უნატიფესო გოგო,
ლვთაებავ ჩემი ფიქრის,
ლურჯა ცხენების დოლი,
ჩვენი გულისკენ მიჰქრის.....

11

მე მოგიყვები მაშინ,
შენი ბავშვობის ამბავს...
თრთოდა მფრინავი რაშის
ფლოძვეშ ღრუბლების ბამბა...
გაფართოებულ თვალებს
არ ეკარებათ ძილი,
დედ-მბას განვალებს
ნანინანატრი შვილი...
და ციცქა გოგო ხედავს
არამქვეყნიურ ფერებს...
საბანს უკეცავს დედა
ერთას და სულ ნაფერებს...
თვალდახუჭული ბავშვის
თვალიდან წყდება ცრემლი,
ზეცასთან ღვთიურ კავშირს
მის გარდა ამჩნევს ვერვინ...

12

რუსეთო

ჩვენგან რა გინდა სტალინის და პეტრეს რუსეთო,
ბაგრატიონის ფლეშებივით ველზე გაშლილო...
ლოთო, ჭკვიანო, მეომარო, არყით უსევდოვ...
აქ, უმეცობით დალდასმულო ბარათაშვილო...
შენ გინახია უამრავი ომიც, მშვიდობაც
და ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის სიტყვა
მაოცებს...

სულ ყველა ტყვიით მოიშორე ვინც შენ გინდოდა
და დუელს ითხოვს კვლავ პუშკინიც

სასაფლაოზე...

მონღოლოიდურ ყვრიმალებზე მზე ირკვლება,
დიდო რუსეთო, მეძაურად სავსე ჯიქნებით
საროველის და კრონშდატელის წმინდა ნეკნების
იმედად ნეტა, როდემდე და როგორ იქნები...

13

უფლის ამარა...

კავკასიონის გაცრეცილო მუხლისთავებო,
ბერო ქედებო ლიხის, კლარჯეთის...
მაგ მწვერვალს შერჩა ჩემი თვალები,
თქვენს კალთებს შერჩა ჩემი მაჯები...
ამ მიწაშია დედაჩემის თბილი სამარე,
ამ მიწას ახსოვს არაგველნიც და მოურავიც...
ქართველები ვართ უფლის ამარა –
არავინ არის ჩვენი მომრევი!....

29



ეკა პვანტალიანი

1

ამ საახალწლოდ გულიდან მოსჩქეფს ლოცვა,
რომ ვადღეგრძელოთ ყველგან ქართული სუფრა...
ემიგრანტებო ჩვენი სისხლი და ხორცო,
სამშობლო გელით და შეგავედრებთ უფალს...
ქართულო გენო, ისმენ ზარების გუგუნს?
წმინდა, როგორც ლოცვა-კურთხევა მშობლის...
ცამდე აიტანს დღეს შატილსა თუ უშესულს,
ჩვენს სარკმლებიდან სანთლები ქრისტეშობის...
მზეცა და მთვარეც ცაზე ელვარებს, მავრამ
უფრო კაშაშებს შობის ვარსკვლავის შუქი...
ჩემი მამული, როგორც მაცხოვრის ბაგა,
მცირეა, თუმცა რამდენ სიყვარულს გვჩერების...

30



2

თითქოს ევროპაა მესოპოტამია,
მთვარეს სიბნელეში შუქი მილევია...
ჩემთვის სიმორეა ეს ეპიტამია,
ცოდვის ნანგრევებში კვლავ თვლემს ნინევია...
ლუვრი, ჯოკონდა და თეთრი აფროდიტე,
აქვე ეგვიპტური მიმზერს პაპირუსი...
შენ კავერ იპოვე თურმე სახლის კლიტე,
ალბათ ისევ არ გაქვს ახლა პაპიროსი...
გული მონატრებულ ლექსებს ეტანება
და საუკუნეა რაც მიყვარხარ მგონი...
ჩემთვის თბილისია ახლა ნეტარება,
თუკი პარიზია შენთვის ბაბილონი...

3

ეს სიყვარული ვერავის იტება,
ამ სიმორეზე ორს სწვდება მარტო,
განა უბრალოდ ამბობენ სიტყვებს,
მე, შენი ტრფობის ვატარებ ატომს.....
იდინებს ნელა წყება წულების,
კონებად შევკრავ ოცნების ფერთა,
მილიონობით კოცნა ულევი...
ამ წულების წინ დავწერე – 1 (ერთი)...

4

ჩემთვის დღეა ისევ ულიმლამო,
შენს სიშორეს ვეღარ ვიტან რაკი...
ბალ-მასკარადს ელოდება ლამე,
გთხოვ, ფრანგული შემოსხი ფრაკი...
მოიხვევენ ბუმბულებს და ნიღბებს,
სურნელოვან პარფიუმის ნაზავს...
თუმცა გარეთ ზამთრის ქარი მიღრენს
და სარკმელთან წვიმა მინებს ხაზავს...

5

შემოდგომის ქარები უსასრულოდ თარეშობს,
ჩანჩქერებად დაეშვა ფოთლის ჭრელი ფარდა...
არარაა ცხოვრება მიჯნურობის გარეშე,
ყველაფერი გაივლის სიყვარულის გარდა...
დაბინდული ნისლია ლამის პირისფარები,
მიყვარდი და მიყვარხარ, მეყვარები მუდამ!

ერთმანეთი ვიპოვეთ, სულ ჩამყურებ თვალებში,
ბოლნურ ჯვრისქვეშ ვიდექით, ჯვრისწერა რომ
გვსურდა...

6

ვგრძნობ, ჩემს სხეულშია შენი ნეკნი,
თვალზე ცრემლებს ვიშრობ ზოგჯერ მალვით...
მერე ოცნებებით შენს სულს ვეკვრი,
მიყვარს ეგ ლიმილი, იდუმალი...
გარეთ ქარია და ტრფობას გიხსნი,
ხეზე იასამნის ტოტებს ამტვრევს...
ვგრძნობ, რომ ლექსიც სისხლად გადამისხი,
ისე ტყევილამდე მომენატრე...

7

ჩამოაჭრეს ნახევარი მთვარეს,
ჩაირულა მთები ღამის ბინდით,
ლექსის სტროფი ვერც კი დაგამთავრე,
რომ სიზმრებით შენთან გადმოვფრინდი...
ლრუბლით ვცურავთ ვარსკვლავების მტვერზე,
თითქოს მთვარე ნატეხია ქარვის...
ასე არვის უფიქრია შენზე,
ასე არც მე ვყვარებივარ არვის...

8

მოდერნისტული იმპროვიზაცია

იყო ძველ რომში, როგორც სენეკა
მარკუს ფაბიუს კვინტილიანე...
ჟამთა დანიებას ფიცით შეეკრა
და რენესანსი დროში ტრიალებს...
არისტოტელეს მოძღვრავს პლატონი –
ვერ შეითვისა აზრმა სოფისტი...
ანტიკურ ხანის რეფორმატორის
ყალიბებს ირგებს ლექსი სტროფისთვის...
მონტესკიეთი, ჟან-ჟაკ რუსოთი
ხან მონარქიას სძლევს ანარქია...
შენ, საბჭოური გბოჭავს რუსეთი,
აქ უშენობას ყოფნა არ ქვია...

9

დაილია ამ გულივით დღე და
მონატრებულს, სიზმრებშაც გხედავ...
მახსენდება სვეტიცხოვლის წირვა,
თითქოს ახლაც ტაძრის ეზოს წინ ვართ...
შევედრები გველოდება ხვალ-ზეგ,
ახლა, შენს ლექს თავს დავადებ მხარზე...

10

შემოდგომამ მოხატა ფოთლისფერი ფარდაგი,
უცნაური სიწითლით ნეკერჩხალი ელვარებს...
შენს გვერდით რომ არა ვარ, უშენობამ დამდაგა,
ეიფელთან მალლდება მონატრების მწვერვალი...
ქარმა ფიქრის ფარდები ისევ ააფრიალა,
მერე დაჯდა ხეებთან სანადიმოდ ინახად...



სულ პირთამდე აივსო სევდით საცხე ფიალა,
ჩვენს სიყვარულს ამ გულში კვლავ სათუთად
ვინახავ...

11

სიტყვებს მართავდი როგორც მაუზერს,
მე შენ გიცნობდი ბალლი რომ იყავ,
როს კითხულობდი მიუნჰაუზენს,
შენზე ვფიქრობდი რომ უკვე მიყვარს...
ჟიულ ვერნივით სხვა ორბიტაში
დაგვაქროლებდა რაშები მარდი...
ფრენას სწავლობდი ვით ორბი ცაში
და მე კი უკვე ძლიერ მიყვარდი...
ყმანვილკაცობის ცხენებს ცეცხლოვანს
მიაგელვებდი ისევ მარულით...
ვერ დამინახე?... მანდვე მეც ხომ ვარ,
ჩემი გფარავდა სულ სიყვარული...
დრომ ვერ წალეკა წრფელი მიზნები,
თუმც გვიან შევხვდით, ვერვინ გაგვყარა...
თითქოს ბავშვივით ჩვენთან იზრდება,
გრძნობა – ერთურთი რომ შეგვაყვარა...

12

გულის ფიალას დარდით უვსებენ,
ოცნებები კი პარიზს ელიან...
თითქოს ტანჯვისგან ნაბახუსევი,
ვერ დაიმონეს გალას გენია...
ქართულს ყველაფერს დევნიან, ვნებენ,

სისხლისფერ დროშით დგას საბჭოეთი...
აღარც ქვეყანა, არც ეროვნება,
თუმც იცავს მამულს სიტყვით პოეტი...
მესიზმრე წუხელ, შუალამისას,
მსურდა ეგ სახე ცხადშიც მეხილა...
მონატრებები ივერთა ცისა,
გადაჰყენოდა ქართლს მთაგრეხილად...

13

მინაწერი პიეტრო დელა ვალეს წიგნზე...

რომაელ კონსულ-პატრიცს –
ვენეციაში დოჟებს...
ვინ გაიხსენებს მათ რიცხვს,
აფრიალებენ დროშებს...
გაოცებულა პადრეც,
თვლის ოქროს მისხალ-მისხალ –
ყიდიდნენ მამულს ადრეც,
დიდმოურავის სისხლად...
კვალში მიჰყვება ეტრატს
კალამი, როგორც ხმალი...
შვილიც ხომ გაიმეტა
დღე რომ გვექონოდა ხვალის...
უკვირს ქართველთა მოდგმა,
ძველ კარმელიტთა ორდენს...
გმირობა თუკი მოგვდგამს,
ღალატიც რატომ მოგვდევს?...

31



მთაწვარი ვანო გოცირიძე

მთაწვარი ვანო გოცირიძე





ՀԱՅՈ
ԾԱՌԱՎԱՐԱԿԱՆ

תְּלִימָדָה וְתַּחֲנֵן

შე ტუნიკურ პროგრესს კი არ ვწყობონ ან ვერძილეთ, ვიმეორებ, რაჯ მიყვარს, რაჯ ადამიანურია, მეძვირფასე-ზა, რაჯ მინახავს და განმიღეოს, იმის ნაშტა, დაკარგვა, უარყოფა მენახება... კუთხის ლოდები, ქვერი თუ გა-მოაჩლე, მერე ყველაზე მყარი, მჟღივი ჰელენიზ კი იოლად წამოსაქმინდა.

3. የከንጂዥ

მოგილური

არც ფოსტა მტკირდება, არც ტელეფონისტი ქალთან ყელის გამოწევა, ვზივარ მანქანის უკანა სავარძელზე და სადღაც, დაკარგულში გელაპარ-აკები.

ნეტავი როგორ ვიყავით, უმობილუროდ რო-
გორ ვცხოვრობდით, არ გვქონდა და არც კეთდე-
ბოდა საქმეები თუ რანაირად იყო-მეთეში.

როგორ არ გვქონდა, დიდი და სერიოზული
საქმეებიც კეთდებოდა, მაგრამ დღევანდელთან შე-
დარებით, აბა წარმოიდგინე, რამდენი დრო, ენერ-
გია თუ გნებავს ხარჯი გვჭირდებოდა. აი, ახლა,
ყვარელში ვარ. ტარიბანაში სასწრაფო საქმე მქონ-
და, დავრევე, ჩვენი საერთო მეგობრის შვილთან
– გიგი იქ მუშაობს, ერთ-ერთ კომპანიაში. უცებ,
წამებში მოვაგვარე ჩემი პრობლემა, გასარკვევი
გავარკვეი და მოვისვენე. დავზოგე დრო, ენერგია...
რომ წავსულიყავი, მარტო ბეზზინი, ერთი ოცდაა-
თი ლიტრი მაინც დამჭირდებოდა.

ეეჱ, ჩემო ძმაო, ნამეტანი მორგებიხარ ახალ დროებას... მაგებს კი ვზოგავთ, დროსაც, ენერგიასაც, ბეჭინსაც, მაგრამ მოყვრობა-მოკეთეობის მაღლს ხომ არ ვკრგავთ, იმ სიყვარულს ხომ არ ვანელებთ, ადრე რომ გვქონდა, ამაზე თუ გიციქრია-მეტეი.

დღოის გაუტანლობაზე ჩვენს ერამდეც და უფრო იქითაც, კაცობრიობის მეხსიერების თვალი რომ ვერ მისწვდება, ჩიოდნენ ასაკმორეული თაობები. ალბათ, ისეთ პროგრესულ, იმ დღოისათვის ტექნიკურ სასწაულს, ხელსაფვავის გამოგონებასაც ამრეზით შეჰყურებდნენ ხანდაზმულები, შეჩვეულები იფქლის, მარცვლეულის ქვის სანაყოფი დაჩრდინებას, ოფლისლვრას და წვალებას, ვფიქრობ არც ურემო და წისქვილი იქნებოდა იოლად შესაგუებელი, მაგრამ ცხოვრება, ეპოქების მდინარეება დალმართზე კი არა, აღმართზე ადის და, გვინდა თუ არა, ჩვენც მიგვაზიტოვებას... მიდის, მიდის,

ადამიანი ხავსს მაინც ებლაუჭება – თავიდანვე წაგებულ ბრძოლას, განუხორციელებელ იდეას – აპყავს კიბე ზეცაში და არ იცის, მერამდენ საფეხური ჩაუტყდება, როდის შეუდგაშს დაგორებულ ლოდს დალლილ მხრებს სიზივე...

მე ის მიყვარს, ის მენატყრება, იმის გაქრობის, გადაგვარების, წახდენის, წაშლა-განადგურების შიში მაგიუებს, რაც ვიცი, რაც მინახავს, რაც გან-მიცდია, რითაც მიგრძენია სიცოცხლის მშვენიერე-ბა.

მკლავზე გადაწვენილი ნამკალი – მზისფერი, თავდამძიმებული თავთუხხის ხელიურები.

ოფიციალურად
ოფიციალურად

მარცვლების სანაცვლოდ ოფლის წვეთებით
ინამებოდა მინდვრები.

ცელის შხუილი – თაკარა მზეში, ხამუშ-ხამუშ რომ აქუცმაცებს მომთენთავ სიჩუმეს.

მერე სიმსუქნით ტანდამძიმებული მწყრების
შეფრთხიალება.

„ცელო, მოუსვი, გზისპირია,

დაგვინახავენ და სირცხვილია.”

ვის უნდა დაენახა, ვის წინაშე არ ასვენებდა პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენს წინაპარს, ანდა მაშინ თუ გვრცხვენოდა, ვფრთხილობდით და სხვასაც ვაფრთხილებდით, ახლა რამ ჩაგვიქრო ეს გრძნობა, ხასიათი, პასუხისმგებლობა?

მე ტექნიკურ პროგრესს კი არ ვწუნობ ან ვე-
ბრძვი, ვიმეორებ, რაც მიყვარს, რაც ადამიანურია,
მექინიფასება, რაც მინახავს და განმიცდია, იმის
წაშლა, დაკარგვა, უარყოფა მენანება... კუთხის
ლოდები, ქვები თუ გამოაცალე, მერე ყველაზე
მყარა, მკვრივი კოდელი(კ. კი იოლად წამოსაჭიროა.



„ოღონდ ქართულად ილაპარაკეო, “ – პოეტი რომ იხვეწება, ვიღაა ამ ვედრების ყურის დამგდები.

ილაპარაკებდნენ, მაგრამ რომ აღარც იციან?

დახვენილი, დარბასისლური მეტყველებაც გაბაზრდა, როგორც დახლებზე გამოტანილი, გადამყიდველების ხელიდან ხელში გადასული მწვანილი.

ნამდვილი სიტყვის გემო მხოლოდ იმ წიგნებში ჩარჩა, მობილურით და ინტერნეტით რომ ჩაგანაცვლეთ და სათოფეზე აღარ ვეკარებით.

ხანდახან ძილში ჩამესმის:

წვიმის წვეთი ღია აიგნის ბოძების ძირში მიდგმულ ნატეხარებში წვეთავს.

წვეთი კრამიტიდან ჩამოდის, ხელისგულივით შეშვერილ ნატეხარს ნელ-ნელა ასებს, მონიტონური წკაპუნით ხვრეტავს დამის სიჩუმეს.

მაღა, სისხამზე, ხარიხაზე წითელი მამალი აფრითხალდება, დააფეხუბს ჩათვლემილ, აკრიახებულ დედლებს და დასაყიდლებლად ყელს მოიღერებს.

იღვიძებს ადამიანიც, ერთ დროს იმ გარემოსავით წმინდა და გულუბრყვილო, რომელშიც ცხოვრობდა, იმ საქონელივით ალალი, ბაგასთან გარინდებულები რომ აბრიალებენ დიდრონ, ჭკვიან თვალებს და ხამუშ-ხამუშ იცოხნებიან.

იღვიძებს, ხელის ფათურით ექებს ტახტქვეშ შეწყობილ, ჭვინტაშვერილ ფეხსაცმელს, სამფეხაზე გასაშრობად ჩამოფენილ, ქუსლებგაცვეთილ წინდებს, ტანსაცმელს.

ეს მიდამო, გასახედ-გამოსახედი, სახნავ-სათესი, ტყე-ველი, იგივე მთელი სამყაროა, როგორც კრამიტიდან მოწყვეტილი წვეთში ოკეანე ამ პატარა სიტყველშიც სამყაროს საფიქრალ-საზრუნავია არეკლილი.

რამდენი სიტყვა, სახელი, წეს-ჩვეულება გახდა წითელ წიგნში შესატანი, დღევანდელობას რომ აღარ სჭირდება და ივინწყებს, რაღაც ახალს, უგემურს, უწარსულო და უმომავლო სიტყვათ-შეთანხმებებს უფერს ფიანდაზს.

ვიღა მოვა, ვიღა ვარებება სინაწულით თავდახრილი ამ ძვირფასი სიტყვების სამარესთან!

სად გადაიკარგნენ ის ზღაპრები, ის ლეგენდები, მართალი ტყუილები, მომხიბლავი სიუჟეტებით, წისქვილის ჯადოქრებით, კოშკების მზეთუნახავებით და მზეჭაბუკებით, ვრცელი, ახოვანი ტყების მდუმარებით, დაფარული იდუმალებით ალსავსე, დაბურული ტოტების შრალით, რომლებზეც ბრძენი, ჭკვიანი, მრავლისმახველი ფრინველები თვლემენ.

ტექნიკურმა პროგრესმა ყველგან ჩაყო თავისი ცნობისმოყვარე ცხვირი, ყველა ზანდუკი გახსნა, ყველა მეცხრე კარს მოამტვრია საკეტური, ფანტაზია, ოცნება, ძირში ფრთებშეჭრილ, ხეიბარ ფრინველს დაამგვანა.

ეს ჩიტი ცაში ვეღარ შეინავარდებს!
ვერა!

ყველა მიკარგულ, მსოფლიოს მიუწვდომელ მწვერვალსა თუ გამოქვაბულში, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ აღქაჯების, ცხრათავიანი დევების, ადამიანის მაცდუნებელი ბოროტი სულების ქორწილები, ლრეობები, როკვა-ყიუინა, მობილური წკრიალებს, ტექნიკის ფხიზელი ვიდეოთვალი ზვერავს და აფიქსირებს ყოველ წვრილმანს.

ახალმა საუკუნემ ახალი ეჭვებისა და უნდობლობის სარეველა ააბიბინა.

კარგა ხანა თამასუქად აღარ ცნობენ და არც ლომბარდში იბარებენ ცხვირსახოცში გამოკრულ, ძვირადლირებულ ულვაშის ღერს.

ფხიზლობს ქარიყლაპია კანონმდებლობა:

ფხიზლობს, მაგრამ მაინც ახერხებენ ღორის ჯაგარი კოკოდ ულვაშად შემოგვასაღონ.

გვეგონა ვუახლოვდებოდით და თურმე უფრო ვშორდებით სინდისის აზისს.

ირგვლივ გულვატეხილობის უდაბნოა.

„სად მიიღრიკოს ადამიანის სულმა თავი?“

სად იპოვოს შვება?

როგორ მოახერხოს თვალთვალის გარეშე ცხოვრება?

ახლა ხომ დგას და დაკარგულს მისტირის, ხელახლა იგონებს, თხზავს, იმ ფრთებს დაეძებს, გულუბრყვილო ფანტაზიას რომ შეაჭრა.

რა უყო, სად გააქრო, გადახვერნა ის საზღაპრეთი, რომელ პლანეტაზე დაბუდეს ჩვენი დედამინის ეკომიგრანტებმა!

ეპ, რამდენ მამალს ეგონა, რომ დილას მისი ყივილი ათენებდა!

ჰგონებოდა, რა იყო ამაში ცუდი.

ჩვენს წინამორბედსაც, იმ თავისი მარტივი იარაღებით – ბარით, ნაჯახით, ქაფჩითა და ბირდაბირით, უღლითა და აპეურით, ნალოსთვის ჩასაბმელი, ჩხრიალა ჯაჭვით, ელვარე, ტევადი სიტყვებით, სიმღერებით, ახლა რომ გვავიწყებენ, დაუმარცხებელი, დაუჩროქებელი ეგონა თავისი თავი...

მის მომავალსაც ამ რწმენით ეცხოვრა, რა მოხდებოდა, გულუბრყვილო სიკეთით ევლო!

ვინ დაუშინა ქვები იმ კარამიტებს, ვინ გადახურა სახურავი ფერადი პლასტიკატით, ვინ წამოკრიფა ბებიების ჩამორიგებული, წვეთს შედგმული ნატეხარები.

აღარ გვინდა იმ წკარუნის მოსმენა?

ცხრა მთას იქიდან დარეკილმა უღარუნმა შეცვალა და იმიტომ?

იმ წკარუნს სიმშვიდე, რწმენა, გამძლეობა მოჰკონდა ჩვენთვის.

ამ უღარუნს...

კარგია, ჩაუსვლელად, ტარიბანაში, მაგარი საქმეების მოგვარება, მაგრამ... გითხარი და კიდევ გაგიმეორებ, იმ სითბოს, იმ სიყვარულს ხომ არ ვეკარგავთ, რაც ადრე გვეკონდა, ამაზე თუ გიფიქრია-მეთქი.





რათა ვკარგავთ, როგორამ!

როგორ და, ჩახვიდოდი, ნაცნობ-მეგობრებს მოინახულებდი, სიყვარულს, ძმობას განახლება უნდა, პერი რომ არ დაკარგოს... ძველ, მეგობრობის ციხე-ბურჯებს ხომ გავამაგრებდით, ახლებსაც შევიძენდით... მიყოლ-მოყოლა, მოკეთეობა ერქვა ამას სახელად! ეს პატარა საქმე იყო? ეს აცოცხლებდა ჩვენს ფესვსა და ძირს, ამიტომ ვიდექით ლონივრად, ამიტომ გვერქვა კაცები და არა კაც-მაცუნები, დღეს ტელეპროგრამები აკლებული რო აქვთ, არასამთავრობოების უღალო ძუძუებს რომ ჩაფრენიან ავადმყოფი კატის კუტებივით და შეამს წოვენ თუ რძეს, ვერ გაუგიათ....

ხმის დიქციაზე, მიხვრა-მოხვრაზე, სიტყვა-პასუხზე – ყველაფერზე ეტყობათ ასეთ ურთიერთობებში რომ არ მოხარშულან, ჯიგარი მოყვრის სიყვარულით რომ არ ეწვით.

ყურთისასმენი, ჯადოქარი კოლოფი – უხილავი ჯინი, რომელიც ჩვენ კი არ გვემსახურება, ჩვენს ნამდვილ გრძნობებზე მბრძანებლობს.

პოლიეთოლენის ბოთლის ბრჭყვიალა, მეორად ზეთში ჩახრაკული კარტოფილი, მარილიანი პურის საკნატუნო, სახელდახელო საცხობები, სადაც მარტო ფასებია შთამბეჭდავი, ჩვენი შეილების ჯანმრთელობის დამანგრეველი ცომეულით, შაურმებით, კონცენტრატებით – გაზიარი სასმელებით.... ხომ ანგრევენ ჩვენს სამომავლო პერსპექტივას...

ჯანდაბას ის ოცდაათი ლიტრი ბენზინი, ჩასულიყვავი იმ ტარიბანაში, ან ავს იტყოდით, ან კარგს, ეგებ ნაცრიანი მწვადისთვის და ენამთის ნუნუასთვისაც გამოგეკრა ხელი, მეგობრებში შექეიფიანებულს გრძნობა მოგრეოდა, სამშობლის ბედითა და უბედობით აფორიაქებულებს გულმკერდი ჩაგმეჯილათ, უანგმოდებული სიყვარული ხელახლა მახვილივით აგელესათ და ისე წამოსულიყვავ, სავსე იმედებით, კმაყოფილი, ბედნიერებით ზურგგამაგრებული... შენ კიდევ, დრო და ბენზინი დავზოგეო... არა, ძმაო, ადრე ეგრე არ ლაპარაკობდი, გულში ისეთი ლადარი გენთო, ეს მიეთ-მოეთი როგორ ჩააქრობდა, ნაცარტუტად როგორ აქცევდა!

მაშინ, ერთმანეთი რომ გვენახა, საქმეებს ვიგონებდით, გულის ჭვარტლის დასაბერტყად მარბილივით დავეცემოდით ხოლმე ერთმანეთს... გახსოვს, ხორნაბუჯზე, სავსე მთვარის შუქზე, კედლებს რომ ვკოცნიდით, ლოდებს, თიხის ჯამებიდან იმ ღამეზე უფრო კუნაპეტ ლვინის წვეთებს რომ ვაპკურებდით.

ვინ იცის, ის ლოდები რომელი ქვითხუროს მარჯვენით იყო კედელში ჩასაყოლებლად ჯვარდაწერილი...

ეჰ, არ მინდოდა, მაგრამ მაინც აიშალა ძველი დარღები.

რაღაც გაუგებარი და მიუღებელი ხდება ჩვენს თავს.

როგორც საიდუმლო საგანძური, ეგრე გამოლიეს სიხარულები – ცოტა დარჩათ და ეგეც თვითონ სჭირდებათ, ჩვენთვის ვერ იმეტებენ. მეკობრეებივით დაეპატრონენ, ამ პატარა ორჩხომელს, საქართველო რომ ჰქვია, თავის ნებაზე უცვლიან სიჩქარეს და მიმართულებას.

აგე, აგვისტოში ხომ შეანაყეს ამხელა, ჩრდილოელ აისბერგს!

ისეთი შერყევა მივიღეთ, გონს ჯერ კიდევ ვერ მოვსულვართ.

მაინც თავპირისმტვრევით მივდევთ ძვირფასი მანქანების და ჩვენთვის უსარგებლო, დამსნგრეველი იდეების ესკორტს. მივდევთ, გზადაგზა ვეცე-მით, ცოტავდებით, ვკლებულობთ – ჩვენში ხომ წარმატებით მხოლოდ ბანები, აფთიაქები და სასაფლაოები მუშაობენ, მაგრამ უკან ვიღა იხედება, ვის აინტერესებს რამდენი და ვიღა დავრჩით.

მენინავენი იმიტომ ჰქვიათ, რომ წინ უნდა იყურონ, წინა!

შენ კიდევ ოცდაათი ლიტრი ბენზინი!

გაცდუნებს ეგ ყოვლისშემძლე კოლოფი!

მეც, რა თქმა უნდა, მე რა ამ დროების შვილი და მსხვერპლი არა ვარ?

* * *

ჰო, შენს მოწონებულ მობილურზე გამახსენდა:

ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ახალი, კორპორაციული ნომერი მომცეს.

მომცეს და სულის მოთქმა არ მაცალა, მაშინვე რევაცს.

კახეთის რადიოდან გებმიანებითო.

(რას ერჩი, ეს ბოლოლა „გებმიანებით“ მშვენიერი სიტყვაა, თანაც რიხიანად, დაუფარავი სიამაყით წარმოთქმული).

კახეთის რადიო?

გამიკვირდა.

ამათ საიდანდა გავიხსენდი-მეთქი.

– გისმენთ, რა ნებავს კახეთის რადიოს?

ქმენაზე შევატყვე, არ ესაიმოვნა ფეხის წვერებზე რომ არ დავდექი და ჩემი თამამი პასუხი ხომ მთლად მალამოდ არ მოეცხო.

გვაინტერესებს, თქვენმა „აიპმა“, რამდენი შეტატი დაუშვა, კონკურსით რამდენ თანამშრომელს მიიღებთ, ვაკანტური ადგილები თუ გექნებათ სპეციალისტებისთვის და ხელფასებზეც იქნებ მოგვახსენოთ, მომაყარა სეტყვასავით.

ვერ გეტყვით-მეთქი.

– ეგ როგო? რას ჰქვია ვერ მეტყვით? – კუთხური ინტონაციის კამუფლაჟით შენიღბა თავისი განცვილებება.

– ვერც ერთ საკითხზე თქვენს ცნობისმოყვარეობას ვერ დავაკმაყოფილებ! – გავუმეორე.

ყურმილს იქით ავბედითი დუმილი ჩამოვარდა – უურნალისტებს ჩვენში ასე უკმეხად არ ელაპარ-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

აკებიან.

დაელაპარაკებიან და იმათი აჯობებს!

ხომ გითხარით, ვინცა ვარო.

მითხარით, მაგრამ ამ ინფორმაციას ჩემგან
მაინც ვერ მიიღებთ-მეთქი.

რატომათ.

იმიტომ, რომ სადაც დარეკეთ არც საგარე-
ჯოა და არც „აიპი – გაფრინდი შავო მერცხალო“...

ჩვენ მადონა ბრაჭულთნ ვრევავთო.

მერე, ვაჟყაცური ხმის პატრონს რა შემატყვეთ
რომ მადონა ბრაჭული ვიქნებოდი-მეთქი.

რა ვიცი, მოადგილე მეგონეთ, ეგ ნომერი იმი-
სიაო.

„არ დამიკარგავს, მიპოვნია, ახლა ჩემია“, –
მივუმღერე.

ეგრე ჩაქრა, როგორც წყალგადასხმული ცე-
ცხლი.

მერე სიცილი აუტყვდა.

ის მაინც მითხარით, სად ვრევავ და ვინ ბრძან-
დებითო.

ვუთხარი.

საიდან სადაო, ბრაჭულის ნომერი რამ-
სიშორეზე გადმოუგდიათო...

რა ვიცი, დლევანდელ დლეს
„გადაგდება“ გივირთ, მითუმეტეს
მობილურის ნომრისა... ეგ „მაგთის“
უნდა ჩაეკითხოთ-მეთქი.

რალაც ჩაილაპარაკა და მობილუ-
რი უბოდიშოდ გათიშა.

იმის მერე, რეკავენ და რეკავენ,
ამიტომ, ვიდრე დაველაპარაკები,
ჩავძახებ ხოლმე:

– ბრაჭული არა ვარ, არა!

თუმცა რა ვიცი, ეგებ ვარ და არ
ვიცი!

ისე, კახეთის რადიოთი რომ გა-
მოვიდე, არც მაშინ მომეშვებიან?

35



* * *

ამას წინათ „თუშ მეცხვარეს“
ვუყურებდი.

(ხანდახან ჩვენს ტელევიზიებს
ეშლებათ და ადამიანურსაც რალაცას
შემოგაპარებენ)

პლატო ოსორაული.

პანტო თათარაიძე.

იობ ბართიშვილი.

„ბალლო“ – ზურა სულაკაური.

კიდევ მრავალნი და მრავალნი,
ფილმში რომ მიდი-მოდიან, მოძრაო-
ბენ, ეს არ თამამობენ, ეკრანზეც თა-
ვისი ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვ-
რობენ, დიდი და მცირე როლებით,
სათითაოდ გვიცოცხლებენ, იბრძვიან
ქართველი კაცის ხასიათის, ტრადიცი-
ის, სიტყვის მადლის გადასარჩენად...

უყურებ და გული შემოგვნესის, რადგან
ამ კადრებს ტიტრივით გასდევს შენი წუხილი –
„თუში მეცხვარის“ გადაღების შემდეგ კიდევ უფრო
უარესობისაკენ შეიცვალა ანტურაჟი – საქმე იქა-
მდე მივიდა, რომ მთაში ლამის ამ სიტყვების
მთქმელიც გაქრეს:

„აი, ეს არის, ბალლო, შენი სამშობლო!“

პლატო ოსორაულს, სახალხო მთქმელს, ენამ-
ჭევრ და ხალხურ ნიადაგზე ამოზრდილ ბრძენებაცს,
სამწყემსურში ყოფინისას უანგიანი ლურსმანი შეერ-
ჭო და იმან იმსხვერპლა.

ის უანგიანი ლურსმანი ყველას გვიწამლას
სისხლს და გვინელებს.

რათა, ვინა ხარ და ვის დაჰკარგვიხარ, ძმაო,
უჯიგრო და უჯიშმ შინაურო თუ გარეულო, მერამ-
დენე წელია ასე რომ აბურთავებ ჩემი ქვეყნისა და
ადამიანების ბედს!..

რამდენმა მლევრიე წყალმა ჩაიმდერა და ჩაი-
გრიალა.

ალარ ელირსა დაწმინდავება.

„აი, ეს არის, ბალლო, შენი სამშობლო!“
სად არის ის ხმები, ის ხალხი, სიყვარული, იუ-

ლევა №2, 2020





მორი, მოვალეობის პატივისცემა, მისვლა-მოსვლა, მოკეთეობა, უკვდავი მოტივით აკენესებული გარმონიკა, ძვალ-რბილის დამდნობი თუშური მელოდის მდუღარე. მწვანე ფერდობებზე, ხევხუვებში თეთრ ჩანჩქერებად ჩამოგრძელებული, დანალიკებული ცხვრის ფარები – სამშობლო, აი, ისეთი, როგორიც მქონდა, ტრადიციების მცნობი, ამაყი, იმედიანი, უკეთესი მომავლის მომლოდინე...

ახლა?

მხრებჩამოყრილი, სამათხოვროდ ხელგაწვდილი, იმედგაცრუების ლახვარით ფრთებდაჭრილი, უსიხარულო და კიდურებმოკვეთილი... ცოტაც და ხელთუპყარის და დავრდომილის საგანგებოდ მისთვის დამზადებულ, ხეიბარის ეტლში ჩასვამენ და ტრანსკავეასის დერეფანში თუ მაგისტრალზე წინ და უკან აგორავებენ...

ამწუთას არ მახსენდება სამყაროს არც ერთი საოცრება, მიჯნისურესთან შემღვრეული ალაზანი მენატრება მხოლოდ, დინებას გვერდულად რომ გამოუჭამია წყლისკენ დაცერავებული ფლატე და მორევში, ყბაში ღრჯოლივით ჩანგალგამოდებული ალაზანის ლოქო რომ ფართხალებს, ამოსხლტება მუქი ვერცხლისფერი ზურგით და დაასკდება წყლის ზედაპირს... მენატრება თელავის ბაზრის შესასვლელთან ცალთვალა მეჩინგურის ჩახლეჩილი ხმა, სახინკლის თბილი, მუჟე ლუდი, ალავერდისკენ გაფრენილი უბელო კვიცი, გამურულ ზედადგარზე შემოღმელი სახორცე ქაბას (გიორგი ლეონიძის ხმით წარმოთქმული) „ოშხივარი“, ის ზვავიც კი, დარიალის ვიწროებში მომავლებს ზურგს უკან რომ ჩაგვისროლა და გულმოსული, რადგან ვერ მოგვიხელთა, უფსკრულში გადაიჩება, თავი მოიკლა...

– როგორ, ზვავმა, კაცო?

– პოო, ზვავმა!

– რასაც შენ არ იტყვი, ზვავმა თავი როგორ უნდა მოიკლა?

– ჩემი თვალით რომ არ მენახა, მეც არ დავიჯერებდი... კიდევ რა მენატრება, გავაგრძელო ჩამოთვლა? რით ვერ გაიგე, რაც გულს აკლია, ყველაფერს ერთი სახელი აერთიანებს!..

აბა, გამოიცანი!

ვერ გამოიცნობ, რადგან „იზლერის ბალები არ გინახავს“!

ან გინახავს და ალარ გახსოვს.

შენც ერთი კაცივით არ შემოირტყა შუბლში მუშტი, გაიხსენე გრძელყურაო!

მაინც ვერ გაიხსენებ.

ვერა!

ნნ!..

* * *

„ქალავ, რად იცვამ შავს კაბას,
ყორანს რად უმეგობრდები,
იქნება სატრფო მოგიკლეს

და იმიტომაც ლონდები“.

სიპი ქვის ნასახლართან ამოწვერილი ტან-ნერწეტა გვირილების ბლუჯა დალანებს. იქვე, გზის გადაღმა, ჩამონგრეულ ყორეზე, როგორც უნაგირზე გადალაჯულა მეჩინგურე. მე და ყვავილების გვირგვინანმა გოგომ, წამალაიძეების ქალმა, ჯაგნარიან ფერდობებიდან ჩამოვივაკეთ, ხელჩაკიდებულებმა ნაპირ-ნაპირ ჩამოვირბინეთ ნაწილიანზე ხმადაბოხებული ხადისხევა და მომლერალს წავადექით.

ეს ყვავილები, გოგოს, დიდველზე დავუკრიფე.

დიდველს ისეთი ბრძოლა ახსოვს, რომ მთელი მინა სისხლით ყოფილა გაუიებული.

ყვავილების ფურცლებზე წითელი და ალისფერი ამიტომ ჭარბობსო, მითხრა თანამგზავრმა.

ყორეზე დადგმულ სახინკლე პატარა ხონჩაზე ორი შეგრილებული ხინკალი და გვერდულად მიწოლილი, მოკაული ყანნი იღო. მეჩინგურის ფეხთან, ბალახიდან თავნამოყოფილი, „დაპრობკილი“, ლურჯი ბოთლის ყელიც მოჩანდა.

– დალევ, ბალლო? – ბოთლს დასწვდა, საჩვენებელი თითით წარბებამდე ჩამოფხატულ ქუდს კიკირტო აუწია და თვალმოჭუტულმა გამოშედა, – უკვე კაცი ხარ, დალევ, მაშ რას იზამ!.. უიპიტაურია, რბილია!..

ჯერ ცარიელი ყანნი მომაწოდა, მერე დანაკლულებულ ბოთლს დასწვდა და სალი, ლონიერი კბილებით საცოპი ამოაძრო.

არაყი ჩამოაწანნკარა.

თავდახურული ბოთლი ისევ ფეხებთან ჩაიდგა.

– არაყი კენტი უნდა, ან ერთი ან სამი... უნდა ვიმყოფინო... სალამომდე აქეთ მგზავრს რა გამოლევს და ხომ არ შევრცხვებით... ეე, რა ლამაზები ხართ! – თითქოს ახლა დაგვაკვირდა ხეირიანად, – ამი ქედნებსა ჰგავხართ, – გაგვახედა ხადისხევას ხეობიდან წამოსული ფრინველებისკენ.

არაყი მართლაც რბილი და მომჟავო იყო.

– დაყოლე ხინკალი!.. შენცა, ჰა, შენი წილილა დარჩა! – გაახანხალა გოგოს წინ ხონჩა და ხინკალი ცარცით დაასზულ ასფალტზე გაცურებული „პოლტივით“ გასრიალდა.

პატარა, მიწისპირა სახლიდან კოპლებიანი ხილაბანდით თავნაკრული ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

– ქორო, რათ გააჩერე სტუმრები გარეთ, შიგნით ვერ შემოიპატიუებ?

– როგორ შემოვიპატიუო, სანახევროდ მეც გარეთა ვარ, – დაირტყა ხელი ყორეზე გადმოლაჯებულ ფეხზე.

– გამარჯობათ!.. – მოგვიახლოვდა, – გოგო, შენ წამალაიძებისა არა ხარ? ესა კიდევ ბედოიძეების სტუმარი...

– რომლისა? – ისევ აინია კიკირტო კაცმა.

– ნიდარასი და ლენასი.





– ჰომ, მაშ ჩვენი სტუმრებიცა ყოფილან. ნოდარა და ლენა ჩვენი ბიძაშვილებია, უცხოები კი არ არიან.

– რა ვიცი, გარეთ კი დააყენე და...
– დახუალი ქათამი და შემოყიყვან!

– რათ მაშინებ, ქათამაც დავხელავ და ხინკალსაც ჩავყრი... – შემოყიყარა დოინჯი, – ლენამ თქვა, ლექსებსა წერსო, მართალია? – გამიღიმა ქალმა.

– ლექსებსაო! – გაიკვირვა ქორომ და ჩამოფხატული ქუდი უკან, კეფისკენ გადაქაჩა.

– იხუმრა, ალბათ, – ამკრა ალმურმა.
– ეგ რა სახუმაროა.

– წაგვიკითხე, ჰა, ერთი მაინც... – ჩამაჯინდა ქალი.

უარესად ავილანძე, ჩემი წაჯლაბნი რა საინტერესოა-მეთქი.

– კარგი, ბიჭი ნუ შეალონე, ქალო... განა მე ყოველთვის მემღერება.

– რა ვიცი, ეგ ყორე კი უნაგირივით ამოიდე და ველარ გაჩერებ!..

– მე რო გავჩერდები, დედა მაშინ გეტირება! – ჩაგვიკრა თვალი:

„ქვეობან ქალმა დახუალა,

ქიჩილა უკვე წახარა:

– გაექებენ, ქიჩიმარაულო,

ჩემსამცა ქმარსა შაგყარა...“

არა, ხო მაგარია? ჩინ-მედლები არ უთხოვია, თქვა კაცმა, ამ წუთისოფლის რიგითმა შვილმა და გაიარა... ამ მთებს ხედავთ? დაბალს მაღალი ენაცვლება, მაღალს კიდევ უფრო მაღალი... მაგრამ ისეთებიც არიან, თვალს რომ ვერ შეუწვდენ... საარაგვოზე, დუქნებს ხშირად სტუმრობდა ხოლმე ლუკა რაზიკაშვილი და რაკი თავიანთ გვერდით ხედავდნენ, თავისი ტოლი ეგონათ... ვინა კაცო, მლილი ხარ და ვის ეტოლები!.. კაცის სიმაღლე, მითუმეტეს პოეტის, სიკვდილის მერე უნდა გაიგო... იცით რატომ?.. აბა, დედაქაცის მოკლე ჭკუა თქვი, მაგ ჯლაბნას მოეშვი და საქმეს მიხედე, ნათიბი დასველდებაო, „დახახვიოდა“ ვაჟას თანამეცხედრე.

ჯლაბნასო, კაცო!.. მაშ ცოდო არ იყო? მაშ გაძლება არ უნდოდა? აკი ვერც გაუძლო, იმის ჯანის პატრონს ერთი ოცდაათი წელინადიც არ უნდა დაეხურდავებინა? – ფეხი ეზოსკენ გადაიტანა, – კაცი მარსკვლავებს ეთამაშებოდა, საწუთოს ჯამში, ზესკრელსა და ქვესკრელში იხედებოდა და, ქალი კიდევ... განა შენც ეგრე არ იცი, მე და მამალს გათენებას არ გვაცლი, ესაო, ისაო, წოლით მარტო კიტრი იზრდებაო... – შებდვირა ცოლს.

– მაშ რა ვენა? ეს ქოხმახი სადაცაა თავზე წამოგვემხობა და გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ? – შემოყიყარა გაწინმატებულმა დოინჯი, – კარგი, შენ ოღონდ „ალუდა ქეთელაურის“ ტოლფასი რამე დაწერე და თუნდაც შეადლემდე ლოგინიდან ფეხი არ მოიცვალო... თუ ხმა ამოვი-

ლო.. – ჩამჯილა მკერდი.

– ჰო, კარგი, კარგი, ძაან ნუ გაუტიე, დაყენდი!.. ეგ რო შემეძლოს, მოჳკვდომია ყველაფერს პატრონი! – ამოიოხრა და თითის ქევით გამაფრთხილა, – ვაჟო, ჩემი სიტყვა დაიხსომე, თუ მაგარს არ შექმნი პოეტობა არ დაიჩემო, არ გამბილო, ლექსებს ვწერო... ე, ხიდი წყალმა რო წაილო, არაგვზე როგორ უნდა გადახვიდეთ!

– აგე, ამათი ხიდი! თვალდახუჭულები გადიან და გამოძიან, – ანიშნა ქალმა ორჯონიკიძე-თბილისის გაზადენის ვერცხლისფერ მილზე, ბედონიდან ქვეშეთის მისადგომამდე რომ იყო გადებული.

– ეე, ფრთხილად იყავით, თორე ფეხი რო აგიცდეთ და მანდედან ჩამოვარდეთ, მიწამდე სული არ დაგვებათ!

– არა, უკვე მიჩვეულები ვართ, – დამშვიდა გოგომ.

აბა, მიდით და აქედან უნდა გიყუროთო.

თავეკვე დავეშვით. მილზე რომ ავედით, უკან მოვიხედე – ორივე სასურათედ გამზადებულებივით იდგნენ ყორესთან და მოგვჩერებოდნენ.

კაცმა ჩონგურიანი ხელი დამიქნია:

– ესეც არ დაგავიწყდეს, პოეტო, თუ იქნები, ყველაფერში მაგარი უნდა იყო – პეტერბურგში, დუქანში, მთელი ჯამაათი დაბალილავა ვაჟამ!.. განა ზურგს მე კი ვერ მივადგამდი, აფსუს, იქ მაინც ვყოფილიყავ!.. – ბოლო სიტყვები წყლის დგაფუნმა ჩაყლაპა.

ვიცოდით, რომ დაბაბულები გვიყურებდნენ.

გოგო წინ მიმიძლოდა.

განზე განეული ხელებით წონასწორობას ვიცავდით, არაგვს ხახაში არ ჩავუვარდეთო.

როცა გავედით, ვიგრძენით, შვებით ამოისუნთქეს.

გალმა ნაპირიდან, დაპატარავებულები, სიპი ქვით ნაშენ ყორესთან თოვეინებივით მოჩანდნენ.

ნამაისეს, ქორომ, ქვეშეთის სასადილოში, ორჯონიკიძიდან გადმოსულ ორ ტურისტს, ლერმონტოვის სიტყვებისთვის „ნეკალი რიბკი გრიზის“ – თავი ერთმანეთს ახლევინა და წვრილმანი ხულიგნობისთვის ჩასვეს. ორი კვირა სკოლის ფიზიალზრდის მასნავლებელი იმ სტუდენტების მიდამოს ხვეტდა, თავისი სტუდენტობის წლები რომ გაატარა. გამოუშვეს და, სექტემბერში, ბავშვებს როგორ ვეჩვენო ნაციხარი პედაგოგი, ეგრე ლოთობს, ყორეზე გადამჯდარი დაპლმუის ხოლმე ჩონგურს...

„სექტემბრამდე გაუვლის!“ – იმედს არ კარგავს ცოლი და ძირზე დაყვანილ ბოთლსა და ხონჩას შინისეკნ მიაკონწიალებს.

ღმერთს იმის ბედნიერება მაინც მოეცა, რომ პეტერბურგში ვაჟასთან ერთად მეჩხუბა, მხარი მხარს მიმეცა... აუ, რა საყურებელი ვიქნებოდიო,





თითქოს თავის ახდენილ ოცნებას ხედავს, ცისკენ თვალი გაუშტერდება, რომ დაუძახო კიდეც, ქორო არ მოგხედავს.

* * *

ჩაიდან შიშინებს. ასე მგონია, თვლემაში წასულს შინაური, გულით ახლობელი მესაუბრება. მესაუბრება შორიდან, მეხსიერებაში გაფერმერთალებული ზამთრის გრძელი დამიდან. დედაჩემის კალთაში მობლუნდული სანდო, მშობლიურ მერყდზე რომ ვიყავი გალურსული და ნეტარებდნენ მოხუჭული ქუთუთოება.

ტაფაზე იკლავნება, ქონად მიდის დამარილებული ღორის ტყავი. ქარვისფრად დაბრანული ნაჭრები ჩემს თვალწინ ილევიან, პატარავდებან, იხრუკებიან...

მდუღარე ქონს ქილაში გადაწურავენ.

ჯერ კიდევ ქაფეაფა ცხიმი თიხის ქოთნის დავიწროვებულ ყელში ყვითლად ლაპლაპებს.

გაცივდება და გათეთრდება.

ტაფა ისევ ღუმელზე შიშინებს. ხანდახან ბატიძულტივით გასკდება, შეხეფებს გაჰყორის ცხიმის ბურთულა, ღუმელს დაელვენთება და ხახვიანი ქონის სურნელი, ღუმელქვეშ ნოლით მიძნედილ, ზურგადატრუსულ კატას თვალებს დააჭყეტინებს. ტუჩებს გაალოკვინებს.

დიასახლისი გადმოყრის პირგანიერ ჯამში დაშაშრულ ხოხოზიეს (ერთი ბაბო ხოხოზიეს ეძახდა, მეორე – ხურავიჭს).

მერე პატარა თეფშზე დამიდებენ, თან ნივრით და ქინძით შეზავებულ, სურნელოვან ბაქმაზს მომისხამენ და მადიან პურის ყუას ხელში მომაჩეჩებენ, აბა, გემრიელად იქიფეო.

გარეთ ძალი დაიყეფებს, ისე, ჩვეულების გამო, თორემ განა არ იცის, რომ სიმყუდროვე ნიავსაც კი არ დაურღვევია.

ფანჯარაში აყირავებული დგას დიდი, შავი ნახშირის უთო. აქეთ-იქით ჩარიგებული საცეცხლურები კბილებივით დაუკრეფია. მაშინ უნდა ნახოთ ეს ცეცხლისმფრევებით დრაკონი, დედაჩემი ნახშირით რომ გააგუსტს, გარეთ გაიტანს და აქეთი იქნევს, ვიდრე გაღვივებული ნაკვერჩხალი, ამ კბილებიდან ნაცერწკლებს არ გამოჰყორის, გაალაპლაპებს, გაახურებს უთოს ძირს და მერე თეთრ, ქათქათა, დანამულ ზენარზე გააცურებს.

მძიმეა, ჩამწყვიტა წელიო, დაიჩივლებს, მაგრამ თან მოსწონს, სარეცხს რომ გაატკეცავს-ხოლმე.

სარკმლიდან ჩანს – პირველი თოვლი მოდის, მოდის უხმაუროდ, ნაზი ფარფატით. იქნებს საძალლედან თავგამოყოფილი ფინიაც მის მობრძანებას შეჲხარის, ფიფქები ცხვირზე და წამნამებზე რომ ასხდებიან, სიცივით შემაჭრებული ჰაერი ყნოსვას რომ ულიზიანებს.

შენ „კარმის“ კაცი ხარ.

მე – ცეცხლის.

შენ „სნიკერსი“ გენატრება.

მე დახრუკული ღორის ქონის „კარამელი“.

ჩვენი შორეული წინაპარი მაშინაც ამ ცეცხლს უყურებდა, გამოქვაბულიდან ხეირიანად ჯერ ცხვირიც რომ არ გამოიყო. ეს ცეცხლი ათბობდა, ალვიძებდა და ალვივებდა ფანტაზიას, ხატავდა ნოტიო კედლებზე ჯადოსნურ სურათებს, აცოცხლებდა იმედანი, ვაჟაპური თემულებების სიუჟეტებს. პირველი ღილინიც იმ ღროს ამოიფრქვა ყელიდან, რომელიც თანდათან მომძლავრდა, მოლონიერდა, დაინმინდა და ერის უკვდავებად იქცა:

„გაფრინდი, შავო მერკხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო.
ნიშნად წაუღე ნაწნავი,
მოჭრილი ჩემი თმისაო,
უთხარი, ზედ აპკურია
ცრემლები შენი დისაო“.

ერთ დიდ, „უტოლსნორ“ იმპერატორს ამ სიმღერის მაღლი ენთო რევოლუციური ქარიშხლებით გამაცრებულ, მიუდგომელ ცხრაკლიტულივით გულში და მას მხოლოდ თავისი პატარა ქვეყნის თანამემამულებების თანდასწრებით თუ გააღებდა ხოლმე.

იქნებ თავისთავიც ის ძმა ეგონა, შუა ქართლიდან დამ საომრად რომ გააცილა და ბედმა უცხო ქვეყნის ხელმწიფობა არგუნა...

ინვის, იფერფლება ატკაცუნებული შეშა, ჯადოსნური წარმოდგენა საცეცხლურს უკან, პატარა სცენაზე რომ იდგმება, მსურვალებას აფრქვევს, ერთმანეთზე დალაგებული რცხილის ნაპობებიდან ჩამოღვენთილი დამდნარი ოქროს ნიაღვრები ავსებენ გავარვარებულ, თალოვან გვირაბს.

მშენიერება წვაშია.

განა სულის წვა არ ქმნის უბრალოს და ამაღლებულს?

ეს წამები არ უნდა გამოგეპაროს, უნდა ჩაეჭიდო, როგორც დაოთხილი ბედაურის ფაფარს, თორებ თვალის დახამხამებაში ჩაიფერფლება და... მორჩა, შეგრჩება კვამლით გაჭვარტლული კედლების სიცარიელე და წაცრის მდუმარება, მთელი მსურვალება რომ გააცია, ჩამარხა და ზევიდან გადაეფარა.

ჩიდანი შიშინებს.

გარეთ ვიღაც იძახის.

აი, ახლა ავდეგები. გამოვალ თვლემის ბურუსიდან. ახლავე... გავალ... გავხედავ...

ფეხს ვითრევ – თან ვიცი, რომ გარეთ არავინ არ დამხედება – არც თოვლი, არც ცნობისმოყვარე ფინია, არც მარტოობით გულგანყალებული, სალაყბოდ მოსული სახლიკაცი... არავინ, არავინ და, გულდანყვეტილი შემოვტრუნდები.

აღარც შინ დამზვდება ვინმე, ვინც ხოხოზიკი-





ან თევზშს დამიდგამს და მაღალყელიან, ბაქმაზის ბოთლს ენასავით გადმოაგდებინებს ყელში გაჩხირულ წითელ წინაკას.

დერვიშები ამბობენ: ყველანი ლარიბები ვართ, გარდა უფლისაო.

მართალია, სიმდიდრე ილუზიაა, რომელიც ადამიანისთვის ტალღის მიმოქცევასავით არის – მოვა, მოგზვენება და წავა, დაგტოვებს ცარიელ ხელებგაშვერილს.

სილარიბება ჩვენი მყარი და საიმედო საყრდენი.

ინგლისელი ლორდები მანუეტს არ შეიხსნიდნენ ლაქის დახმარების გარეშე.

ქართველი თავადები, ძილი რომ მორეოდათ, მსახურებს ფეხისგულებს აფხანინებდნენ.

მაგრამ იყვნენ ძლიერნი ამა ქვეწისანი ვისაც თავის ჯარისკაცებთან ერთად, ცარიელ მიწაზე, თოქალთო-უნაგირზე თავმიდებულებს ეძინათ.

იცოდნენ, შხამი, სანამლავი, ხანჯალი, გესლი და შური სიმდიდრით გაბრუებული სრა-სასახლეების და ფუმფულა ქვეშაგების თანამდევი იყო.

მეფეო, შენ ნახვას შენი სახელი სჯობნებიაო – საქართველოს გარდა სად შეიძლება შეებედათ სახელგანთქმული მეომრისა და მბრძანებლისათვის – პატარა კახს ახოვანება დაუწუნა, გაოცებულმა, უჩინარმა, რიგითმა, კეჭნაობაში სახედაჩენჩხილმა ხევსურმა.

სახელი მოწყვეტილი ზვავივით არის. მოდის, იზრდება, მაგრამ კი არ ანგრევს, ამყარებს ქვეუნის ბალავარს, რადგან მისი შემოქმედი, ლონიერი მკლავის გარდა, უდრევი სული და გამჭრიახი გონებაა.

ორი დღეა ამეკვიატა:

„ხებს უკან ჩურჩულებენ,

აქეთ-იქით იელია,

ბიჭი ჯარისკაცია და

გოგო გიმნაზიელია“

თან რაღაც მოტივს ვლილინებ.

იქნებ ამ ორის ნაყოფმა ის სახელი და დიდება მოიტანოს, ახლა ჩვენც რომ გაგვაოცებს

ჩაიდანი შიშინებს...

* * *

არ მინდა ძველი დარდები...

„არ მინდა“ რას მიქვია – ამოენთო, ამობურბურდა, განათლა, გაკაშაშდა ყველაფერი: ძველი ქართული დარბაზი, თავისი ხაბაკ-ხუბაკით, თავხეს შედგმული დედაბოძით, მძიმე, ბერხენა ლამფის შუქდალვრილი მაგიდით, ტახტები, სადაც დიდ-პატარა ვიძინებდით – ბავშვები თავშექცევით, დახორავებული შემის ნაპობი და გასაქცევად ათახთახებული, ცხენივით აჭიხვინებული ვეებერთელა ღუმელით. რაც მთავარია, ხმებით, ხმებით... თვითონ არ ჩანან ამ ხმების პატრონები, მაგრამ ვიცი, რომელი ვის ეკუთვნის, წლოვანებს თუ უწლოვანებს, შინაურებს თუ სამასლაათოდ შემოსულ მეზობლებს.

დიდებისა და მოზარდების ხმები დაფარუატებენ, გალიაში გამომწყვედეული ფრინველივით აწყდებიან კირით შეთეთრებულ, რიყის სიპი ქვით ნაშენ კედლებს და კვამლით გაჭვარტლულ ლამფა-ჭერს.

ხმები თანდათან ივსებიან, ძლიერდებიან, იფოფებიან, თითქოს მთელი დარბაზი აერობურ-თივით იძერება – სადაც არის მიწას მოწყდება და თოვლის თოვები ჰაერში აიტაცებენ.

ილბალზე კარი გაჭრიალდება.

– რას აიკელით აქაურობა, ან შინაური არ იცით, ან გარეული, გარეთ მაინც გადით. ჰაერის საძრაობა აღარ არის! – ღუმელის საჩხერეეს ყასი-დად წამოავლებს ხელს მოწყენილთვალება დედაკაცი და შეღებული კარიდან გაგარდება ბავშვების გნიასი.

რაღა მახსოვს, ვინ არიან, რათ არიან, რა მოეგუნებათ, სუფრა რომ გაშალეს და დრო და დრო მჭახედ გაიტყაცუნებენ ხოლმე ერთმანეთს დაჯახებული, სქელპირა, ნათალი ჭიქები.

თითებზე ჩამოწუნული შავი ღვინო დაწინწკლავს თეთრ სუფრას და დედამთილი ლოყას მალულად ჩამოიხოკავს, აკი ვთქვი, თეთრი სუფრა არ უნდა გადაგვეფარებინა, მაგ ლაქებს ახლა რა ამოიყვანსო.

საყვედური, რა თქმა უნდა, რძალს ეხება, დედამთილის ნაწყენი მზერა, ისარივით სწორედ მისკენ მზუზუნებს.

ვიდრე შეშრება, თეთრ ტილოზე, როგორც ფეხდაუდგმელ პირველ თოვლზე, ბზინავს აცაბ-აცად გაქცეული წვეთები, თითქოს ტყვიადაკრული ნადირი დაუსხლტა მონადირებს, გაიყოლია სისხლის კვალი და შეასწრო ტყეში.

– სუფრაა გაშლილი, ნათლილება ლამეს, ონანთ გიორგასთან, პაპაშენთან, რა... გაიღო კარი და შემოვიდნენ დედაშენი და მამაშენი, დათოვლილები, დალლილები, კმაყოფილები, ზემო სოფლიდან მშეიდობიანად რომ ჩამოალწიეს... მიეგებნენ, მიეხვინენ ჯერ პატარები, მერე დიდები, სიხარულის ყიუინით ჩამოართვეს მკერდზე მიხუტებული მუთაქსავით ხევეულა, შემოსნეს შალი, მოხადეს ნიკაპთან გაბანტული, წარბებამდე ჩამოფხატული ქუდი და, ერთი დაგვიხედეთ, ეს ვინ ყოფილაო – მოგვანათეს შუქიანი მზერა „კაულის მურაბებმა“.

გადადის პატარა ბიჭი ხელიდან ხელში, ეფერებიან, ენას უჩლექენ, ეგრე უნდა, რომ აღარ გვეაღრულობ, თავი რომ მოგვანატრეო, სუფრაზე განსხვავებული სასმისივით ჩამოატარეს და, ვიდრე პაპა ჩაისვამდა კალთაში, მე ავიყვანე ხელში, ღაულაუა, ლოყადაბერილი, გაოგნებული ასეთი ხმაურიანი დახვედრით...

– ეს ბიჭი შენ იყავი...

– რას ამბობთ!

– ჰო, გუშინდელი დღესავით მახსოვს... ყველამ გადლეგრძელა და მერე თამადამ ცხვირზე



თითო მოგიცაცუნა, ახლა შენც გვითხარი რამეო.

— იტყვის, რატომაც არა! — ცხონებულმა პაპაშენმა, გიორგამ თეფშები მისნი-მოსნია და მაგიდაზე დაგაყენა.

ხან ერთი ლექსი თქვი, ხან — მეორე, ახალე-ნაადგმულის კვალობაზე, ენის ჩლექვით, ბორ-ძიკით.

ახლა ისაო, ჩვენ რო ვიცითო, წაგაქეზა მამამ. გათამამებულს რაღა წაქეზება გინდოდა:

— მუხრანიდან პატარძალი მოსყამდათ (მო-ჟყავდათ კი არა, მოსყამდათო)... ჰოდა მოსდევთ მყრიონი.

საყვარზე პატარძლის ძმა იჯდა.

იარეს, იარეს და, დააყე, ბიჭო, დააყე, დაუ-მახეს უცებ მეურმეს.

რა იყო, რა მოხდაო.

რაღა რა მოხდაო, პატარძალს ეფსიაო! — დაამ-თავრე და ოვაციის მოლოდინში გაიტრუნე.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე, რაო, კაცო, რა თქვა, ამ ბავშვმა, პატარძალს რაო? — იფეთქა სიცილმა და შენც, პატარძალს ეფსიაო, უფრო თამამად დაიძახე.

ატყდა უარესი გნიასი.

რასაც ამის ენა არ იტყვისო, ხელახლა გად-აგაბურთავეს.

დედამენი იდგა, ხელებწინნამოწეული, შემ-კრთალი ლიმილით, თითქოს ეშინოდა, ვინმეს ძირს არ დავარდინდი.

— აბა, ეგრე იყო ეგ ამბავიო!.. — ოთხმოცდარვა წლის პაპა ანდროს რბილი, თბილი ხელი ნიკაპზე მეფერება.

მერე სხვაც გაიხსენა:

თექვსმეტი წლის დედამენს თურმე ვიღაცაზე გათხოვება დაუპირეს.

მაგას რა გამაყოლებსო, შეიცხადა, მაგრამ ყური ვინ უგდო, ამოიჩემეს მშობლებმა, კარგი სამ-ოყვრო, ლონიერი ოჯახიაო და ამანაც, საჩქაროდ, დაქალის ხელით აფრინა უსტარი გულის სწორთან, წამიყვან, წამიყვან, არადა ამაღლამ მოდიან დასანიშ-ნად და მერე გვიან იქნებაო...

გაატანა წერილი და, საღამო ხანზე, ვიდრე სიძე-მაჭანკლები თავს დაუკრავდნენ, სახლიდან გაქრა.

მოვიდნენ სტუმრები, მოიკითხეს გოგო, მა-გრამ სად ნახავენ — არც სამეზობლოშია, არც საბი-ძაშვილოში — გადაატრიალეს სოფელი... რა იცოდ-ნენ, რომ იქვე, თონეში იყო დამალული და ზედ ფიცრები ჰქონდა წაფარებული.

რა ვიცი, რამდენ ხანს გაძლო ამ მდგომარეო-ბაში, შუამავალმა ფიცარი რომ გადახადა, ამოდი, ეკლესიასთან გელოდებაო.

ამოვიდა კი არა, ამოფრინდა.

გულის სწორი, ერთი თავზეხელალებული, ზემოსოფლები ჯელი გაუძღვა წინ, მოკლეზე,

მინდვრებით გაიტაცა, თან ერთი-ორჯერ წაგანიც დააქუხა, გამომედევნოს ვინც ყველაზე მაგარიაო.

გაპყვა და მიაყენა ბედმა თავის ახალ ოჯახს — საწყალს, ღარიბულს.

რა დაიმალება, იმ ლამესვე გაიგეს ვისთან ერ-თადაც გაიპარა.

რაიო, შეიცხადა, მუხლები გამოითქვიფა სა-სიდედრომ, ცოცხი რომ მოუსვა, ცოცხი, არაფერი გამოგყება, თავისთვის რა აოხრიათ, ეს ჩემი შვი-ლი როგორლა უნდა შეინახონო...

მეორე დღეს, ავიდა პაპაჩემი, ჩუმად, მალუ-ლად, მამლის ყივილობას, ცხენზე ამხედრებული „დაეცა“ სამძაბლოებს, ჩუმად შეიჭყიტა ეზოში და რას ხედავს — ახალი პატარძალი უკვე ეზოშია, ცოცხით ხელში.

ცოცხალი და ჯანმრთელი რაკი დახვედრია, გული აჩუყებია და დამშვიდებული გამობრუნებუ-ლა.

წყენა მაინც კარგა ხანს გაპყოლიათ, ჩემს გა-ჩენამდე.

დედამენი რომ გაბრაზდებოდა ხოლმე თანა-მეცხედრეზე, ვეტყოდი, ახია შენზე — ბედი კარზე მოგადგა, გაჰყოლოდი და მამაჩემსაც ასცდებო-დი-მეთქი.

ცოტსა დაფიქრდებოდა, დამაკვირდებოდა, სერიოზულად ვეუბნებოდი თუ არა და თავს მტ-კიცედ გადააქცევდა:

— რას ამბობ, იმას მაინც ამის უხასიათობა მიოჩევნიაო.

გირჩევნია და შენი ხმა აღარ გავიგო-მეთქი.

რას ვერჩიდი, გული რომ მოუვიდოდა, სიტყ-ვაც არ ეთქეა?

ახლა ხომ არიან უბრად, დამდურებულებივით სოფლის სასაფლაოზე.

მაინც ერთმანეთზე უკეთესი ვინ ჰყავდათ!

„სიზმარში ვიღაც შემაჩერებს ცარიელ ჩარჩოს, დედას მწესარე, თმები გაშლია, ბერი წავიდა, ვისაც ჩემი ბავშვობა ახსოვს, თუ ვინმე დარჩა, ისიც გზაშია“.

ახლაც სუფრაა.

თამაღობს პაპა ანდრო, ოთხმოცდარვა წელი მსუბუქი თავთიკივით რომ მოუგდია მხრებზე.

გაბრნყინებულ ფანჯრებში ძევლი ახალი წლის თოვლი იყურება, ხეივნის ხარდანზე, უფოთლო ტოტებზე დაკონწიალებული ყინულის ჩურჩხ-ელებით და ისევ გულუხვად ფიფქავს, მოდის ცის წყალობა, წმინდა, კრიალა, როგორც ის ამბები, ახლა რომ ვიხსენებთ:

— მაშა, კაცო, ეგრე ამბობდი, „დააყე, ბიჭო, დააყე!..“ — ჩახითხითდება პაპა ანდრო, — პატარ-ძალსაო...

მობილურით დავიწყეთ და ხედავ სად მოვე-დით.

ნეტა ვინ იყო ის პატარძალი?



გიული ჩიხიაგვილი

სიმებულის გარემონტი

შინის საუფლოდან,
ამ, წის-ქვეშეთში,
იღვრება მზე და
ფერთა ზვავები,
ამ, წმინდა მიწის
უპირველესი –
სამშვენისია
სალორცვერი.

გ. ჩიხიაშვილი

41



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის ბრძანებულებები

ნინო ჭავჭავაძეს

შვენოდა სევდა მის მდიდრულ იერს,
და გიშრის თვალთა
მზერა დაკარგულს, ვერ შორდებოდა,
სხვა არა ჩანდა,
მძიმე დუმილით სიკვდილს ვარდები
შემოჰყოლოდა
ფერმკრთალ ღაწვებზე ცრემლი სდიოდა,
და მკრთალ ვარდს ჰეგვდა

ჩემს დას

მიღმა ლურჯ მთების
მიიქცა მზე და
გაუჩინარდა,
ციმციმებს მთვარე
სარქმელთან ხეზე,
ვუმზერ იღუმალ
მის მოციმციმე
ვერცხლისფერ სხივებს,
და ვფიქრობ შენზე –
საით წასულან თეთრი,
ზღაპრული გაზაფხულები,
უხმოდ, უფოთლოდ
დგანან ხეები,
კით უშორესი, უჩვეულო
უამი ნეტარი,
დუმან დღეები.

ეკლესია

რეკადნენ ზარები
ცისკრის და მწუხრის,
ახსოვს მრევლი და
წირვა მრავალი –
აქ ჯვარს იწერდა
დედოფლის სწორი
გრიბოედოვის
ოცნების ქალი.
აქ – ციმციმებდნენ
წმინდა სანთლები,
ნათლში სუფევდა
სიმშვიდე სრული,
გამორჩეული
ამა სოფლისა
აქ იდგნენ ლოცვად,
მეოხად სულის.
ნეტარ არიან იქ, მორწმუნენი, –
მალიდებელნი უფლისა, –
ჩვენის,
თავზე ადგია დიდების
ლანდი,
ცის სიდიადე და
ადგილს მშვენის.

ფერები

ცა – უზადო, –
ლურჯზე ლურჯი
და მწვანეზე
მწვანე ველი,
მაგნოლიის
თეთრი ტოტი,
ყველა ფერზე
სასურველი...
მზის საუფლოდან,
ამ, ცის-ქვეშეთში,
იღვრება მზე და
ფერთა ზვავები,
ამ, წმინდა მიწის
უპირველესი –
სამშვენისია
სალორცვავები.

ოქტომბერი, №2, 2020



წრემლები

იდგა ყიუინა
უმეცარ ბრბოთა,
სიწმინდესა და
სიყვარულს ზედა,
ჯვარზე გაკრულის
წვეთავდა სისხლი,
სისხლის ცრემლებით
ტიროდა დედა.

* * *

42



ლამის ცა ვარსკვლავიანი,
მზე დილის,
ნათლის მთოველი,
კორდები, ჭრელი მინდვრები,
ეს საზღაპრეთი
ყოველი,...
მთები, შრიალა ტყეები
ტყეში გვიმრები
მხრებამდე,
მსურს მოვიტოვო,
ავმაღლდე,
ცის ბილიკებით
შენამდე.

ფიქრი

ფიქრს ვერ ვიშორებდი, თან მდევდა,
საკუთარ სისხლივით მათბობდა,
შენი ღიმილივით მიყვარდა,
მასთან ხეტიალი მართობდა.

თოვლიან ბილიკებს ვთელავდა,
მთოშავდა დეკებრის ფეთქვა,
შენსკენ მოვდიოდი, მინდოდა –
ამ ფიქრის შესახებ მეთქვა...

უკვდავება

არს კურთხეული ტატოს მერანი,
დავითის ხმალი მამულის მცველი,
ილიას შუბლი ნაიარევი,
და არსაკიძის მოჭრილი ხელი.

დილა

მარადიული, უქრობი სხივით
ინთება დილა,
ახალთ-ახალი
სათხოდ მზირალი
სურნელოვანი,
და მშვენიერი,
შაშვის გალობით,
ფუტკრის ზუზუნით
პეპლების ვალსით –
მაგნოლიების ტანზე დამსკდარი
კვირტების ფერი.

დილა


მოდის დილა ფეხშიშველი
მხრებზე შლილი დალალებით,
მოიჩეარის შარი-შურით
განა ვინმეს დავალებით;
ხეებს მიღმა, – მდინარესთან,
მარტოხელა ალვის ხესთან
უბესავსე გვირილებით
პაემანზე მიღის მზესთან.

ნელის

განა ხიბლი ბალების
ან, ფერადი ვარდების,
არის წუთი, ამიტანს
გარდასულ დღის დარდები.

მოგონება ტკბილ-მნარე
მაკავშირებს წარსულთან,
შენ ჩემ გულში სახლობ და
ჩემგან არსად წასულხარ.

დავალ – უხმოდ, ვერ ვუძლებ
ამ, იდუმალ სიჩუმეს;
სული ისე წრიალებს,
ვერასოდეს იყუჩებს.



პარაბერ

პავლიაშვილი

लोकान् देवान् देवतान् देविन् देवितान् देवितान् देवितान् देवितान्

ପ୍ରକଳ୍ପଗୁଣ

სიცოცხლის სცენის იხდება ფარდა,
სპექტაკლი უნდა წარმოვადგინო.
სიზმრები ჩემი ფერადია და
ცხოვრება ჩემი – შავ-თეთრი კინო.

რეფუსისორები სცენარს არჩევენ,
ნიღბებს არგებენ ჰიტლერს, ბერიას.
ღმერთო, უნილბო ხალხი მაჩვენე,
ნიბიანები ისეკ ბევრია!

გაუსაძლისი დარღვე და ურვა,
აღარ თავდება ჭიროთაგან თმენა.
სცენაზე ერთი საკითხი ბრუნავა:
ყოფნა-არყოფნის მარად თემა.

სიცოცხლის სცენის იხდება ფარდა,
სპექტაკლი უნდა წარმოვადგინო.
სიზმრები ჩემი ფერადია და
ცხოვრება ჩემი – შავ-თეთრი კინო.

ლუწკენის მხატვა

ეს მე სიჩუმეში
გადავდგი ნაბიჯი...
ნარსული მიყურებს
წიგნების თაროდან;
ო! გთხოვთ დამიპრუნოთ
ის პატარა ბიჭი,
ლექსებს რომ ხატავდა
და მზეს შეკხაროდა!

სარკეში ვუყურებ
იმ ბიჭის პროფილს და,
ძლიერსა და მახსენდება
საკითხი სადაცო,
სად არის ძამიკო
შენი დაპირება –
ლექსს დაგიხატავო?!

ମେଳୋବାର! ରୁହି ଗ୍ରେଟ ଗାନ୍ଧିନ୍ଦ୍ୟୁନା,
ଶ୍ୱାସକୀୟ ପିଲାତ୍ମକ ଜ୍ୟୋତିର୍ଲିଙ୍ଗ ହାତଙ୍କଣ,
ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦୂଷଣ ଫିଲ୍ଡ୍ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ,
ଶ୍ରୀନାଥ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ,

მოფიხარ ისე, როგორუ ქართლიქორი,
შემონათები ჩემს გულის კიდეს,
და ისე მოგდევს აპილი გვერდით,
როგორ ქორნილში – ხელიხმობაიდე!

၃. အေဒီးလျှောက်နည်း



ეზისთაყვანისმქედელი

564

ମନ୍ୟାକାରୀର ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଦାନ୍ତେରିଲୋ ଲ୍ୟାଙ୍କିଟି

მე მზე მიყვარს
ძალიან და
მადლი მზისა მიცავს.
მზის სხივი და
მზის ტაძარი
აშშენებულ მინას!

მზის ლამპარი
ათინათობს,
მზის ბულბული გალობს.
მზის აღამართიც
კი ვერ დამლის,
მზემ თუ მასვა წყარო.

მზის სიცილი
გამაცინებს,
მზე მასწავლის ანბანს.
მზემ თუ პირი
დაიბანა,
მიმძასურებს, ნაბანე.

მინდოორ-ველებს
აფერადებს,
სიკეთის ქსელს აპამს.
და მიყვება
მხიარულად,
კი ას მიწის ამწავს,

სსვა მზე არსად
მეგულება,
მზე-ნათელის გარდა,
მზის ემბლემა
მივკარი
წიმი ძოხის ჯრთან.





მზის ღობეზე,
მზის მამალი
მზის სიმღერას მღერის,
მზის წინილებს
მოუძღვება
დედა, – მზისმიერი!

მზის შვილები,
მზიანეთში,
მზის თვალებით მზერენ,
და ისევ მზე
ესიზმრებათ
დაძინების მერე!

მზის ზღაპარი
მოვისმინე,
მზის ლექსები ვწერე.
მზის მტევანი
დავწურე და
ყელი მოვიღერე.

მზის პოემა
წავიკითხე,
მზით შვილები
ვზარდე.
მზე! მზეო,
უფრო მეტად
როგორ არ მიყვარდე?!

მზის თავანზე,
მზის ყვავილი,
ვნახე გადაშლილი.
მზისთაყვანისმცემელი ვარ,
მზისიერის შვილი!

ალაზნის გალმა-გამოლმა

გადაიტვირთა ოცნების ხაზი,
ყოფას დღეები ანანილებენ.
ამაღამ მოვარე იქნება ნაზი
და ფიქრებიც არ დამაძინებენ.

დილა გააღებს ჟანგიან ურდულს,
შემოაბიჯებს მარანში დინჯად.
საგზლად მოიტანს ალაზნის ფუდუნს
და ჭაჭის არაყს ჭაჭის გაუსინჯავს.

მერე ამოვა მზე მადლიანი,
მოეფერება დილის ყვავილებს,
არ გააკვირვებს წყაროს ჩხრიალი
და სხივებით პირს დამაბანინებს.

ყაყაჩო წითლად ღუის ყანაში,
ვარდი ნიავის ალერს მინებდა.

ისევ არწივის ისმის ყაშყაში
მთებზე გადმომდგარ სანაგირედან.

მზეო რა კარგი გზებით იარე,
ნისლები რომ არ გააგულადე
და პორიზონტი გამიკრიალე
ახალსოფლიდან ვაზისუბნამდე.

ამ პორიზონტზე მოქცეულ სიცრცეს
ვეფერებოდე განა ძნელია?
და ჩემი გული რომელ ერთს მივცე
ორივ თანაპრად საყვარელია.

ახალსოფელში სული ისვენებს,
იმის წიაღში სულ სხვა მადლია.
ახალსოფელში ხშირად მიხსენებს
ქვანერის წყალი – ჩემი გადია.

ვაზისუბანში ვაზის ლეროებს
ვეფერები და ვუკოცნი მტევნებს.
გომბორზე ირმებს შევხვდი მდელოზე
და როგორც ნუკრი გამოვედევნე.

სიხარულისთვის სულ ცოტა მყოფნის,
ცოტაოდენიც მაქვს საოცნებო:
ერთი შეილი ვარ მე ორი სოფლის,
თქვენ გენაცვალეთ ჩემო სოფლებო!

რიომერის მოოვინიერება

დილის სისხამზე, ცა რომ იალებს,
შავი მერცხალი ფრთას გაპკრავს ფრთაზე,
მზეს მივანათებ უძილო თვალებს
და ლექსს მივართმევ დილის სუფრაზე.

ლექსებს დაეთმო გზა-ასპარეზი,
ცხოვრება ჩემი ულექსოდ ვინ თქვა?
და ვით ბადეში გაბმული თევზი
ისე, იმგვარად ფართხალებს რითმა.

და ნამდვილ ლექსებს, სულ ახალ-ახალთ,
დაბადებულებს გამთენისას,
დილის წიავის სიცელქე ახლავთ
და სურნელება ასდით იისა.

ზოგს ეკლიანი გზებით უვლია,
ზოგი იშლება მწვანე კვირტებად.
ზოგი ისეთი ჭირვეულია,
თოთო ბავშვივით ამიტირდება.

ზოგი ლექსია ცით მოვლენილი,
არ შეუდრევება იგი აღმართებს.
ზოგი ლოცვაა, ზოგი ტკივილი,
ზოგი დროშაა, – ზეცად აღვმართე!

ამოტვიფრული გულის ფიცარზე
ჩემი ლექსები დილისფერია,



ჩემი ლექსები ცის კამარაზე
მზის იალქნებად გამიფენია!

* * *

მოდიხარ ისე, როგორც აპრილი
შემოენთები თბილისის კიდეს.
რაც უნდა იყოს ზამთრით დაღლილი,
არ შეიძლება რომ არ მოვიდეს.

იმედის გარსით შევიმოსები
და შენი გზისკენ დავიწყებ ცქერას,
როგორც ელიან ესკიმოსები
მონატრებული მზის გამოჩენა!

მოდიხარ! ცაში მზემ გაიბრნებინა,
სულში იმედის ფესვები ჩარგო.
თბილმა დინებამ დაადნო ყინვა,
შენ კი ლოდინით დამადნე, კარგო.

მოდიხარ ისე, როგორც ქალმერთი,
შემოენთები ჩემს გულის კიდეს,
და ისე მოგდევს აპრილი გვერდით,
როგორც ქორნილში – ხელისმომკიდე!

ზამთრის ბალებს დაათოვს
შემოძარცულს ფოთლებით,
რომ ბუხრებმა მწვადების
ოხშივარით იბოლონ.
გადიფრენენ მადათოვს
ლამისფერი ყორნები,
და თბილისი დარჩება
პოეზიის სიმბოლოდ.

45



ავტოპორტრეტი

მე ქართული სიტყვის ფონზე
ახალ რითმებს ვასათუთებ,
და ზეციურ საუფლოზე
ლექსების ღმერთს სანთელს ვუნთებ!

ფუტკარს ვგავარ განალვიძებს,
ცვრით რომ პირი დაიპანა,
მეც ლექსების ნექტარს ვეძებ,
რომ დავთაფლო ეს ქვეყანა!

* * *

ეძღვნება გალაკტიონს

შემოდგომის მიწურულს
ზამთარს უწევს მეფობა,
მზის სხივს მოინატრებენ
ღამები ლურჯები.
ვიცი, მალე მეწვევა
ლექსის ავადმყოფობა,
და ერთხელაც იქნება
ველარ გადავურჩები!

გაიელვებს თბილისის
ბოჰემური ცხოვრება...
მერე მოვა ზამთარი
ქარშერეულ თოვლებით.
მესაფლავეს დასცდება
„მარადისი ცხონება“,
სიცხიანი ბოდვებით
ვიღას ემახსოვრები.

მისაგებელს მიაგებს
ზეციური გამრიგე,
ყველა გზაბნეულ და
დალაგებულ ცოდვილებს.
მსხვერპლენირვა ასცდებათ
გამზადებულ ტარიგებს,
დაემსხვრევათ საკეტი
თავისუფალ ბორკილებს.

კარუსელი წვიმაში

ბალში წვიმდა. ფოთლები პირს იბანდნენ
ნასიცხებს,
დაჰყურებდა კარუსელს მარტოდ მდგარი ნაძვისხე.
წვიმა კი არ უკირდა, წლებისაგან გათელილს,
კარუსელის ბრუნვისგან იდგა რაღაც ნათელი.
ჯაჭვის საქანელაზე, წვიმის სიანკარეში
წყვილი იჯდა და შეუქი უელავდათ თვალებში.
ნეტარებდნენ წყვილები, ნეტარებდნენ გულები,
ჯაჭვებიც გულებივით იყვნენ გადაბმულები.
იმ ბიჭს ერქვა გიორგი, გოგოს ერქვა გურანდა,
წვიმა მოდიოდა და კარუსელი ბრუნავდა.
ჩახვეული ჯაჭვებით, ჩახვეული გულებით
ავდარსა და სიცივეს ველარ გრძნობდნენ
სრულებით.

წვიმის წვრილი ნაკადი სახეს ეფერებოდა,
კარუსელი ბრუნავდა, კარუსელი მღეროდა!
იჯდა მეკარუსელე პანანინა ჯიხურში,
გარდასულ სიჭაბუკის როგორც უტყვი ნიმუში.
კარუსელის ქროლაში მისი ფიქრიც მიქროდა
და წყვილებს რომ უმზერდა, ალბათ ასე
ფიქრობდა:

„არ გაცივდნენ... თუმცა კი მარტივია სრულიად,
იქ სიცივეს რა უნდა, სადაც სიყვარულია?“
წვიმა რომ ვერ აქრობდა, იმგვარ ცეცხლის
მოდებით
ბრუნავდა კარუსელი, – დედამიწის მოდელი.
და არღვევდა ნესტიან სულის მელანქოლიას
სიყვარულის, ჯაჭვების და წვიმის სიმფონია!

№2, 2020





მარიამ ძაგუპაშვილი

תְּבִ�ָה

ფართოდ გაშლილ ტოტერქვეუბნა მოქმედული ვა-
ნასის რამდენიმე მწყრივის ფასანისი. აქ ყოველთვის
მეჩხერი ფოთოლი და ყურძენი იქნა. ვაზებს კისფერად
შეპრობა ახლად შეფრქვეული შეზიარები. ამ ფერს
საორნად ყხდება ფოთლების ხასხათა მწვანე, საიდანაც
მორჩევად იყიდებიან ფართოანული ზღის მარჯველები.

၂. ငာမယျာနဒ္ဒဂါလို

၁၃၅၇

ის ხე და ჩვენ ერთნო ვიყავით. თვალს რომ დაეც-
უჭავ, ცხადად ნარმომიდგება მთელი თავისი დიდებუ-
ლი აღნაგობით. მოგონებებში, წინა პლაზმე ყოველთ-
ვის მის ათლეტურ, ლამზ მოყვანილობის სსეულს
გხედავ, ოდესლაც ფოთლების აბლაბულით, გემრიელი
ნაყოფითა და მწვანე შრიალით გვიხმობდა, ნებივრო-
ბას გვპირდებოდა ცის ლაჟვარდში, სადაც ცისკრის
ვარსკვლავი დიდ ხანია შთანხოთეა მზის სხივებს და
ახლა თოვლიბზე წარმატებად დანიშავა.

კურკოზე ამოსული ციდა ხებით იყო მოფენილი ბლისქეშეთი. უხვად ეყარა ჩანასახანი კურკობი და მათი ასტორიული ჯამისაძრორი ნახიღობი.

...იმ ადგილზე აღარაფერია დარჩენილი ფესვების ერთი ძარღვის კი არ იკონა წიგნა ნიადაგში.

ბალთან სამი გზა მიღიოდა, თუმცა ყველასგან გამორჩეული თანაც ულამაზესი, მაინც ხევის მხრიდან იყო.

სადინარი ძალაში დიდი არ ჰქონდა. მის სავალ გზას, ორივე, მხრიდან დიდრონი ხეები აძლევდა შნოსა და ლაზათს.

კომშის უზარმაზარ ხეს ეკიდა ჯერ კიდევ დაუმ-ნიფებელი მუქი მწვანე, მოკრემისფერო ბუსუსში გაბუმბლული „სურეპი“, აი, მახრინბელას რომ ეძახიან. ტოტები და ტანი ისე ჰქონდა დალვლარწნილი, ეტყობა, დროის გადასახედიდან უამრავ წელს ითვლიდა. ლე-ლვის ხეს კი ტოტების ბოლოებში ნაყოფის პატარ-პატარია თაიგულები შეეკრა. ნახევრად არხსა და ნახ-ევრად ასფალტიან გზას გადაფარებული მისი განიერი, წრისებური მოყვანილობა რაღაც ზღაპრულს ქმნიდა და თავისი წილისკენ გვიზიდავდა. სასამოვნო იყო მის შეა ჩრდილში ხავერდოვან ბალაზზე კოტრასლი.

ორი ალვის ხე თითქოს, სიმაღლეში ეჯიბრება

ერთმანეთს. კენწერობი ცის თაღში გამოუყიდიათ, დამცირავად დასცექრიან მათ ქვემოთ დაბალ-დაბალ სეებს – „ასე რამ დაგაჩიავათ, მხოლოდ სხვის საამებ-ლად გამოისხამთ ნაყოფს და ისე წახვალთ წუთისოფ-ლიდან, ვერ იხილავთ საოცრებას რომელიც ჩვენ დღე-ნიადაგ გვიამებს თვალს“.

არხი მეორე მხარეს წვრილი ნაკადით ბოსტანში მიარაგავებს ანკრა წყალს, ისიც დაუზარელად რეცხავს სარეველა მცენარეთა გაშილვლებულ, თეთრ ფესვებს და სიცოაცხლის უნანილებს ბოსტნის ჭარაართ.

ანნლის წითელლეროიან ბუჩქებს სქელი კედელი აღუმართავთ. წყლის ნაპირზე ვიღაცს მსხვილი ღეროები ამოუკაფავს, ირიბად ნაჭრილის გულში შავი სიკარისო მოჩანს.

პატარა იყო ხევი მაგრამ არც ისეთი, გადასული-
ყავით და ფეხი არ დაგვსველობოდა. ვინ დაგიდევდა,
წყალი ყინულივით ცივი რომ იყო, ცხელ ზაფხულშიც
კი უსამოვნოა ასეთ წყალში ჩასვლა. ქუსლები გვეყ-
ინებოდა, თითები გვტეხდა მაგრამ ამას არავითარ მნიშ-
ვნელობას ვაძლევდით. უფრო რომ მოუჭრდა სიცივე
არხში, სადაც უნდა გადავსულიყობით, დიდორნ ქვებს
ვაგდებდით და ამ სახელდახელო გზით მოვექცეოდით
მორთ მჩარის.

ნაპირზე მოზრდილი, მშრალი ქვები ეყარა. შიგნი-
თაც მრავლად იყო ხვინჭა. წყალი ისეთი პატარა მოდი-
ოდა ზოგ ქვას ნახევრამდე ასეველებდა და მათი თეთრი
თავები რაღაც ზღაპრული ცხოველის კილებივთ მო-
წენა.

რამდენჯერ ჩაგვიშვია მდინარეობაში ფოთოლი,
მსუბუქი, ღრუანი ღერო და სირბილით მიყვილო-
ლირთ მათ ეზას შეძლოთ, აკტორებით თხჩაბრო.

შორს არ იყო ადგილი, სადაც მისი თავისუფლება მთავრდებოდა, — ბეტონის ვწრო კალპოტში უსიცოცხლო კედლებს და ფსკერს ამაოდ ელაშვილებოდა. აქ უკვე ყოველგვარ ინტერესს ვკარგავდით და იმ საქმეს ჯაბრუნვიბოლით, რამაც ამ არხთან მოჰყვიდნა.

მოვექცეოდით თუ არა ხევის მეორე მხარეს, ვინორ, ხებით გადმოხურულ ბილიკზე აღმოვჩნდებოდით, რომლის შესასვლელში წლებისგან დამიმე-



ბული, მაგრამ მაინც მედგრად მდგარი კაკლის ხე იყო აღმართული. იგი, თითქმის, მთლიანად ფარავდა არც-თუ პატარა ბოსტანს, რომელისთვისაც ლობის ძირითად საყრდენს ეს კაკალი წარმოადგენდა.

პირველი ხილი, რომელსაც ბილიკზე გადასვლისას გაუგებდით გემოს გახლდათ ქლიავი. მისი უამრავი ჯიშებიდან, განსაუტრებით, გვიყუარდა „დამასხი ქლიავა“, რომელსაც მართლა იმდენი ესხა, სიმძიმისგან ტოტები ემტერეოდა.

თხილის ახალშეფოთლილი რკალისებური ფოთლები საგალს აძნელებდა. თავდახრილები მივაბიჯებდით, ხელით ვათავისუფლებდით ჩვენს წინ ჩამობურულ გზას. ვიღაცას ბილიკი გადაუთხრია, ქვემოდან ქვები შემოულაგებია, ეტყობა, მორწყვას ცდილობდა.

ბოსტნების უმეტესობა ბილიკის დონიდან ერთი-ორი მტკაველით დაბლა სასხასებდა, რათა სარწყავი წყალი უდანაკარგოდ გამოეყენებინა პატრონს. გზის გაგრძელებაზე გვხვდებოდა პატარა, მონაბურული ქოხი, რომელიც დანგრევის პირას მიეყვანა ველური ზღმარტლის კარგა მოზრდილ ხეს. ქვემოდან ფესვებით უთხრიდა „საძირკეულს“, ზემოდან უხვანაყოფიანი ტოტებით სახურავის ჩამოქცევას ლამობდა. გვიანი შემოდგომის ამ ხილს ყურადღების ღრისადაც არ ვთვლიდით, რადგან სულ მკვახე იყო. არც ბალამარა გვიზიდავდა, მის მეზობლად, მოუხედავად თეთრ-წითლად ალუდლუდებული ნაყოფისა. ძალიან მწარე იყო და საჭმელად უვარგისი. რისთვის უნდოდა მის პატრონს, მხოლოდ სასარგებლო ნარგავებს თუ ჩრდილავდა.

ბილიკის დასასრულს, მის ორივე მხარეს, კაკლის ხეების ტოტები ჩაჰევევ-ჩაჰევნინებოდა ერთმანეთს.

გადავაბიჯებდით თუ არა ამ საზღვარს, ფართო საურმეს მივყავდით ფიცრული, ერთი თვალი ოთახისკენ, რომელიც შორიდან მევიდრად ნაშენის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მარცხენა მხარეს წაფერდებული, აქმდეც წამონვებოდა, რომ არა ბეტონის მსხვილი სარები, რომლებიც მის საყრდენად გამოეყენებინათ. გვერდით მრგვალი თაღარი შაბიამნის ხსნარისგან ლურჯად იყო მოქცეული გარედან, შიგნით კი სქელ ფენად იდო კირის თეთრითან შერწყმული. ვენახის ატას დახუნძლული, წვრილი ტოტები შიგ საცეკვებით ჩაჟყო.

ისე როგორ ჩავიკლიდით, ცნობისმოყვარეობას ქოხში არ შევეხედებინეთ. მის ავლადიდებას შეადგნდა უზარმაზარი ხის მაგიდა, ოთხ ფეხზე უშნოდ შეკონწიალებული. გაურანდავ ფიცრებთან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, ხელში ხიჭვი რომ არ შეგვსობოდა. ზედ გამუდმებით იდგა მარილის „პაჭკა“. თავი უხევად აეხიათ, ამიტომ მის ირგვლივ თეთრი ფხვნილი იყო მიმობნეული. ქველისძველი წვრილად დამტვრული პური, რომელიც ისეთი ხმელი იყო, ჩვენში რომ იტყვიან: „თათარს თავში რომ ჩაარტყა, არ გატყდებაო“. ხახვის გაუფცევნელი თავებიდან აქა-იქ შემოცლილი ფერფლი ეყარა. გვერდდამპალ პამიდორს ირგვლივ ფიცარი დაესველებინა. მოხარშული კვერცხის ნაჭუჭები, ტომატის თუ ტყემლის სანახევროდ დაცლილი ბოთლები, ცარიელი ჭიქები...

მაგიდას სამი მხრიდან ერტყა ფიცრისავე უხეშად დამუშავებული, გრძელი სკამები. შესასვლელიდან

მარჯვენა მხარეს კედელზე მკვიდრად მიედგათ ე.ნ. „სკამ-ლოგინი“, რომელიც სადილობისას სკამის მაგივრობას ეწეოდა, შუადღის მოსვენებისთვის კი ლოგ-ინის. თავის დასადებად ფიცრისავე „მუთაქა“ ირიბად მიეჭედებინათ მსხვილი ლურსმნებით.

კედლის თარიზე მოჩანდა სამუშაო იარაღები: ვაზის მაკარატლები, ვენახის კენწრის გადასაჭრელი მოხრილი, ბრტყელპირიანი დანა, ნამგალი, ტარწამძვრალი ნალი, სალესავი...

გარეთ გამოსულები აუცილებლად ჩავიხედავდით თაღარში. ნარჩენ შაბაბმნისა და კირის შესქელებულ ხსნარში არეულიყო მკვახე ატმები, მისი ფოთლები, წვრილ-წვრილი შავი ტოტები. ცნობისნადილი გვწვავდა, ხომ არ იჯდა შიგ ბაყაყი, ხვლიკი და თუნდაც გვეღლი. წვერწამახული ჯოხებით მასზე ჩვენი სახელები მონდომებით გამოგვყავდა.

აქედან ბალი სულ ახლოს აკიაფებდა მწიფე ნაყოფს და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენდა, უნდა გვესარებლა მისი მასპინძლობით...

ხევის მხრიდან გზა ყველაზე მეტად გვიზიდავდა, თუმცა არანაკლები იყო მისასვლელი „საბჭოს“ ეზოდან. აქ მცენარეთა სამოსახლოს ხშირი წინვნარი შეადგენდა. სანამ „ბორჯომზე“ (ასე უწოდებდნენ ამ ულამაზეს ადგილს) ჩავიგლიდით, უნდა გადაგველასა დანგრული ბოგირი, რომლის დასაჯდომად განკუთვნილი ნაწილიდან ცემენტი ჩამოშლილიყო და დამტვრული აგურები მოჩანდა. იგი გადებული იყო ბურლის წყაროდან გამომავალ ანკარა წყალზე. ხტუნვა-ხტუნვით ჩავიკლიდით სამსაფეხურს და წინვების სქელ, მოყავისფერო ჩხვლეტია მასას ფეხით აქეთ-იქით ვფანტავდით. მავთულის ბადით შემოლობილისათვის კარის მოვალეობას მავთულისავე ხისჩარჩონანი ბადე ასრულებდა, რომელიც ყოველთვის ღია „ეგდო“. შენობა ორსართულიანი იყო. ზედა სართულზე სოფლის გამგეობისთვის გამოყოფილი ოთახები იყო განლაგებული, ქვემოთ – პირველი სართულის ქვედა კუთხის ითახს რომ ჩავულიდით, სტამბის სუნი შემოგვილტინებდა ცხვირში. ღია კარიდან მოჩანდა ახალი გაზეთების უზარმაზარი გროვები. სწორედ, აქედან ნაწილდებოდა სოფლის მოსახლეობისთვის განკუთვნილი უურნალ-გაზეთები. მეორე ითახის ფანჯრის მინები ჩამსხვრული იყო, მისით არ სარგებლობდნენ.

სწრაფად ჩავირბენდით უზარმაზარი ლელვის ტოტების ხევიანქვეშ. ქვემოთ, ღობებზე, ორივე მხარეს უამრავი კუნძულა გადმოკიდებულიყო სვისია. გამოვგლევდით რამდენიმე მწვანე ბურთულას. უცხო არ იყო ჩვენთვის მისა საძაგელი არომატი, მაგრამ მაინც სარბად ვისუნთქავდით მუჭში გამომწყვდეულ, სიფრიფანა ქერცლებისგან აკინძული ყვავილის სურნელს.

უკან მოვიტოვებდით კვრინჩხის „საბადოს“. აქედან გზა მარცხნივ უხევადა. წვიმისაგან ჩაშავებულ წნელის ქოხს გარშემო შემოლაგებული ფერწერის ძველი, ჩანაცრისფერებული კონძილა ამაგრებდა, ისე იყო მოყანყალებული. საკიდად წნელის გამოჩრილი ბოლო გამოეყენებინათ და ზედ, ვინ იცის, რამდენი წლის წინ დაეკიდათ დაგლეჯილი სამხედრო ქურთუკი. გამოხეულებიდან ბამბის თეთრი გროვები ამოფუებულიყო. ფეხებმოქცეულ მაგიდაზე ფურჩებაცობილი იყო თხის დარქი იდგა ქველისძველი წყლით. სკამის ნასახს ვერ





იპოვიდით, მის ნაცელად წალმის კონები შეეტანათ. გავდივართ მწვანედ მოხავერდებულ ბილიკზე და აი, ჩვენი ბალიც ხელის განვდენაზეა...

მესამე გზას აქეთ-იქიდან ჩასდევდა ტყემლისა და ალუბლის ხეების სქელი კედელი, რომლის დასავლეთ მხარეს აგრძელებდა ბებერი, პატარა ვენახი კუფხალი მტევნებით. დიდი ხნის გასაახლებელი იყო, მაგრამ, ეტყობა, პატრონს არ ემეტებოდა გასაკაფად. ცოტა მოშორებით იდგა ძლიერისხმორარე ტყემალი, რომელსაც „ციკანანთ ტყემალს“ ვეძახდით, რადგან ამავე სახელით მოიხსენიებდნენ მის პატრონს. ისე გვიზიდავ-და, როგორც ფუტარს ყვავილი.

მკვეთრად უხვევდა გზა მარჯვნივ. ბილიკი ვენახის გვერდით მიემართებოდა. მასხვეს მისი პატრონი – ცალფეხა მოხუცი კაცი. რომ დადიოდა ხის პროთეზი უცნაურ ხმას გამოსცემდა. ახლაც მიკვირს როგორ ახერხებდა საწამლი პატარატის აკედებას. ვიხსენებ და გაოცებული ვარ მისი გამრჯვეობით – ნაკვეთი ყოველთვის ხელისგაულივით სუფთად პეტონდა მოვლილი. ჩავუ-ვლიდით თუ არა ორთვალიან, საზიარო თაღარს, ბლის ტოტებქვეშ ამოვყოფით თავს...

ხევის გზით ჩავრბივართ ბილიკზე. გზადაგზა მუჭით ვწყვეტით ფოთლებს, ჰაერში ვისვრით. ქლავის დაბინდულ, მკახე ნაყოფს ხელისგულით ვაცლით ნისლის საბურველს, ვკერთ, ენაზე გვეკიდება მისი მჭახე-მწკლარტე გემო. შორს ვისვრით. ვიდრე ვინმეს ბოსტანში დაეცემა, უკვე შორს ვართ ამ ადგილიდან. ხმაურითა და ყიუინით შეეცვივდით ხის ქვეშ. იქვე, ყვავილზე მჯდარი ჰეპელა გულგახეთქილი, ტრიალ-ტრიალით გაეცალა იქაურობას. ბალახში ჩამაღლულმა კალიებმა ხტუნვა-ხტუნვით უშველეს თავს... ბლის კენვით გართული ჩიტებიც დააფრითხო ჩვენს მიერ შექმნილმა აურაზურისა და გაბრაზებით აიჭრნენ ლაუგარდში.

ფართოდ გაშლილ ტოტებქვეშა მოქცეული ვენახის რამდენიმე მწკრიის დასაწყისი. აյ ყოველთვის მეჩერი ფოთოლი და ყურძენი იცის. ვაზებს ცისფრად შეშრობია ახლად შეფრქვეული შაბიამანი. ამ ფერს საოცრად უხდება ფოთლების ხასხასა მწვნე, საიდანაც მორცხვად იჭყიტებიან დაბრაზული ბლის მარცვლები.

ვენახი პაპაჩემს ეკუთვნის.

ნაკვეთები ტერასებზეა განლაგებული. ჩვენსა და ჩვენს მომიჯნავეს შორის ბექობია, რომლის თავში ჩვენი ბლის ხეა ნამომართული. საზღვარს, რომელიც დაკლავნილად მიემართება ვაზის მწკრიის გასწრივ, ზუსტად შეუანელზე „შამპანიური რენეტის“ უშველებელი ხე ამშვენებს. ძირს მედგრად გაუდგია ფესვები. ის ბარაქანი იმდენ ნაყოფს ისხამს, მთელი წლის განმავლობაში ოჯახს ვაშლი არ აქვს საზრუნავი, მოუხედავად იმისა, რომ ყვავილიდანვე ვინებით ჭამას. ჯიბეში ყოველთვის მოგვექმნება მარილი, მის გარეშე არ გეახლებით. საზღვარს წერილნაყოფანი ატამი ამთავრებს.

ბექობს ძირი ისე აქვს გამოღებული მომიჯნავის გან, თუ ცოტა შიგნით არ გავარეთ, შეიძლება მის ბოსტანში აღმოვჩნდეთ. უფრო მეტიც, პატრონმა სამართლის ცოდნის უდიდესი ნიჭი გამოამჟღავნა და ყოველთვის გახსენებს: „აანონით მაღლა უნდა ვიაროი“-ო. არ ვიცი რომელ კრეპულში ამოიკითხა, მაგრამ არასოდეს შეუსრულებია ნათქვამი.

ვენახის ბოლოში ბებიაჩემის სანაქებო ბოსტანი იწონებს თავს. რა გინდა სულო და გულო აქ არ ხასხასებდეს.

მოდით, ისევ ჩვენი ბლის ქვეშ შევიხედოთ. ქვედა ტოტები უკვე გავათავისუფლეთ სიმძიმისგან, მკვახე-საც გემრიელად გეახელით. ამაოდ შევცერით უშეველებელ სიმაღლეზე ხის უტოტებო ტანს. სავსე კუნ-წულები სათამაშოებივთა დაკიდებული. ცუდი აქვს ასასელელი, მაგრამ აյ კიბეს ვინ მოგარიმეს. „ძალა აღმართს ხნავს“. ეს აღმართი კი მაცდურად გვიქნევს ხელს, თავის ლამაზ და ტკბილ სამფლობელოში გვიპირებს შთანთქმას. ყველაზე ყოჩაღები დანარჩენებს ასვლაში ვებმარებით, შემდეგ შევხტებით, დავეკიდებით ქვედა ტოტს, ტანს ავზიდავთ. ორკაბში გაჩინიულები ძლიერ ვახერხებთ ზემოთ აძრომას. დაძაბულობისგან ხელ-ფეხი გვიანებალებს. იქვე, თავთან აკიაფებულ ბალს, პირდაპირ, პირით ვწყვეტით და ვიტკბარუნებთ. კარგად დაგანაყრდებით თუ არა, მაღლა და მაღლა ვწინევთ. გადავლახეთ ის მდგომარეობა, როცა „პირს უნდა და მუცელს აღარ“. ჭმა მოგვბეზრდა, უფრო ვერთობით. ნაყოფს ხელს ვუჭიროთ. გადმოგდებული კურკო ქვევით მიფრინავს და თან მიაქვს ტებილი წვე-ნი, ზოგჯერ რბილობიც მიჰყვება, ცარიელ ქერქსლა მივირთმევთ. ბოლოს ისე გვპეზრდება კურკოს ქერქ-საც მივაყოლებით. თუ შემთხვევით, მატლი ამოვარდება, ზიღლით გაეკრავთ შორს. ერთმანეთს ვესვრით პატარა ბურთულებს და ჩვენი სიცილ-კისკის სივრცის ხმებს ერევა.

ხეზე სულ მაღლა-მაღლა ვიწეთ, ვიღას ახსენდება ჭამა ან ნაყოფის „ბომბები“. კენწეროში მოქცეულები ერთმანეთს ვეჯიბრებით ვინ უფრო მაღალ პოზიციას დაიკავებს. რომ იტყვიან, „ფოთლებზე დავდივართ“. ხალისანი ქარი მუდმივად აქ არის დაგანებული, უბერავს და ჩვენც შუადღის ტალღებს აყოლილნი მი-ცურავთ სივრცეში.

მჭიდროდ ვეკვრით ხის ტანს. გულში მაინც ბუდობს პატარა შიში, ვაითუ, მოტყდეს წვრილი ტოტები, რომელთან ერთადაც ჩვენი ტანი ირწევა. დარწმუნებული ვარ, მეგობრებსაც იგივე განცდა აქვთ. დაბლა ჩიმოხედვას ვერ ვპედვთ, თავპრუ გვესმის.. ბოლოს და ბოლოს ვეჩვევით სამყოფელს, ჩვენს სტიქიას და კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს ირგვლივ გადაშლილ გარემოს.

იქვე, ახლოს შვინდლარნას ლარტყა-ლარტყა ღერობს ამოუყვია თავები შამბნარიდან. უზარმაზარ ლე-ლევს ზემოდან მხოლოდ „ქოლგა“ მოუჩანს, თითქოს, პატარა მწვანე გორა წამომართულა.

ძველისძველი სანახევროდ დანგრეული სათბურის ჩიმოშლილი კედლები ჩაშავებულა. გვერდით, მრგვა-ლად ნაშენი კედლის შიგნით ადრე ყურძენს წურავდნენ, ახლა სახურავიც არ შერჩენა, თუ საერთოდ პეტონდა. მაღალი ხეების კენწეროებილა მოჩანს, შიგნით რომ ამოსულა, ალბათ, კურკოზე.

ცოტა მოშორებით სასაფლაოს მუქი მწვანე კვიპ-აროსების წვეტიანი სილუეტები იკვეთება, რა ტკბილი მარწყვი იცის იქ. საფლავებს შორის მიმობნეული წითე-ლი, უტკბილეს ნაყოფი საოცარი ძალით გვიზიდავს. უხვადა ჭიანჭველებისა და სხვა მწერებისგან გვერდგა-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

მოქმედი. მათაც ყოფნით და ჩვენც. ზოგ ნაყოფს უცნაური, უსიამოვნო გემო აქვს, მას „მკვდრის გემოს“ ვეძახით.

თვალი გადარჩის უზარმაზარ ზვარზე, რომლის შუაგულში, ორსართულიანი მოზრდილი შენობა სოკისავით ამოსულა. ეს „ნაზიანთ მარანია“. აქ დიდრონ ქვევრებში, სანნახლებიდან, ამლვრეული მოჩუხჩუებდა მზის თბილი სხივებით ჩამტკარი მაჭრის ნაკადულები.

მზერა გადაგვაქეს წლების სიმძიმისგან შეწუხებულ კაკალზე. მისი საუკუნოვნი დაკორძებული ტანი, ბევრი უბედურების მომსწრე, ახლა საცოდავად გამოიყურება. ცოცხლად დარჩენილი რამდენიმე შევოთლილი ტოტიდან იგრძნობა, რომ ისევ სუნთქვას და ცხოვრების ორიმტრიალშია ჩაბმული.

უფრო ზემოთ ციხის ქვით ნაშენი ქნენგურებიანი კედლები მოჩანს, რომელიც ხშირად დაგვილმქრავს. ბევრიც არაფერია შიგნიდან სანახავი. ერთი შეხვილი კოჭი, ვინ იცის, როდის ჩამოგდებული, გარდიგარდმოა გაჩხერილი. იქვე ყრია დანახშირებული, წვერგაშავებული ხის ნამწვები.

მზერა სკოლის შენობის წითელი კრამიტის სახურავს გადაუვლის და რკალი იკვრება.

სწორედ ამ ყველაფრის შუაშია ამოზრდილი ჩვენი ბალი. როგორ შეიძლება არ გვიყვარდეს, — ყოველთვის აულაგებელ ტკბილ სუფრას, ირგვლივ გადაშლილ ამ საოცარ სანახაობას, მისი წყალობით, ჩვენს განკარგულებაში ამოუყვარა თავი.

ბალთან ჩამოსულებს ხშირად გვხვდება ხის ქვეშ ჩამომჯდარი პაპაჩემი. ტკბილად ღილინებს უცხო მელოდიას. საოცარ სავერდოვანია ეს ხმა. შორეული მონატრება ისმის მის ღულუბში, სევდიანი „ჩუქურთმები“ წყაროს წყალივით მირაკუაკებს და სივრცეში ღრუბლის

ქათქათა მარმაშივით დნება. სუნთქვაშეკრულები მიზერებივართ მოხუცს. ვგრძნობთ იმ უზომო ნალველს, გულით რომ ატარებს. სიმღერას ქარი მიაქროლებს და ნარნარად აფენს მისი სამშობლოს სანახებს, რომლებიც ცხრა მთის იქით დარჩენილა... განუყრელად თან აქვს თამბაქოს პატარა ქისა შესაკრავი თასმით. ჯაბეში ქალალდის ზომაზე დატრილი ფურცლები ულაგია. თვალმოუშორებლად ვუცქეროთ, როგორ ხსნის ტომსიკას, როგორ წამოყრის თამბაქოს ქალალზე. გადახვევებს, ენის წვერით ასველებს მის კიდეს და ანებებს. „პაპოროზი“ მზად არის.

გვეტყვის, ადით შვილო, თქვენც ჭამეთ და მეც ჩამომიგდეთ ერთი-ორი კუნწულა, პირი გავისველო, ოლონდ დიდ ტოტებს ნუ მოამტცორევთ, გაისადაც ხომ გინდათ. ძირს ვყრით ძლიერმსხმოიარე ტოტებს იმდენს, რომ პაპამ ჭამოს და ჩვენც დაგვრჩეს სახლში წასალებად. გზაში კუნწულებს ფოთლებს ვაცლით, მხოლოდ ბალს ვტოვებთ, ასე უფრო მიმზიდველია. შემხვედრო შეიძლება ხათრით დავუთმოთ რამდენიმე მათგანი.

ბინდშერეული ნათელი — საბოლოო ამოსუნთქვა დღისა, როგორც კი თავის გზას ენია, დაიძრა სიბნელე, რომელიც მოთმინებით ელოდა თავის რიგს.

სახლში დაბრუნებულები მექანიკურად ვჭამთ უკვე დავინწყებულ საჭმელს. რაღა ჭამა გვინდა... მაშინვე ძილს ვეძლევით, მოუთმენლად ველით ახალი დღის დაწყებას, რათა კვლავ ჩვენს სამოთხეში ვიგრძოთ თავი.

...დღო გადის...

ხეები კვდებიან გვიან, ბუნებრივად, მაგრამ არსებობენ გამონაკლისებიც...

...ახლად გამომცხვარმა მომიჯნავემ თავი ინუინრად წარმოგვიდგინა. ქალაქიდან ჩამოსულ კაცს, რაღაც მონინებით ექცევიან მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრევები. მისთვის ბუნება და სილამაზე ერთი, ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული მოვლენა იყო, არავითარ ლირებულებას წარმოადგენდა. სოფლის ავან-ჩავანის არაფერი გაეგებოდა. კიბის საფეხურებივით აწყობილ ნაკვეთებს ავ თვალს არ აცილებდა. ერთხელაც, ისე გათამამდა პატრონებს შესთავაზა ტერასების მოსპობა. სოფლის სილმაზის არაფერი გაეგებოდა მეთქი, ტყუილად არ მითქვამს — გადახნ-გადმოხნეს. უსიცოცხლო მიჯნებით დააქუცმაცეს საერთო ხნელი. ჩვენი სანუკვარი ბალი და ვაშლიც ამ უსარგებლო „სიახლეს“ შეეწირა. წლობით ნაზარდი, ნალილიავები ერთ წუთში დასცეს მინაზე, აჩეხეს...

მართალია, უკვე დიდები ვიყავით ძველი მეგობრები, მაგრამ არც ისე, გავლენა მოგვეხდინა ამ თვითმარევიაზე, მაგრამ გულიდან ამ ულვთო ამონაგლევს ვერაფრით ვეგულებოდთ. ვიცი, რომ წლების სიმრავლის მიუხედავად, ბევრი იმათვანის გულში ისევ ცოცხლობს ნათელი სურათი სანუკვარი წარსულისა...

ცისკრის ვარსკვლავი თანდათან შთანთქა ახლად მოვლენილმა დღემ. ზაფხულით გამთბარი მზე ნელ-ნელა მიცოცავს ზემოთ. სინათლის ჩანჩქერი ილვრება ბალახებსა და ფოთლებზე. აბლაბუდაზე ნამის წვეთები ბრნერინავს...

...ხეზე სულ უფრო და უფრო მაღლა მივიწევთ, მთელი ტანით ვეტმასნებით ძლიერ სხეულზე. ბალი კენწერში ყველაზე ტკბილია...





ଜୀବନ ପାଇଁ କାମକାଳୀ

ჩვენი განձი

ჩვენი განძია ენა ქართული,
ჩვენი გმირების მშობელი ენა,
მით ცურტაველი წერდა „შუშანიკა“,
ის კორთაში ხატად ესვენა.

ამ ენის მადლით გაპრეცინდა შოთა
და მთელ მსოფლიოს დაადგა შუქად,
ამ ენით წერდნენ ჩვენს მატიანეს,
ერის მარგალიტს თესაკვდნენ უხვად.

პალესტინაში, ჯვრის მონასტერში,
ამ მადლით ანთეს წმიდა სანთელი,
გურამიშვილმა, ბარათაშვილმა
ამ ენით შექმნის კრემლით საფეხური.

ილიას კალამს, აკავის კალამს
ამ ენით ჰუენდა ნათელს სიონი
და ვაჟასავით, ლექსად მომსკდარი,
ამ ენით ქუხდა გალაკტიონი.

გოგებაშვილმა წიგნად აკინძა –
სულის ძაფებით ამოქარებული
და „დედაენის“ უკვდავ ბწყარებად
უძლევნა პატარებს სული ქართული.

ქართულო ენავ, შენ გაგიმარჯოს,
მარად გქონდეს ამაყი სული,
რომ მომავალი სჯობდეს დღევანდელს,
კლავ, გავახსენ დიდი წარსული!

იხარე, ჩემი მშობელი ხალხო,
ერო, მართალო, ერო, ძლიერო,
იცოცხლე ენავ, ქართველი კაცის
საამაყოდ და საბუნიეროდ!

תְּלִימָדֵי תְּלִימָדֵי

ମେ ପାରି ଗନ୍ତା – ଶାର୍ଜାରଣୀ,
ମେ ପାରି ଗନ୍ତା – ଶାଫୁରାରଣୀ
କୁଳାଲପ୍ରେରଣୀଙ୍କୁ ନମିନଦ୍ଵାରା, ଧୂର୍ମିଳାଙ୍କୁ,
ହେଠି ଶାନ୍ତିବିଳ ଲୁଫାଦଳାଙ୍କୁ ଶୁଣିଲା.

ჩემი ხალხის ფიქრი, ლხენა,
მშობლიური დედა ენა,
მე ვარ ნაცვრა, მე ვარ შეუძ
ად ოჯორის ასრულება.

፩. ችግርቤርሃንድ

ଓଡ଼ିଆ ଗ୍ରନ୍ଥ ଲେଖକ

მე ვარ ენა – საოცარი,
მე ვარ ენა – საფიცარი
ყველაფერზე წმინდა, ტკბილი,
ჩემი ხაოხის ლიძებლი შვილი.

ჩემი ხალხის ფიქრი, ლხენა,
მშობლიური დედა ენა,
მე ვარ ნატყრა, მე ვარ შვება
და ოჯნების ასრულება.

ოცდაექვსი საუკუნე –
მახარატეს, მატრიალეს,
ჩემით, ჩემით დაწერილა
საქართველოს მატიანე.

გაყვითლებულ ეტრატებად
მუზეუმებს შეხიზნული,
ჩემი ერის ნარსული ვარ,
ჩემი ერის ოპერი გული.

ვარ ქართული სულის ლხენა,
ვარ ქართველთა ლექსის ენა,
ამ ძლიერი, ამაყ ერის
სიმდიდრე და აღმაფრინა!

მაშ, ჩამისვი, გულში, ბიჭო,
მაშ, ჩამიკარ, გოგო გულში,
ქეყუნად, ვერვინ, ვერ დაგჯაბნოს —
დედა ენის სიყვარულში!

განა, მხოლოდ, ანბანი ვარ,
მოვლენა ვარ ქართულ ყოფის,
იამაყე, ქვეყანაზე
მეც ვარ ერთი მჯობნის მჯობნი!

მე ქვეყანა გავაკვირვე
სიღრმითა და სიღიადით,
სიბრძლეში შენს წინაპრებს
მე ავზნოთ ანთიათ.



მაგრამ, ეს კი, დაიხსომე,
არასოდეს დაივიწყო,
მომიარე, გამიფრთხილდი,
სადაც იყო, როგორც იყო.

რადგან, მე ვარ: შეუცვლელი, –
დედის ენა, ერთადერთი,
მე ვარ: ერთი, საფიცარი,
როგორც დედა, როგორც ღმერთი!

ქართველი ერის ხარ სიამაყე,
თაფლად დენილო, ენავ, მდიდარო,
შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას,
გალაკტიონის დასაფიცარო!

გულიდან თქმულო, გრძნობაძლიერო,
სიოს ჩურჩულო, ბულბულის სტვენავ,
შენ, მთელ სამყაროს ეყოფი სუნთქვად,
დედაო ენავ, ქართულო ენავ!

ნაჭრა

კვლავ, შევხარი ცას, –
დაფითლილს მტრედებით,
გულანთებულს –
მზის სხივების ბრიალში...
და... ვინატრებ:
სიმღერით და ლექსებით
დავიფერფლო, –
ჩემი მიწის ტრფიალში.
ჩემს მამულში
სულ ჭაბუკად დავრჩები,
შორს დავიფრენ
ჭალარას და სიბერეს,
ყველა ბულბულს
და შოშიას ავყვები,
ჩემი მიწის
საღლეგრძელოს ვიმღერებ, –
სიყვარულის
საგალობელს ვიმღერებ!

ქართული ენა

ენა ქართული, ჯადოსნური,
გასაოცარი,
ენა ბულბულთა, სიყვარულის
ენა ლვთიური,
ენა რუსთველის, ტატოსი და
გალაკტიონის,
ენა, ქართული მთა-ბარიგით
მუდამ მზიური!

51



ჟიმწერა

ალაზნის ნაპირზე ნისლი დაძნძილა,
ტირიფიც ამ ნისლის ფერია,
ფირუზის ზეცაში მერცხლები შეჭრილან,
სიცოცხლის სიმღერას მღერიან.

მერცხლების სიმღერას ოცნებით ავყვები,
მეც მათებრ, მეც მათებრ მალი ვარ,
მაგრამ ლურჯ ზეცაში როგორ ავმაღლდები,
თუ, ერთი, უბრალო ქალი ვარ!

თელავი

მინდა, სიმღერად დაგადნე,
მინდა, დაგეფრქვე სიტყვებად,
ჩემი ცხოვრების შარაგზა
შენი ბილიკით იწყება.

ჩემო დედავ და მშობელო,
ლვთისგან ნაკურთხო ალაგო,
ჩემო, ლამაზო ზღაპარო,
ციხე-ბურჯების ქალაქო!

„დედაენა“

ეს არის – წიგნი, –
დილის ცისკარი,
ეს არის – ჩემი
თვალის გახელა,
ეს არის – განძი, –
დიდი საუნჯე,
მას „დედაენა“ ჰქვია
სახელად!

ქართულო ენავ!

შენ, საოცარო, შენ საფიცარო,
მრავალ ენისგან გამორჩეულო,
ხავერდოვანო, სიტყვამრავალო,
ენავ, ენათა შორის რჩეულო!

ჟაფლეგრძელო

თასი ავავსე ბადაგით,
სადლეგრძელო მაქვს სათქმელი;
სულ ამშვენებდნენ ქვეყანას
საქართველო და ქართველი!

ოლქა, №2, 2020





ანა მანოვანიშვილი

მანოვანიშვილი

ნაჭრა

ნეტავი, ცა ვიყო, რომ სულ შენ გიცქირო,
მზე ვიყო: ციმციმა, თაკარა,
ზღვა ვიყო, ტალღებით შენ გეფერუბოდე,
ან, თეთრი თოლია, – პატარა.
ნეტავი, წვეთებად მაქცია,
ტანზე დაგადნები გავქრები:
ნეტავი, ტაძარი ვიყო ან,
შენს ხელში ნანთები სანთლები,
ნეტავი, ბალახი ვიყო ან,
შენს ბალში გაშლილი ვარდები,
ნეტავი, სიმღერა ვიყო ან,
შენს გულში შეჭრილი დარდები,
ნეტავი, ცა ვიყო, რომ სულ შენ გიცქირო,
მზე ვიყო: ციმციმა, თაკარა,
ზღვა ვიყო, ტალღებით შენ გეფერუბოდე,
ან, თეთრი თოლია, – პატარა.

გახსოვს? ასევე თოვლა...

გუძღვნი ჩემს დაიკოს
თოვს და უნაზეს ფიფქებს,
შევხარი, როგორც ბავშვი,
გახსოვს? ასევე თოვლა,
ასევე თოვლა, – მაშინ.

მივაბიჯებდით ერთად,
თეთრი პეტლების ზღვაში;
დაფარფატებდა ფიფქი,
ოცნებასავით ცაში.

შენ ბავშვი იყავ, ჯერაც,
მე კი მათოვდა თმაში,
გახსოვს? ასევე თოვლა,
ასევე თოვლა, – მაშინ.

მივაბიჯებდით ერთად,
თეთრი პეტლების ზღვაში;
დაფარფატებდა ფიფქი,
ოცნებასავით ცაში.

შენ ბავშვი იყავ, ჯერაც,
მე კი მათოვდა თმაში,
გახსოვს? ასევე თოვლა,
ასევე თოვლა, – მაშინ.

ა. მანოვანიშვილი

ჩემი ფიქრის მაჭიანე!..

გზად მივყვები ცისარტყელას,
ლექსებს გავედარდიანე,
იწერება ას ფურცელად,
ჩემი ფიქრის მატიანე,

ჩემი ღელვა, სიხარული,
კალმის ერთი ამოწება;
ვწერო, სანამ გულის ფესვში
ცხელი სისხლი ამოშრება.

სანამ, – დობილს, ჩემს სიბერეს,
დაადებენ რკინის ხუნდება.
სანამ, სანამ, პოეზიის
მივუყვები ცისფერ გუნდებს.

სანამ, სულში ბერავს ქარი;
ქარი შინ და ქარი გარეთ,
ავმღერდები, სანამ დროა,
სანამ მიწას მიმაბარებთ...

თორემ, მერე, თუ, გაციცდა,
გულის ფესვი თუკი გაწყდა,
ვერ მიშველის ვეღარც ერთი
პოეზიის მადლის კალთა.

დროა, დროა, მომისმინეთ,
ერთი წუთი, კიდევ, დარჩა;
ყვავილეთის სიმღერეთში
გაუშლიათ ლექსის ფარჩა.

ვფარე, ვფარე, ვერ დავფარე,
რაც კი გულით უნდა მეთქვა;
ამ ლამაზი ლექსის წერას
გავატანე გულის ფეთქვა.

გზად მივყვები ცისარტყელას,
ლექსებს გავედარდიანე,
იწერება ას ფურცელად,
ჩემი ფიქრის მატიანე.



იოსეტ ნონეშვილის

სიცოცხლე როგორ დაიბინდება,
როცა აშუქებს სიბრძნის ნათელი;
სულ, სიმღერებად აგუგუნდება
შენი ლექსი და შენი სახელი...

შენ, რუსთაველის ცეცხლით იწვოდი
და წინაპრების გზებით გივლია;
როგორ გხიბლავდა ჩანგი აკაკის,
როგორ გიყვარდა ბრძენი ილია.

მე მიყვარს: შენი ტკბილი ქართული
და საოცარი შენი ლექსები,
შუქურ-ვარსკვლავად ამობრნყინდები,
ხალხის გულში გაქვს, რადგან ფესვები.

და... ალბათ, როცა ამ ლექსებს წერდი,
შენც თვალებიდან ცრემლი გდიოდა
და გაუტეხელ ზოიასავით,
შანთით დამწვარი გულიც გტკიოდა.

როცა აქებდი: გმირებს, ვაჟკაცებს,
ლომგულებს, – თვალებნაპერწკლიანებს;
კი არა წერდი, ჩუქურთმიას სჭრიდი,
შენც უკვდავებას დაეზიარე.

ხარ, საქართველოს დიდი მგოსანი,
კაშკაშებს შენი ლექსის ლამპარი,
და ჩვენს თაობებს გადაეცემი
როგორც – სიმღერა, როგორც – ზღაპარი.

შენ, სიყვარულის მოგვფინე შუქი;
ხალხი ბრძენია, განა უგულო;
და დავიწყება არ გიწერია,
შენ, საქართველოს ტკბილო ბულბულო...



მხატვარი ბექა ხუცურაული





ნუნუ ძამუკაშვილი

სანდროს

პაპამ სანდროს უწოდა:
„სიხარულის მწვერვალი“
ზღაპრის წიგნი აჩუქა, –
წიგნი, – აზრით ელვარი.

მოქნონა წიგნი და
გაილიმა პანიამ,
და... მთელ ოჯახს, სითბო და
სიხარული აწვია.

წიგნთან ერთად, პაპიკომ
გულის სითბოც მისცა და...
სანდრომ იწყო ლილინი, –
ბევრი ალარ იცადა.

გაიზარდე, ვაჟეაცო, –
დიდმა პაპამ დალოცა,
შეავედრე მშვიდობა
მთის და ბარის სალოცავს.

თაგვის წელი

თეამ თაგვი დაქარგა,
მიუქარგა – კაკალიც,
დაინახეს ქათმებმა,
მორთეს: კრიახ-კაკანი.

ჩვენო თეავ, ძვირფასო,
ხელოვანო და კარგო,
გთხოვთ, – თაგვი, თუ თაგუნა
ბევრი ალარ დაქარგო.

– ახლა, თაგვის წელია,
დე, სიკეთით ერბინოთ,
კარგად უნდა მოიქცნენ, –
ვუთხრათ, გავაგებნოთ.

შეკირნი აქვთ შზის სხივებს, –
ჭაბუ – ოქროს ზფირთებით,
შზეო, ჩვენზეუ რომ ზრუნავ,
ვლამაზდებით, ვირთვებით.

გაზაფხულდა, ნავარდობს
ტერწალი თუ, შზენვია,
გვიხარია ჰატარებს, –
გაზაფხული გვენვია.

6. ძამუკაშვილი

მოწყენილი წიგა

მიინურა ზამთარი,
მოიწყინა ციგამ,
მოითმინე ზამთრამდე, –
მოეფერა გიგა.

განა, სულ მიგატოვებთ?
ხან, სურვილს რომ ვნაბავთ,
წელიწადის დროების
მოგიყვებით ამბავს.

– თოჯინებით მესტუმრეთ,
გახალისდა ციგაც...
თოვლის პაპას დავურეკოთ
და მოვუყვეთ იგავს...

ხან დროს, შემეხმიანეთ,
ჩემო, კარგო ბავშვებო,
წელიწადის ოთხივ დრო
სიყვარულმა ამშვენოს.

გაზაფხული მოფრინავს

გაზაფხული მოფრინავს
და მეჯლისებს იხდის...
ზამთარს თან გაპყოლია
ლოლოები, ჭირხლი.

მარტი ჩვენთანაა და
მზეც ყვავილებს უხმობს;
მოდის ია-ენძელა
ყოჩივარდაც, – უხმოდ.

მოდის, მოდის, მოცეკვავს
ყვავილთ თაიგული,
დავამშვენებთ დედის დღეს, –
დავლოცავთო, – გულით.



შერიგება

მურამ უთხრა ფისუნიას
დავივიწყოთ მტრობა,
რა სჯობია – მეგობრობას,
სიკეთეს და ნდობას.

კარგი, კარგი, გირიგდები,
მეგობრად გთვლი, – მურა,
იცოდე, რომ დღეის შემდეგ,
ერთმანეთზე ვზრუნავთ.

უწყინარი იყოს

რასაც ბალში მასწავლიან
შინ მკითხავენ დები,
და მეც „კომიბლეს“, „ნითელქუდას“,
გულმოდგინედ ვყვები.

მისმენენ და თან ნატრობენ
რა იქნება, ნიკო,
კურდლელივით, – ყველა მგელი
უწყინარი იყოს.

ზურა და მერქალი

– ბუდესთან რომ ტრიალებ,
რას აკეთებ, ზურა?
– მინდა ვნახო ბარტყებზე.
დედა როგორ ზრუნავს.
– შენ რომ გხედავს მერცხალი
ველარ მოდის ახლოს,
იქით წადი, აცალე,
შვილები რომ ნახოს.
მიუტანოს საკვები,
ეშიებათ ბარტყებს,
თან, დედიკოს დანახვა
სიხალისეს მატებთ.
აივნიდან დარაჯობს
ზურა ბუდეს უხმოდ, –
ეს მალხაზი მერცხლები
არვინ შეაწუხოს.

შემოდგომა და წისარტყელა

შემოდგომამ ჩააბარა
ცისარტყელას ფერები,
შენ გაზაფხულს დაუბრუნებ,
და მას მოვეფერებით.

გაზაფხულდა, ნაირფერი
ზეცამ მიწას დაფინა,
თეთრი თოვლიც და სიცივეც
ჩუმად, სადღაც გაფრინდა.

საათი

მირპის, მიხტის საათი, –
წიკ-წიკით და ხალისით
მინდა, ყველას ვახარო;
იმედი მაქვს ხვალისი.

ბავშვებს ესაუბრება –
ნამოდექით, ახლაო,
ზურა, ნიკა, ელენე,
კესო, კობა, კახაო...

ბალიც, სკოლაც მოგელით, –
ვის სწავლით, ვის ზღაპრებით,
ცხოვრებაში წინ წახვალთ
დიდი ცოდნის აფრებით...

დრო არავინ დაკარგოთ,
მე ვაფრთხილებ ყველასო:
ლალის, ლუკას, ლევანის,
ლიასა და ლელასო.

ნიკას უყვარს სიმღერა

ნიკას უყვარს სიმღერა
მიკროფონით ხელში,
გაზაფხული მოიყვანა, –
წყალი ჩადგა ხეში.

ია-ვარდი გაიშალა,
ბულბულიც სტვენს ნაზად...
ნიკა, ბიჭო, – შენი მღერა
ფრთებს შლის ფიანდაზად.

გაზაფხული

მზემ ალერსით აგვავსო,
მთვარე ღმითლს გვირიგებს,
ერთი ტაშ-ფანდურა აქვთ
მოცეკვავე გვირილებს.

მეგობრობენ, უხმობენ
სათამაშოდ, ცელქ სიოს;
ქარი ჩვენ არ გვინდაო, –
ნეტავ მხარი ექციოს.





ნაკადულებს ნაწნავი
რა ლამაზად დასწონიათ;
ცხრათვალა მზემ მთა და ბარს
სიხარული აწვია.

კივის ხე

დათამ დარგა კივის ხე
გაიზარდა რა მალე,
– არ დაისხი კივები? –
მომეცი, სად დამალე?..

კივი ხეივანზეა,
ვაზებს გადაეხვია;
ჯერ არ დაიკრიფება, –
ბებომა თქვა: მკვახეა!

კივი დამწიფებულა!
მოაქვს ამბავი იფანს,
პაპამ კიბე მიადგა, –
დათას ჩამოუკრიფა.

ჩალის მეგობრები

ჰუმ აიდგა ფეხი,
დაინახა ზღარბი,
მიმოდიან წელა
მურა სწრაფად დარბის.

ბალის მეგობრები
ბალს უვლიან ერთად;

გაზაფხულის დღეა, –
დგას ზეიმი – ფერთა.

როცა ლამე დგება
ზღარბი ეკლებს ისხამს,
კუ ბაკანში წვება
და კვლავ ლვიძავთ, – სისხამს.

ბალს სიმშვიდით იცავს
ყარაულობს მურა,
ბალის მეგობრებზეც
გულიანად ზრუნავს.


დათუნია

ზამთარი კარს გვეწვია და
დაიძინა დათვმა;
რამდენი დღე ეძინება? –
ციყვმა იწყო დათვლა.

ფულუროში კალენდარი,
რომ ჰეილია, იცის!
ყოველ დილით, თითო ფურცელს
გადაფურცლავს ციყვი.

დეკემბერი, იანვარი,
თებერვალიც მიდის!..
ციყვი დღეებს ანგარიშობს
ფიქრი უწევს დიდი.

ამდენ გარჯას და ანგარიშს
ციყვი როგორ იტანს...
კოდალას ხმა მოესმა და...
დათვმა თვალი ჭყიტა.



მხატვარი ბექა ხუცურაული



ალექსანდრ ილიჩევსკი

ერთხელ, კაფლის მიღმა, რალაჯ უზნაური ხმები
შემოგვექმდა. ის ძველ, იაფეთისან სასტუმროში წხოვ-
რობდა (1906 წლის მიწისძვრისაგან და ხანძრისაგან
გადარჩენილ ყიშვითეს - შენობაში). სართულიდან
სართულზე ასასვლელი ხვეული, ვიზნო კირე, ძველი,
მუქი ნითელი ფერის მაყვის წილიკი, მტკვრი და ობ-
ელი, ხელისგალერით განკირლებული მოაჭირება. ჩახ-
ლუებიღმა, სიკედილისჩინა შეძხილმა, რალაჯ მუყმუყ
შემთბოწენებელმა ხმაშ ლეთარგიული მდგომარეობიდან
გამოგვიყვანა.

5. የጤጠቅናዕና



57

የኢትዮጵያውያንድ የሚከተሉት ስምዎች በመስጠት እንደሆነ የሚከተሉት ስምዎች በመስጠት እንደሆነ

პრობაგოლისი, პეტრი ალექსანდრ ილიჩევსკი დაიბადა 1970 წელს სუმგაითში. 1993 წელს დაამთავრა მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტი.

မိလျှော်ဗုဏ် အကြောင်းပို့ဆောင်ရွက်ခဲ့သူများ ဖြစ်ပါသည်။

ნამის ნარტილი*

ყველაზე საოცარი ღრუბლები სან-ფრან-
ცისკოს თავზეა. ცივი დინძის, რომელიც წყნარი
ოკეანის სანაპიროს ელამუნება და კონტინენტუ-
რი ჰაერის თბილი მასების გამო, დილით და საღ-
ამოს, რძისფერი მდინარეები სანაპიროსკენ მიის-
წრაფიან. მაღალ გორაკზებზე გაშენებულ ქალაქში
კი, დაბლობები, ხევები, ქუჩები და ჩიხები სქელ
ნისლშია გახვეული. სადღაც, მაღლა, ფარნები და
ანთებული ფანჯრები ფერმკრთალდებიან. ნისლი
თანდათან თბება, დიადი უსინათლო ზევით ადის,
შესახვევებს ათავისუფლებს და ზედა სართულებს
უზილავი, ლიბრგადარული თვალებით აცქერდე-
ბა. მანქანები, კალიფორნიის პროსპექტით, ნისლის
ტბაში ჩაშვებულები მეორე გორაკის ფერდობზე
ამოდიან, რათა შუქნიშანთან, უკანა გაჩერების მა-
შუქნიბით, კლავ წითლად ჩაითვარება.

ლრუბლის გაფრენა გორაკიდან შეუდარებელ სანახაობად მოჩანს. გიგანტური, ასეული პართენონის ზომის, მარგალიტების მოსართავებით მოციმციმე დირიჟაბლი ქალაქის ცენტრს ზანტად ტოვებს. ტრანსამერიკული კორპორაციის ცათამ-ბჯერის მუქი, პირამიდული სილუეტი გემის ანძად გელანდება. გვიან ლამთ, სრულ სიჩქმეში, გამორთული შუქნისწები რომ ციმციმებენ, იგუანის სარეკლამო ბიბილოიანი ყვითელი ტაქსები, ფარებით, გზისპირებს ანათებენ და გორაკებზე ხან ჩაყვითავენ და ხანაკ ამოყენთავენ.

ქალაქი რაღაც იდუმალებითაა მოცული,
ძველთაძველი შელოცვით, რომელიც იმ დროიდან

արև և Շեմորհինունու, րոպա այ ոճուղըտա գոմեծի սաելոնքնենց. մանունց լու գոյան ցորակացնից, սաօդանաւոյցնունու ածորցընունու բալուղըտա զելու ոժուղըտա, ուսնու սասոցնալու սացութաց կուռոնցնետան լուտայ-նետիստայու ստոյուա սամեծացընունու անցունքնենց, րոմլուցնետաւու, նորացը, միջնունու բոցու յալուցն ակամդնենց դա սենամդատ, րոմ մասեցընունու լուս սյունու, նուսլուտան յրտագ, լուրունունու լուտայ-նատան մուշքընունու. րոմ սագլաւու մորս, մազլա, զարսկացընունու մորս, սաելունու ոյ ճազանցնունու պացունունու լուրունունու, սաւեցա, սաեցա.

გზიდან, ხშირად, ნავმისადგომისკე ვუჩვევდი და ვიმედოვნებდი დაგვიანებული მეთევზებისთვის მიმესწრო, რომლებსაც ნავებიდან ნაირ-ნაირი თევზები ამოჰყავდათ. განსაკუთრებით, ბადეზე ბრტყლად დაყრილი, ვერცხლისფერი თინჯსები მაინტერესებდა, ასევე მახეში გაბმული, მოფუთფუთე კიბორჩხალები.

მეთევზეებთან მაშინ მივდიოდ, ლრუბლები ცათამბჯენების ზედა სართულებამდე რომ ადი-ოდნენ და მზად იყვნენ ბერკლის მიმართულებით გაეცურათ, რათა მიეღწიათ უხეიროდ მიმოფანტულ სახლებამდე, უნივერსიტეტის კოშკამდე, მერე კი კონგრინენტის გახურებულ მიწებამდე და ჩამომდნარიყნენ.

ის იყო ნაზი გოგონა, რომელსაც სინესტის ეშინოდა და გამუდმებით სციოდა. ოცნებობდა, ზაფხულში, თბილ სან-დიეგოში, სკოლის მეგობარ გოგონასთან სტუმრობაზე. მეგობარი, იტაურ უნი-

* ტერმინთა უკრანის, რომლის დროსაც პაერში არსებული ორთქლი ინტერნ წყლად გადაწყვეტას, ნამის წერტილი ეწოდება.





ვერსიტეტში, სამეცნიერო ხარისხს იცავდა ბიოლოგიაში.

მისი ნარსულის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი და განსაკუთრებულს არც არაფერს ველოდი. მთელ დროს, რომელსაც ერთად ვატარებდით, უმეტესად ვდეუმდით. არადა, სასიყვარულო ურთიერთობები, როგორც წესი, სიტყვაუხვა.

ისე მასავათებდა, რომ ძლივ-ძლივობით ვაჩიჩებდი გვერდზე, რათა დავლოდებოდი, გამოლვიძებული ხელს როდის გამომიწვდიდა და რამდენიმე ველური მოძრაობით საბოლოოდ გამთმავდა.

ერთხელ, კედლის მიღმა, რაღაც უცნაური ხმები შემოგვესმა. ის ძველ, იაფფასიან სასტუმროში ცხოვრიბდა (1906 წლის მიწისძრისგან და ხანძრისგან გადარჩენილ უიშვიათეს შენობაში). სართულიდან სართულზე ასასვლელი ხვეული, ვიწრო კიბე, ძველი, მუქი წითელი ფერის მაუდის ბილიკი, მტვერი და თხელი, ხელისგულებით გაპრიალებული მოაჯირები. ჩახლეჩილმა, სიკვდილისწინა შეძახილმა, რაღაც ბუყბუყა შემაძრწუნებელმა ხმამ ლეთარგიული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა.

„მეზობელს ასთმა აქვს“, – თქვა მან. ჯინსები ამოვიცვი, გარეთ გავედი და შელებული კარისკენ გავემართე. კარის უკან მამაკაცი იდგა, რომელსაც ცალ ხელში ჟანგბადის ბალონი ეჭირა, მეორე ხელით კი ნიკაბზე ნიღაბს იჭირდა. როდესაც, რაღაცის სათემელად, ნიღაბი მოიხსნა, ასე ორმოცდათი წლის კაცის სახეზე შევამჩნიე ხალი, დიდი ტუჩები, დამსკდარი, გაუხეშებული კანი და მაღალი ღანგები. მაშინვე მივხვდი, რომ კაცი უსინათლო იყო: მუქი სათვალეები, ჩაბნელებული ოთახი. მარგალიტივით ნისლი სარქმელს ეტმასნებოდა და სითეთრეში ხვევდა. კაცი ხრიალებდა, შეკითხვებზე არ მპასუხობდა, მერე კი იატაცზე ჩაიკეცა.

რატომძაც სინათლე ავანთე და სასტუმროს ადმინისტრატორთან მოვკურცხლე. სანამ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, სანამ ექმები მოვიდნენ, მუხლებზე ვიდეები და მომაკვდავს ცალი ხელით პირზე ნიღაბს ვაჭერდი, მეორეთი კი მკერდზე რიტ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

მულად ვაწვებოდი. უცებ, ჩემი მზერა საფურნალე მაგიდას მისწვდა – ბრაილის წიგნებს და ლანგარზე მდგარ, ღია ყავისფერი პლასტილინით გამოძრენილ ქალის თავს, კედელს მიღმა, საწოლში მომლოდინე გოგონას რომ ჰგავდა.

კიბეზე ფეხის ხმა გავიგონე და აჩქარებით წამოვდექი. მერე ხელი გავიწვდინე, რომ შემეგრძნო ის, რასაც, ოდესლაც, უსინათლოს თითები შეიგრძნობდნენ.

მეტჯერ ის გოგო ალარ მინახავს. მისი გემო ტუჩებზე დამრჩა, მისი კანის გემო, რომელიც ნისლიან ბინდბუნდში ცისფრად მეჩვენებოდა.

გოგონას ორი ბარძაყი საწოლში ისე ანათებდა, როგორც ნავის ფსკერზე ხის დიდი ძელები.

**რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა**



სოფთ გვირიშიშვილი

Կայուղա ցամոմեծավորությունը մարդուն մոմենքնեա, մացամի
հիմու պայմանագործ մոմենքն հիմմա միջնորդավորությունը – մուտք
կալակացաւությա ցուռացութ. մաս Շետանութեազաք օտամիմա կատակո
յալուն յմիմուն ռուռուն. պայուղա առաջարացաւությունու ոստ.
ամ եշխնեա կալունությունա գործահիմուր պայսականք, յմայ-
ռուռուն մոմիգրանտությա գա մոտեան: «Ենայ, Տոբոյուն,
Շուռուն, ցինցիւն ռուռուն գործու մենքնեալությա այսէ.
ցուռացուն գործու մատա Շետանութեազա մատանուն ոստ. ոչո 55
նուրու յմատապա հայուն Տաելունացան ուղարկացուն».

୬. ଗୃହନ୍ତିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ



ԵՐԹՈ ԱՏՎԱՐՈՒՄՆԵՐ ԱԿԵՐՎԱԾՈՒՅԹՆԵՐ

ამ თემამ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ და-
მაინტერესა.

ჩვენი სკოლის 20 წლის იუბილეს ვზიე-
მობდით, დღემდე დაუვინყარია ის შესანიშ-
ნავი დღი.

ყველა ბედნიერი ვიყავით: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული.

საზომო განყოფილება სკოლის მოსწავლეების ძალებით იყო გაკეთებული, მეცნიერონაციონალური დოკუმენტით. იმ დროს ერთ-ერთი ანსამბლის სოლისტი ვიყავი და ზემომართვის მიერ მიმღერებული კონცერტის მასში.

ყველა გამომსვლელი ძალიან მომენტია, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩემმა მეზობელმა – მეათე კლასელმა გიორგიმ. მან შესანიშნავად ითამაშა კაპასი ქალის ქმრის როლი. ყველა აღფრთოვანებული იყო. ამ სცენას კულისებიდან დედაჩემიც უყურებდა, კმაყოფილი მომიტრიალდა და მითხრა: „ნახე, სოფიკო, შვილო, გენებს როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს. გიორგის დიდი პაპა შესანიშნავი მსახიობი იყო. იგი 55 წელი ემსახურა ჩვენს სახელოვან თელავის თეატრსო“. თეატრი ძალიან მიყვარს და ამ ამბავმა დამაინტერესა, მაგრამ თანდათან მიმავიწყდა. შეძლება აღარც გამხსენებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა.

სკოლა რომ დაამთავრა, გიორგის თე-
ატრანსლურ ინსტიტუტში სდომებია ჩაბარე-
ბა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო თელავის
სტომატოლოგიურ სასწავლებელში გააგრძე-
ლა სწავლა.

ჩვენს ოჯახებს კარგი ურთიერთობა აქვთ. ერთხელ გიორგის მამა, მერაბი ძია გვატუმ-

რობდა და საუბრის დროს აღნიშნა, რომ მისი
პაპა (მამის მამა) ბატონი ნაპოლეონი 1904
წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა
თელავის თეატრში და 200 როლი ჰქონდა
ნათამაშები. ამის შესახებ ბევრი საინტერესო
ამბავიც გვიამძო. სულგანაბული ვუსმენდი.
ძალიან დავინტერესდი, გამახსენდა გიორგის
მსახიობობა/.

მისი წასვლის შემდეგ გადმოვალაგე წიგნები, რაც თელავის თეატრის შესახებ მოვკეპოვებოდა. მწირი ინფორმაცია მივიღებატონ ნაპოლეონზე, თუმცა იგრძნობოდა მისდამი დიდი სიყვარული, პატივისცემა, და-თასიჭავა.

გადავწყვიტე, მის შთამომავლებთან მი-
ვსულიყავი და ჩემი თაობისათვის უცნობი
მსახიობის შესახებ რამე გამოგო.

დიდი სიხარულით და სიყვარულით მიმღებობის მიზნის დროის განვითარებაში – ანა დეიდამ და გულითადი მადლობა გადამიხადა, რომ მათი დიდი პაპის ამბით დაკინტერესდი.

აი, ჩემს წინ იშლება საოჯახო ალბომი, ანა დეიდა და მერაბი ძია თანამიმდევრობით მიყვებიან ბატონ ნაპოლეონის განვლილ ცხოვრებას. ამბებს ამბები მოჰყვებოდა, ჩემს წინასწარ შედგენილ შეკითხვებს – შეკითხვები ემატებოდა. გვიანობამდე უსაუბრობდით, ჩემს თვალინინ გადაიშალა ამ შესანიშნავი მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების სანგრძლივი გზა.

აქვე ვნახე სათუთად შენაბული, უკვე დრო-ჟამისგან შეყვითლებული 1983 წლის გაზეთი „ალაზნის განთიადი“, სადაც ბატონ ნაპოლეონზე გამოქვეყნიბული იყო წერილი





ასეთი სათაურით „მსახიობის გზა“. ავტორი იყო ბატონი მიხეილ ზურაბიშვილი. წერილს თვალი გადავავლე და აი, რა წავიკითხე: „ამ დღეებში დაბადების 100 წელი შეუსრულდებოდა ჩვენს სახელოვან მსახიობს, ადამიანს, რომელსაც ხანგრძლივი წლების მანძილზე ხალისი და სიხარული მოჰქონდა მაყურებლისთვის, უანგაროდ ემსახურებოდა თელავს და ხალასი ნიჭით, ოსტატური გამომსახვლობითი უნარით მიმზიდველ და ღრმად შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს ქმნიდა.

ნაპოლეონ ხვთისიაშვილი (ასტვაცაცუროვი), რამდენი წარმტაცი მოგონება უკავშირდება ამ სახელს. მას სიყვარულით ნაბისაიჩს ეძახდნენ, მაყურებელი – ნაპოლეონს და ამ სახელში დიდ ფრანგ იმპერატორს და დამპყრობს კი არა, კეთილი და მოსიყვარულე გულის, გულწრფელსა და ალალმართალ მსახიობსა და მოქალაქეს წარმოიდგენდნენ ხოლმე.

იგი დაიბადა 1883 წლის 27 თებერვალს, სილნალში. ობლობამ და ხელმოკლეობამ აიძულა მიეტოვებინა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი და 1904 წელს თელავში გადმოსულიყო საცხოვრებლად. ამავე წელს მან მიიღო სასცენო ნათლობა თელავის სცენის მოყვარეთა დასში. წარმატებით შეასრულა სტეფანე მაკარიშის როლი ავქსენტი ცაგარელის „ციმბირელში“ და სამუდამოდ დაუკავშირდა თელავის თეატრს.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, იგი ხელოვნების მუშაკთა კავშირის კომიტეტის „რაბისის“ წევრად აირჩიეს ვ. გამყრელიძესთან, დ. ანტურელთან, ს. ბეჭანიშვილთან, შ. და ვ. ჭელიძესთან და სხვებთან ერთად. იგი 1925 წლიდე უსასყიდლოდ ემსახურებოდა თელავის სცენას. 1925 წლიდან კი თელავის სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობია და გარდაცვალებამდე სცენიდან არ ჩამოსულა.

55 წელი მუშაობდა იგი თელავის თეატრში და ამ ხნის განმავლობაში 200-ზე მეტი საინტერესო სახე შექმნა. იგი უმთავრესად სახასიათო როლების უბადლო შემსრულებელი იყო, მისი გამოჩენა სცენაზე მაყურებელს ჯანსაღ სიცილსა და სიხარულს ანიჭებდა.

პრესა განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა მის ავეტიქას – პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, სულეიმანს – „არშინ მალალანში“, პოფმარშალს – „ვერაგობა და სიყვარულში“, ღვთისავარს – „არსენა მარაბ-დელში“, ფრონისას – „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებში“ და სხვებს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თელავის თეატრის მაყურებელი ყოვ-

ელთვის აფასებდნენ მსახიობს. ჯერ კიდევ 1916 წელს აღინიშნა მისი სასცენო მოღვაწეობის 10 წლის თავი. ამასთან დაკავშირებით „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „სცენა მისი სული და გულია, ის ბუნებით ხელოვანია, რომელსაც მუდამ სცენაზე ყოფნა უნდა“.

1929, 1946 და 1956 წლებში აღინიშნა მისი შემოქმედებითი მუშაობის 25, 40 და 50 წლისთავი, სადაც მადლიერი მაყურებელი მადლობას უცხადებდა მოამაგე მსახიობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ბევრის მომსწრე იყო მხცოვანი მსახიობი, მის პირად არქივში დაცულია ლადო მესხიშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ნიკო გოცირიძის, შალვა დადიანის, მაკო საფაროვა-აბაშიძის და სცენის სხვა დიდოსტატების მეგობრული წერილები, მისალოცი ბარათები და დეპეშები, ავტოგრაფიანი სურათები.

მსახიობი სცენიდან მეგობრობასა და სიყვარულს, სიკეთესა და პატიოსნებას ქადაგებდა და მაყურებელს სჯეროდა მისი გულწრფელი, უანგარო, მართალი სიტყვა, რადგან თვით მასაც – ნაპოლეონს პირად ცხოვრებაში იცნობდნენ, როგორც სპეტაკი სულის, გულით მართალსა და პატიოსან ადამიანს.“

ანა დეიდამ მაჩვენა ბოლო, 1956 წლის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათიც. აი, რა შედიოდა მის პროგრამაში.

1. შესავალი სიტყვა – ი. ქოჩლაძე, მშრომელთა დეპუტატების თელავის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

2. ნაპოლეონ ხვთისიაშვილის (ასტვაცაცუროვი) ცხოვრება და შემოქმედება – ალ. გვენცაძე.

3. სიტყვები და მისალმებები.

4. მხატვრული განყოფილება – წარმოდგენილი იქნება სცენები თელავის თეატრის დადგმებიდან. ფ. შილერის – „ვერაგობა და სიყვარული“, მეხუთე სურათი. ა. ცაგარელის – „ხანუმა“, მეორე მოქმედება. ლ. ჭუბაძრია – „ამხანაგი“, პირველი სურათი. უ. პაჯიბეგოვის – „არშინ მალალან“.

* * *

მერაბი ძიამ მიამპო, რომ პაპას შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა თელავის თეატრში მომუშავე გამოჩენილ მსახიობებთან: სერგო ზაქარიაძესთან, ბუხუჭი ზაქარიაძესთან, ქეთევან ბოჭორიშვილთან.

ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა მერაბი ძიამ. ისიც მითხრა, რომ მის მამიდას (ნაპოლეონის ქალიშვილს) ანუელიკას (ანუოს),





რომელსაც ბავშვობაში სცენიური ნათლობაც მიუღია, ბევრი საინტერესო მოგონება აქვს შემორჩენილი თავის მამაზეო. სამწუხაროა, რომ მე მას ამჟამად ვერ შევხვდი სიშორის გამო, მაგრამ მომავალში აუცილებლად შევხვდები. ანა დეიდამაც ბევრი საინტერესო ამბავი მიამდო. აი, ერთი სევდიანი ისტორია ამ ლირსეული ადამიანის შესახებ.

1949 წელს, ცნობილი მიზეზების გამო, ბატონი ნაპოლეონი ცოლშვილითა და რძლით გადასახლებაში მოყვა. გადასახლება სულ ცხრა თვე გაგრძელებულა, მაგრამ მისი ოჯახისათვის ეს იყო საშინელი სულიერი დარტყმა. გადასახლებაში ყოფილა აგრეთვე ქალბატონი მანია (მერაბი ძის დედა), რომელსაც მე ძალიან კარგად ვიცნობდი. ის იყო შესანიშნავი ადამიანი, იშვიათი დიასახლისი. ყოველთვის თვალში მხვდებოდა მისი იდეალური ჩაცმულობა. ანა დეიდამ საკუთარი ხელით ნაკეთები იშვიათი საოჯახო ნივთები დამათვალიერებინა, რამაც აღტაცებაში მომიყვანა. სამწუხაროა რომ იგი გასულ წელს გარდაიცვალა.

გადასახლებისას ქალბატონი მანია ფეხმძიმედ ყოფილა მერაბი ძიაზე. მას შვილი დიდხანს არ უჩნდებოდა და ახლა ნანატრ ბავშვს ციმბირში ელოდებოდა. მერაბი ძია იქ დაპატებულა, ტომსის ოლქში, სოფელ ჩუდინოვკაში. იმ დროს ყოფილა რაღაც არნახული, მკაცრი ზამთარი. დიდთოვლიბას და საშინელ ზამთარს პირდაპირ სასონარკეთაში ჩაუგდია იქ მყოფი ადამიანები. განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა მისახდი.

მათ ცხრა თვის შემდეგ შეხებიათ რეაბილიტაცია, მაგრამ რაც ამ ხნის განმავლობაში ტანჯვა გადახდათ, ძნელი გადმოსაცემია. რამდენიმე თვე თოთო ბავშვით ბრუნდებოდნენ და საშინლად გატანჯულები და ჯანმრთელობა შერყეულები ჩამოსულან მშობლიურ სახლში.

ამ სასტიკმა ამბავმა შემზარა. ნაწილი გზის გავლა თვითმფრინავით მოუხდათ. თვეების ბავშვი ავად გახდომიათ, მგზავრებს უთქვამთ ქალბატონ მანიასთვის, ბავშვს თუ რამე დაემართა არ დაიყვირო, თორემ თვითმფრინავიდან გადააგდებენო.

ალბომის დათვალიერებისას თვალში მომხვდა ბატონ ნაპოლეონის ულამაზესი მეუღლე – ქალბატონი სონია. ეს მშვენიერი ქალბატონი დეიდას პოლონეთში გაუზრდია. იგი ყოფილა შესანიშნავი ადამიანი, როგორც გარეგნობით, ასევე ბუნებით

მათ ჰყოლიათ სამი შვილი: უფროსი ანუელიკა (ანუო), რომელიც დღეს 92 წლის

ბრძანდება. სამწუხაროდ მომდევნო შვილები ქალბატონი მარგო და ბატონი სერგო, მერაბი ძიას მამა, ცოცხლები აღარ არიან.

ქალბატონ ანუოს მსახიობური ტალანტი ჰქონია, მაგრამ მსახიობის პროფესია არ აურჩევია. მას მსახიობი თაყვანისმცემლებიც ბევრი ჰყოლია, მაგრამ თავისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირებია ცნობილი ექიმისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, თელავში მცხოვრებ გრიშა მათიაშვილისათვის.

ანა დეიდამ კიდევ მომიყვა ერთი საინტერესო ამბავი ულამაზესი, უნიჭიერესი მსახიობის – ნატო ვაჩინაძის შესახებ. მე განსაკუთრებით დავძაბე ყურადღება, რადგან ნატო ვაჩინაძე ძალიან მიყვარს. ორი წლის წინ ნინელი მასწავლებელმა გურჯაანში გულდასმით დაგვათვალიერებინა მისი სახლ-მუზეუმი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

აი, რა მოვისმინე:

„ნატო ვაჩინაძე თელავში სტუმრად ყოფილა ჩამოსული ბატონ ნაპოლეონის ოჯახში. მათ ქალბატონი ნატო ვაჩინაძე გაუსეირნებიათ წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად. იქ ყოფილა ცნობილი ფოტოგრაფი ისააკ ტორი, რომელსაც ნატო ვაჩინაძისათვის გადაუღია ცნობილი სურათი „ნატო მაგნოლიით ხელში“.

ბატონ ნაპოლეონს პარალელურად უმუშავია საკერავი მანქანების ფირმაში, ფირმა „ზინგერის“ აგენტად. ძალიან ხელმოკლედ უცხოვრიათ. მაშინ მსახიობებს ძალიან უჭირდათ.

ბატონი ნაპოლეონი გარდაიცვალა 1973 წელს, 90 წლის ასაკში. იგი დაუსვენებიათ თავის საყვარელ თეატრში. უამრავი ხალხი მისულა გამოსამშვიდობებლად.

ბოლოს ანა დეიდამ აღნიშნა, რომ მის გიორგის სურს მსახიობობა და აპირებს სწავლის გაგრძელებას ამ განხრით.

ვიცი რომ გიორგი აუცილებლად გახდება მსახიობი და იქნებ თავისი სახელმოვანი დიდი პაპის გზის გამგრძელებელი. იგი არა მარტო ნიჭით ჰგავს თავის დიდ პაპას, არამედ გარეგნობითაც.

არ ვიცი რამდენად შევძელი ბატონი ნაპოლეონის ცხოვრების გზის ასახვა, მაგრამ ერთი კია, ჩვენ, ახალგაზრდა თაობას, არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ ისეთი იშვიათი პიროვნება, როგორიც იყო თელავის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი – ბატონი ნაპოლეონი.

P.S.

ამ ზაფხულს მქონდა საშუალება, შევხ-





ვედროდი ბატონ ნაპოლეონის ქალიშვილს, 92 წლის ქალბატონს ანუელიკას (ანუოს), რომელიც მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ მხნედ გამოიყურება. მან დიდი სიხარულით მიმიღო და საინტერესო ამბები გაიხსენა. მითხვა რომ მამის გარდაცვალების შემდეგ გევრი რამ თეატრმა წაიღო, მათ შორის გამოჩენილი ქართველი მსახიობების ავტოგრაფიანი სურათებიც.

დავინტერესდი ბატონ ნაპოლეონის ოჯახიდან წალებული მასალებით, მაგრამ სამწუხაროდ ვერსად მოვიძიე. ქალბატონი ანუ დიდი სიყვარულით მიყვებოდა გამოჩენილ მსახიობებზე: ქალბატონ ელისაბედ ჩერქეზიშვილზე, ბატონ გასო გოძიაშვილზე.

ისინი მარტო მამასთან კი არა, ჩემს ოჯახშიც დიდი სიხარულით მოდიდნენ. ჩემს მეუღლეს განსაკუთრებულად უყვარდა ბატონი ვასო, რომელიც ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ამ დროს (მიუხედავად გაჭირვებისა) იშლებოდა ლხინის სუფრა. ცხოვრება იყო ლამაზი, სულიერად ამაღლებული და მსურდა იმ ბედნიერი წუთების უსასრულობა.

სამწუხაროდ ქალბატონ ანუოს თავზე ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა. მან დაკარგა 40 წლის უნიჭიერესი, ულამაზესი და უსაყვარლესი შვილი. მის მეუღლეს, მის შვილს და შვილიშვილს მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტი ჰქონიათ დამთავრებული. ამას ისეთი მოკრძალებით მიამბობდა, ისე სათუთად, მასში უზომოდ მზრუნველი დედა დავინახე.

საუბარში მისი რძალი ანა ლარიბაშვილი ჩაერთო. მან მიამბო თუ როგორ უანგაროდ ესმარებოდა ყველას ქალბატონი ანუ, რომელმაც რძალი გააჩუმა და თქვა: როგორ შეიძლება ამაზე საუბარი, მე ხომ ადამიანი ვარ და ეს ყველა ადამიანის ქრისტიანული ვალიაო.

სამწუხაროდ დღეს სიკეთე და თავმდაბლობა გაიმუშიათდა.

დამშვიდობებისას ქალბატონმა ანუომ გულში ჩამიკრა და სიხარულის ცრემლები ვერ დამალა: დიდი მადლობა, რომ მამა კიდევ ახსოვთ და თანაც შენისთანა პატარა გოგო დაინტერესდა მისი ცხოვრებითა და შემოქმედებითო. მამა ძალიან უყვარდა მაყურებელს. მაყურებელი ყოველთვის მგრძნობიარეა, მამას ტალანტს ხედავდნენ მის გულწრფელობაში, ბუნებრიობაში, ის ხომ მოწოდებით შემოქმედი იყო. მას ბუნებით ჰქონდა დაყოლილი ეს ნიჭი.

როგორ მინდოდა, იმ წუთებში შემძლებოდა მარტო ამ პატარა ნარკვევის კი არა, უფრო დიდი რამის გაკეთება, რომ ეს უსაზღვროდ კეთილშობილი, შესანიშნავი ადამიანი განსაკუთრებულად გამეხარებინა. როგორ მინდოდა უცებ გავზრდილიყავი, მქონდა ისეთი პროფესია, რომ ასეთი ასაკიანი ადამიანისათვის დიდი სიხარული მიმენიჭებინა. მათ ხომ სულ პატარა, სულ პატარა ყურადღებაც კი ჰყოფნით.



მხატვარი ვანო გოცირიძე



ღვანლომოსილი

თელავი საქართველოს ულამაზესი ქალაქია, რომელშიც ცხოვრობენ შესანიშნავი პიროვნებები. ერთ-ერთი მათგანი ცხოვრობს ქალაქის შუაგულში. ეს გახლავთ ღვანლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი თელავის საგანმანათლებლო და საზოგადო ცხოვრებაში. ამისთვის მას მიენიჭა საპატიო თელაველის წოდება. ეს მოხდა ერკელეს დაბადების დღეს – გასული წლის 7 ნოემბერს. მისი შრომა დაფასებულია აგრეთვე ღირსების ორდენით (2009 წელი).

ქალბატონი ლია მუმლაური გავიცანი სულ ახლახანს მასთან სტუმრობისას. მან ისე წარმართა ჩვენი საუპარი, თითქოს დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ქალბატონი არის თელავის სიამაყე, თელაველების საამაყო პიროვნება. დამაინტერესა მისი ცხოვრების მნიშვნელოვანმა ეტაპებმა.

ქალბატონმა ლიამ ძალიან თავმდაბლად და უბრალოდ მომიყვა, რომ დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1962 წელს და განაწილებით მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგინმინდის სკოლაში (1962-66 წწ). შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ თელავს და 1966 წლიდან დაიწყო მუშაობა თელავის 5 საშ. სკოლის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1981-86 წლებში სკოლის დირექტორად დააწინაურეს. სკოლაში იმდენად

გამოიჩინა თავი და დაიმსახურა ავტორიტეტი, რომ მას დიდი ნდობა გამოუცხადეს: დანიშნეს თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ (1986-2004 წწ). შემდეგ მისი კარიერა გაგრძელდა თბილისის კერძო სკოლის თელავის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

თელავში ბევრია მისი აღზრდილი: ისინი ამაყობენ თავისი მასწავლებლით და თავად ქალბატონი ლიაც სიამაყით იხსენებს თავის ნამოწაფრებს, მათ იმდროინდელ და ახალ წარმატებებს, რაც ძალიან უხარია. მისი აღზრდილები არ ივინწყებენ საყვარელ მასწავლებელს და ურეკავენ, ნახულობენ, პატივს მიაგებენ მას გაწეული შრომისთვის.


ახლა ქალბატონი ლია დამსახურებულ პენსიაზეა. მას 2019 წლის 6 თებერვალს 80 წელი შეუსრულდა. ამჟამად ის ცხოვრობს თავის შვილთან და შვილმშვილთან ერთად, რომლებიც ღირსეულად აღზარდა და ამით ტებილი სიბერე შეიქმნა.

მე ვუსურვებ ამ შესანიშნავ პიროვნებას და მისი ოჯახის წევრებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ წარმატებებს, იმედების და ოცნებების ასრულებას. გაიხარეთ!!!

დაბოლოს მინდა განსაკუთრებული მაღლობა გადავუხადო ქალბატონ ლია მუმლაურს გულთბილი მიღებისთვის და სტუმართმოყვარეობისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგადლიეროთ!!!

ციური პერიპა

პედაგოგი-მკვლევარი



მხატვარი ბექა ხუცურაული



დიდი სიუვარულითა და ზრუნვით

64



შობა-ახალ წელს მიეძღვნა ღონისძიება, რო-
მელიც ჩატარა საზოგადოება „ამაგდარმა“ (და-
ფუძნებელი უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი –
ნინო ჭიკაძე-ლეფსვერიძე) თელავის უმწეოთა და
უპოვართა სახლში, – (დირექტორი ნინო აფცი-
აური).

საზოგადოება „ამაგდარი“ დაფუძნებუ-
ლია თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ პიპ-
ლიოთეუქასთან (დირექტორი მაყვალა ნიკლაური).

საზოგადოება „ამაგდარის“ მიზანია, სამსახ-
ურიდან გამონთავისუფლებული, ღვანლმოსილი
ადამიანების, პენსიონერების ცხოვრების გააქტი-
ურება, მათი სხვადასხვა ღონისძიებებში ჩაბმა,
გაჭირებულ და ავადმყოფებისათვის საჭიროები-
სადმი დახმარების გაწევა.

საზოგადოება „ამაგდარი“ 2013 წელს დაფუძნ-
და ნინო ჭიკაძე-ლეფსვერიძის და საინიციატივო
ჯგუფის მხარდაჭერით. საინიციატივო ჯგუფი
განისაღვრება 15 წევრით. მის შემადგენლობაში
შედიან: ნინო ჭიკაძე, მაყვალა ნიკლაური, მარინა
მრელაშვილი, ლია ფეიქრიშვილი, ფარნა რაინა,
ნუნუ ძამუკაშვილი და სხვანი. მათ ერთობლივად
შეიმუშავეს საზოგადოება „ამაგდარის“ სამუშაო
გეგმა, რომელიც ხორციელდება „ამაგდარის“
წევრთა ქველმოქმედებით. დღეისათვის საზოგა-
დოება „ამაგდარს“ ჩატარებული აქვს საინტერესო
ღონისძიებები: საზოგადოება „ამაგდარის“ მიზნები
და ამოცანები; თელავი და თელაველები; ცნობილ
პოეტებთან და პროზაიკოსებთან, ხელოვნების
მუშაკებთან შეხვედრა; ღონისძიება – საიუბილეო
დღეებთან დაკავშირებით; 9 მაისი, მისი მნიშვნ-
ელობა, ომის ვეტერანებთან შეხვედრა და მათი
დახმარება; მასწავლებლის დღე; „ამაგდარის“ წევ-
რების – ცინარი ბახსოლიანის წიგნის – „სიცოცხ-
ლის ჰიმნის“ პრეზენტაცია და ლია ფეიქრიშვი-
ლის პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება;
ქალთა დღე, – „ქალი სიცოცხლე და გაზაფხული“;
„დედაენის“ დღე, – „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“;
ექსკურსიები – საქართველოს სხვადასხვა კუთხე-
ში; უნარშეზღუდულ ადამიანებთან შეხვედრა და
მათი დახმარება; სამუდამო გამოსათხოვარი დღე
„ამაგდარის“ ყოფილი წევრების (ნ. უურულის, ნ.
შეშაბერიძის, ნ. ქათამაძის); „ამაგდარის“ წევრე-
ბის დასწრება თელავში „ლვინის დღეზე“.

საზოგადოება „ამაგდარს“ მუშაობაში დიდ
სტიმულსა და შემართებას აძლევს მხარდაჭ-
ერა ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობისა: თელა-

ვის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის
უფროსის, ქალბატონ ფიქრია ყუშიტაშვილის,
ასევე მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული
კახეთის“ თავმჯდომარის, – ფარნა რაინასი, მისი
მოადგილის – თინათინ მრელაშვილის, ამავე ასო-
ციაციის ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძ-
ღვანელის, – ნუნუ ძამუკაშვილის, თელავის მთა-
ვარი ბიბლიოთეკის თანამშრომლების, მათ შორის
– ბიბლიოთეკის გაერთიანების მეთოდისტის, –
მარინა მრელაშვილის, თელავის ფოლკლორული
ანსაბლის „პატარა კახის“ – ბექა და კახა ბიძინ-
აშვილების ხელმძღვანელობით. „თელავის“ ქალ-
თა გუნდის, – ხელმძღვანელი ნინო ბაქრაძე. დიდი
მაღლობა მათ „ამაგდარის“ ყველა წევრისაგან.

ღონისძიებაზე, რომელიც ჩატარდა საზოგა-
დოება „ამაგდარის“ მიერ თელავის უმწეოთა და
უპოვართა სახლში, – ბენეფიციარებს შობა-ახ-
ალი წელი მიულოცა ნინო ჭიკაძე-ლეფსვერ-
იძემ, მათ საშობაო დღესასწაული მიულოცეს
აგრეთვე პოეტებმა ნუნუ ძამუკაშვილმა, ცისანა
თვალიაშვილმა და საკუთარი ლექსები წაუკითხ-
ეს. შობა-ახალი წლის ზემი მიულოცეს აგრეთვე
„ამაგდარის“ წევრებმა ლია ფეიქრიშვილმა, ნანა
ივანეკომ, მარინა მრელაშვილმა.

კიდევ უფრო ხალისიანი გახადა ღონისძიე-
ბა „თელავის“ ქალთა გუნდმა, – მათ მიერ შეს-
რულებულმა სიმღერებმა და საცეკვაო მუსიკამ,
– ღონისძიების ყველა მონაწილე აამღერა და
საცეკვაო ფერხულში ჩაბაძა.

დიდი კმაყოფილება გამოხატა უმწეოთა და
უპოვართა სახლის დირექტორმა ნინო აფციაურ-
მა; მან გულთბილი სიტყვა წარმოსთქვა ჩატარე-
ბული ღონისძიების მონაწილეების მიმართ, მად-
ლობა გადაუხადა საზოგადოება „ამაგდარს“,
ასევე, სტუმრებიც კმაყოფილები დავრჩით ქალ-
ბატონ ნინოს მიერ მოწყობილი საზეიმო გარემო-
სათვის. დასასრულს, საზოგადოება „ამაგდარის“
დამუშანებელმა ნინო ჭიკაძე-ლეფსვერიძემ
საახალწლოდ განყობილ მაგიდებთან მიიპატი-
უა ღონისძიების მონაწილენი და საახალწლო
საჩუქრები გადასცა ღონისძიების ბენეფიცია-
რებს.

ყველამ დიდი კმაყოფილებით დატოვა დარ-
ბაზი და კვლავ, ახალი, საინტერესო ღონისძიე-
ბების სურვილი გამოთქვეს.

ლია ვეიპრიშვილი

უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი





მხატვარი ბექა ხუცურაული



მხატვარი ვანო გოცირიძე